გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
შაბათი, 30 ივლისი, 2005 წელი.
№179-180 (5213)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გდება ყოვლად უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## „ახალი ათინას“ წიღამური?

**ღია ბარათი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების გამო**

სულაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ თავის დროზე თბილისის უნივერსიტეტმა იკისრა თერგდალეულთა დიდი მისია, რომლის მოკვლასაც ილია ჭავჭავაძის განადგურებით შეეცადნენ. როდესაც ილიას მკვლელობით „ეპოქა გათავდა დიდი“, მაშინ ივანე ჯავახიშვილმა შექმნა უკვდავი უნივერსიტეტი, რითაც ქართველი ერის ისტორიაში ახალი, დიდი, დაუსრულებელი ისტორია დაიწყო. სწორედ ამიტომ უნივერსიტეტი უფრო დიდია, ვიდრე — ყველაზე დიდი ქართველი მწერალი, ვიდრე — ყველაზე დიდი ქართველი მეცნიერი, ვიდრე — ყველაზე დიდი ქართველი პრეზიდენტი და ამიტომაც არავის არა აქვს მისი ჰაიჰარად ხელყოფის უფლება.




ბატონო პრეზიდენტო, ვინ მოგვცა იმის უფლება, ამ საუკუნეობით ნანატრი და დღეს წმინდა სისხლის ფასად მოპოვებული თავისუფლების ხანაში დემოკრატიული პრინციპებით არჩეული ქვეყნის „ეროვნული“ ხელისუფლების პაწაწკინტელა ახალგამოჩეკილი ჩინოვნიკები ადამიანის ელემენტარული უფლებების უხეში დარღვევით შეეცადონ, ხელი ააღებინონ უნივერსიტეტს იმ მისიაზე, რომელსაც იგი, როგორც ქართველთა „ახალი ათინა“, თითქმის მთელი საუკუნეა, მუხლჩაუხრელი ემსახურება.

იხ. მე-4-5 გვ.

## პრეზიდენტები აგვისტოს ბოლოს შეხვდებიან

აგვისტოს ბოლოს ყაზანში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაა დაგეგმილი. როგორც ცნობილია, თათრეთის რესპუბლიკის დედაქალაქში დსთ-ს არაფორმალური სამიტი გაიმართება. როგორც გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, არ არის გამორიცხული, აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებმა ორ ქვეყანას შორის ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებაზეც იმსჯელონ.

სალომე ზურაბიშვილი ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს რა შეთანხმებები იქნება მიღწეული სამიტზე. თუმცა, მინისტრის თქმით, ჩარჩო-ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც დღემდე სადავო იყო, ფაქტობრივად შეთანხმებულია.

ინტერპრესნიუსი

## „თოთოყელებმა ჰიჩი შეკრეს“

იხ. მე-3-9 გვ.

**ქალაქში სახელისუფლებო ბაზალეთი ისტორიას ჩაბარდა**

## მქადაგებელთან პირისპირ

**იმ სალამოს საპატრულო ბაქსში ცოდვის კალო ტრიალებდა...**





იხ. მე-6 გვ.

## „ქართველებო... ენერგო-კოლმეურნეობებში სირბილით იარ!“



რით უპასუხებს საკონსტიტუციო სასამართლო ლეიბორისტთა სარჩელს — „კომუნალური გამრიცხველიანების“ თაობაზე?

იხ. მე-2 გვ.

## კონსტანტინე გამსახურდიას პირველი სიყვარული



„კაცმა რომ თქვას, მაშინ კონსტანტინე გამსახურდია არც დიდი მწერალი იყო და არც არავინ იცნობდა. უბრალოდ ევროპის გზებზე მოხეტიალე ახალგაზრდა კაცი გახლდათ“...

იხ. მე-8 გვ.

### ◉ ინფორმაცია

## „გაიტანეთ გრენლანდია!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განმარტებით, საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით შეფერხებები არ არის. საქართველოში ჩამოსულია რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი და ქართველ კოლეგებთან სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით კონკრეტულ დეტალებს ათანხმებს.

როგორც ნოღაიდელი აცხადებს, ყველაფერი შეთანხმებისა და გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.

„მძიმე ტექნიკის ნაწილი 1 სექტემბრამდე დატოვებს საქართველოს, ხოლო ნაწილი კი მოგვიანებით“, — აღნიშნა ნოღაიდელმა.

ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინ, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთი წლის აღსანიშნავ იუბილეზე გააკეთა.

## უშველის საქმეს დათვალიერება?

გუშინ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა „ხრამი-2“-ის ჰიდროელექტროსადგური მოინახულა, აქ რამდენიმე დღის წინათ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. კომპანია „ინტერ რაო“, რომელიც „ხრამი-2“-ის დროებითი მმართველია, „ხრამი-2“-ის პირველი აგრეგატის რეაბილიტაციას ოქტომბრის ბოლოს დაასრულებს. ხოლო მეორე აგრეგატის რეაბილიტაცია მომავალი წლის იანვრისთვის დასრულდება. პირველი აგრეგატის რეაბილიტაციისთვის 250 ათასი ლარია გამოყოფილია, ხოლო მეორე აგრეგატის რეაბილიტაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3,6 მლნ. ლარით დაფინანსდება. სარემონტო სამუშაოებს ქართული კომპანია „საქენერგორემონტი“ შეასრულებს.

„3,6 მლნ. ლარი სამონტაჟო სამუშაოებისთვის დაიხარჯება. მეორე აგრეგატის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა იაპონური კრედიტით დაფინანსებული პროექტი, რომელიც ჩაიშალა“, — განაცხადა გილაურმა.

მისი თქმით, 18 მლნ. დოლარი, რომელიც კრედიტის ფარგლებში „ხრამი-2“-ის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა, გაურკვეველი მიმართულებით დაიხარჯა, ამჟამად აპარატურის ნაწილი „ხრამი-2“-ის ტერიტორიაზეა განთავსებული, მისი სამონტაჟო სამუშაოებისთვისაც სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტმა გაიღო.

„ხრამი-2“-ის ჰიდროელექტროსადგურზე ორი აგრეგატია და მათი საერთო სიმძლავრე 110 მეგავატია.

## ძველმა აჯობა ახალსო...

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გუშინდელ სხდომაზე პირდაპირი ხელშეკრულებით გასაყიდი ელექტროენერგიის კვოტების შესახებ იმსჯელეს. საკითხის განხილვას ესწრებოდნენ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხეთაგური, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და საბითუმო ბაზრის წარმომადგენლები.

სემეკის გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩება კვოტების დადგენის აქამდე მოქმედი წესი, გამართულ შეხვედრაზე არაერთგვაროვანი შეფასება მიეცა კვოტებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების პროექტს. სემეკმა ლიცენზიანტებს შესთავაზა გადაწყვეტილების პროექტი, რომლის თანახმად 2006 წლის 1 სექტემბრამდე უნდა განისაზღვროს პირდაპირი ხელშეკრულებით გასაყიდი ელექტროენერგიის ზოგადო კვოტები.

ხანგრძლივი განხილვის შემდეგ სემეკმა ძალაში ძველი წესი დატოვა.

## „აზოტი“ — 35 მილიონად

სააქციო საზოგადოება „აზოტის“ გაყიდვის შემდეგ საწარმოს კრედიტორები კუთვნილ თანხებს ვერ მიიღებენ.

როგორც „ინტერპესნიუსთან“ საუბრისას „აზოტის“ გაკოტრების მმართველმა ზურაბ იაშვილმა განაცხადა, „გაკოტრების შესახებ“ კანონის თანახმად, საწარმოს პრივატიზაციიდან მიღებული თანხა შემდეგი თანმიმდევრობით გადანაწილდება. პირველ რიგში გაიცემა სამი თვის სახელფასო და საპენსიო დავალიანება, ამის შემდეგ მოხდება სახელმწიფო გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა. დარჩენილი ნაწილი უკვე კრედიტორებზე გადანაწილდება.

„საწარმო 35 მილიონ ლარად გაიყიდება. ეს აუდიტის მიერ დადგენილი თანხაა. „აზოტს“ საქართველოს ბიუჯეტის 43 მილიონი ლარი მართებს. ასე რომ, სრულად სახელმწიფოს ვალის გასტუმრებაც ვერ ხერხდება. დანარჩენი კრედიტორები კი თანხის გარეშე რჩებიან“, — განაცხადა ზურაბ იაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

„აზოტის“ აღიარებულ კრედიტორთა სიაში მოხვდა ფინანსთა სამინისტრო, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, კონცერნი „გვინი, „საქართველოს რკინიგზა“, „მონტაჟ-ტურბო“ და „ლასო-ინგლისი“.

ინტერპრესნიუსი

### ◉ პანორამა



**ერაყში სიკვდილმისჯილმა წვევამდელთა პუნქტში ტერაქტი მოახდინა: დაიღუპა 25 ახალგაზრდა**

ქალაქ მოსულში ერაყის ჩრდილოეთით გაისმა აფეთქების ხმა ჯარში ახალგაწვეულთა შესაკრებ პუნქტში. პოლიციის მონაცემებით, დაიღუპა 25, ხოლო დაშავდა 35 ახალგაზრდა.

* * *

**ღაზში მოიტაცეს გაეროს ორი თანამშრომელი**



ერთი ავსტრალიელი მოქალაქე ქალია, ხოლო მეორე — პალესტინელი. როგორც ფიქრობენ, გაეროს თანამშრომლებს გაცვლიან პალესტინური დაზვერვის მეთაურის კანცელარიის თანამშრომელში.

* * *

**კუნძულ იავას მცხოვრებ ქალს 27 წელიწადს დაჰქონდა გვამით მკვდარი ბავშვი**

ქირურგიული ჩარევის დროს, რომელსაც 15 ექიმისგან შემდგარი გუნდი აწარმოებდა კუნძულ იავაზე მდებარე ქალაქ სურაბაიში 54 წლის ქალის სხეულიდან ამოიღეს მკვდარი ბავშვი, რომლის წონა 1,6 კილოგრამია. ქალმა მხოლოდ უფულობისგამო ვერ მოახერხა ამდენი ხნის მანძილზე ოპერაციის გაკეთება მკვდარი ნაყოფის ამოსაღებად.

## ბიჭები არა მწვერვალთა, არამედ ადამიანთა სიცივემ იმსხვერპლა

მართლაც, სიმბოლურია, რომ დიახაც ჩვენს სამშობლოში, სადაც ყოველდღიურად გვახსენებენ: „როგორც არასდროს, ისე ხართ დაცულნიო“, ფაქტობრივად ყველა ბედის ანაბარაა მიგდებული — დაახლოებით ისე, როგორც უშბის კალთებზე მაშველთა მოლოდინში გაყინული ბიჭები...

იხ. მე-7 გვ.





**რამდენად ახანგრძლივებს სექსი სიცოცხლეს**

იხ. მე-10-11 გვ.

ქვეყნის გასაგონად

# ეს არ არის ცარიელი სიტყვები, ეს არის სულის ამოძახილი და უბრალო ადამიანების გრძნობები

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

**ღრმად პატივცემულო პრეზიდენტო!**

[illegible]

ის ფაქტიც, რომ თქვენ არ ასხვავებთ ერთმანეთისაგან ქართულ და სომხურ სკოლებს. ყველაფერი ეს არ დაინახო, ნიშნავს, რომ შენ არ გიხარია საქართველოს წარმატება.

**უდიდესი პატივისცემით**
**არმენ ბაიანდურიანი,**
**თბილისის სომხური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.**

ენერგეტიკა

# „ქართველებო... ენერგოკოლმეურნეობებში სირბილით იარ!“

## რით უპასუხებს საკონსტიტუციო სასამართლო ლეიბორისტთა სარჩელს — „კომუნალური გამრიცხველიანების“ თაობაზე?

**პირველი, ვინც ენერგეტიკაში ეგრეთწოდებული „კომუნალური გამრიცხველიანების“ შესახებ სემეკის გადაწყვეტილება გააპროტესტა, საქართველოს ლეიბორისტული პარტია იყო. გვახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ მანვე როგორ მოიგო საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი ტარიფების გადიდების თაობაზე. ლეიბორისტებმა ახლაც შესაშური ენერგიით მოჰკიდეს ხელი მომხმარებელთა უფლებების დაცვას და, ზეპირი განცხადებებით რომ ვერ „მოთოკეს“ ვერც სემეკი და ვერც საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო გაერთიანება, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს. როგორი იქნება შედეგი, ეს არა მარტო მოსარჩელეს აინტერესებს, არამედ მილიონობით მომხმარებელსაც.**

რას ეფუძნება ლეიბორისტთა პროტესტი? როგორც პარტიის პოლიტიკური მდივანი **გიორგი გუგავა** ბრძანებს, **გადაწყვეტილება „კომუნალური გამრიცხველიანების“ შესახებ საფუძველშივე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გასაგებად განმარტავს მოქალაქეთა (მათ შორის, მომხმარებელთა) უფლებებსა და თავისუფლებებს, კანონს მონოპოლიური საქმიანობის თაობაზე.** — სემეკს უფლება არ ჰქონდა, რომ სადისტრიბუციო კომპანიისათვის „კომუნალური გამრიცხველიანების“ ნება დაერთო. როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა, რომელიც ერთი სახეობის საქონელს იძენს და მისი ფასიც ჩინებულად იცის, სხვა საქონლის ღირებულება გადაიხადოს? ეს კოლექტივიზაციის რაღაც ნიუანსებს მაგონებს, — ამბობს ბატონი გიორგი.

**— როცა საზოგადოებაში საერთო ლოგინის, საერთო საბნის, საერთო ჯამის ცნებები გავრცელდა, არა?**

— დიახ. მაშინ საზოგადოების ეს შიში ნაწილობრივ არ გამართლდა — ბოლოსდაბოლოს, ვისაც სურდა, თავისი ლოგინიც ჰქონდა და ჯამიც. **ახლა უკან ვბრუნდებით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: საერთო მრიცხველით ვერ დაადგენ, პეტრემ რამდენი ელექტროენერგია ან გაზი მოიხმარა და პავლემ — რამდენი.** ერთ ოჯახს შეიძლება რაიმე საამქრო, სამხერხაო ჰქონდეს, მეორეს — მხოლოდ ერთი ნათურა. მრიცხველი ორივეს მოხმარებულს აღრიცხავს. ჰოდა, როგორ დავადგინოთ, რამდენი უნდა გადაიხადოს პეტრემ და რამდენი პავლემ? ამიტომ, რანაირად, რომელი სამართლის საფუძველზე შეიძლება მათი ერთ ტაფაში მოქცევა?

**— გეთანხმებით და უფრო მეტსაც გეტყვით: ეს ხომ მეზობლებსა და უბნებს შორის გაუთავებელი კინკლაობის, ჩხუბისა და აყალმაყალის მიზეზი იქნება? დროთა განმავლობაში ხომ არ დაირღვევა საქვეყნოდ ცნობილი ქართული კეთილმოსურნეობა, გაგება და ურთიერთპატივისცემა? ეს ყბადაღებული „კომუნალური გამრიცხველიანება“ მთელი საქართველოსთვის „განხეთქილების ვაშლად“ ხომ არ იქცევა?**

— აი, ხომ ხედავთ, ეს საშიშროება თქვენც შეამჩნიეთ. „ძაღლის თავი“ სწორედ მანდ არის დამარხული. მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში თითქოს ორივე მხარის ინტერესებია დაცული, სინამდვილეში კი რა გამოდის? **მომხმარებლის ინტერესები იბღალება, მაშასადამე, უკანონობა სახეზეა. წარმოიქმნება ხელოვნური დაპირისპირება, რომელიც, გამორიცხული არ არის, რომ ზოგ შემთხვევაში კრიმინალამდე მივიდეს.** გამრიცხველიანების მთავარი (და ფარული) მიზანი სახეზეა: ნებისმიერი საშუალებით ამოიღონ თანხა, რომელიც არც ისე მცირეა. წარმოიდგინეთ, მონღოლებიც კი ანგარიშს უწევდნენ ოჯახების რიცხოვნობას, **ინდივიდუალურად** აღწერდნენ მათ და გადასახადსაც იმის მიხედვით აწესებდნენ. ყველა იხდიდა იმდენს, რამდენიც ეკუთვნოდა. ახლა ყველაფერი თავდაყირა დგება, თითქოს ქართველ კაცს ავისა და კარგის გარჩევის უნარი დაკარგული ჰქონდეს.



**— ეს ღონისძიება რამენაირად ენერგომატარებლების ექსპორტსაც ხომ არ ეხება?**

— ეხება კი არა, პირდაპირ კავშირშია. ვიცით, რომ ჩვენი ელექტროენერგია თურქეთში იყიდება, თანაც გაცილებით იაფად. ისიც ვიცით, რომ თურქეთში ამ ენერგომატარებლის მწვავე დეფიციტია. ჩვენ კი აქეთ „გვანუგეშებენ“, თურქეთი სამაგიეროდ, ზამთარში მოგვამარაგებსო. საიდან მოგვამარაგებს, რომელი „ჯიბიდან“ ამოიღებს, როცა არა აქვს? ეს ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა.

**— რა ძალა ადგათ, კეთილი „მზობლის“ როლს თამაშობენ?**

— როგორ გეკადრებათ! ჩვენთან თითს არავინ გაატოკებს, თუ რაიმე გამოსარჩენს არ მოელის — თურქეთისთვის მიყიდული ელექტროენერგიიდან მწვანე დოლარებს იღებენ და იჯიბავენ. ეს არის „შავი ფული“, რომელიც ბიუჯეტში არ ხვდება. სხვათა შორის, „კომუნალური გამრიცხველიანება“ არის საუკეთესო საშუალება, რათა რეგიონებს ელექტროენერგიის მიწოდება შეუზღუდონ და „დაზოგილი“ დენი ისევ უცხოეთში გაყიდონ. როგორც ხვდებით, ამ მაქინაციაში კერძო პირთა ინტერესია ჩადებული. სწორედ ამას ედავებიან ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს.

**— ამას წინათ საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა ჟურნალისტებს განუცხადა, „კომუნალური მრიცხველები“ ევროპის ბევრ ქვეყანაშია, ჩემი ბინაც ამ სისტემაშია ჩართული, მაგრამ მეზობლებთან არანაირი დისკომფორტი არ შემქმნიაო. იქნებ მართლაც ისეთი არ არის საფრთხე, ჩვენ რომ გვეჩვენება?**

— ბატონი დინ უაითის განცხადება მწარე სიცრუეა. ის ვერ დაასახელებს კონკრეტულ ქვეყანას, სადაც ფულის ამოღების ასეთ მეთოდს იყენებენ და ყველაფერი რიგზეა. მე მგონი, ზემოთ ამის თაობაზე საკმარისზე მეტი არგუმენტი მოვიშველიე.

**— ბატონმა დინ უაითმა ისიც ბრძანა, ინდივიდუალური გამრიცხველიანება დიდ სახსრებს მოითხოვსო.**

— თვითონვე გაუშიფრავს კიდევ ერთი მიზეზი. შე კაიდედმამიშვილო, საკუთარი ენერგოკომპანიის ხარჯები რომ შეამციროს, მომხმარებელს ტყავი უნდა გააძრო? რაღა ყოველთვის თავიანთ სასარგებლოდ „ჭრიან და კერავენ“, რატომ თუნდაც ერთხელ ხალხის სასარგებლოდ არ შეეძლებათ რამე? მართლადამართლა, „ბნელა ამ მზიან ქვეყანაზე“?

**— ბატონო გიორგი, თქვენი პოზიციაც გარკვეულია და ჩემიც. დღევანდელი საერთო სამართლებრივი ფონით თუ ვიმსჯელებთ, რისი იმედი გაქვთ? იქნება ობიექტური საკონსტიტუციო სასამართლო?**

— საკითხი ორჯერ-ორივით ნათელია, ამიტომ სასამართლომ ობიექტური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ჩვენ ერთხელ უკვე მოვიგეთ ასეთი ჩახლართული საქმე. მაშასადამე, შანსი საკმარისზე მეტია. ჩვენი ვარაუდით, სასამართლო სარჩელს მომავალ კვირაში განიხილავს. სანამ გადაწყვეტილება იქნება, მოვითხოვთ, რომ სემეკის დადგენილება „კომუნალური გამრიცხველიანების“ შესახებ შეჩერდეს.

**— და თუ ეს არ მოხდა?**

— მაშინ ისეთივე სურათს მივიღებთ, როგორც „ვარციხეჰესში“, როცა იქ მოსახლეობა შეიჭრა. ესე იგი, დაიწყება მასობრივი გამოსვლები, რაც ხელისუფლებას სიკეთეს არ მოუტანს...

**ესაუბრა**
**ელგუჯა ლეჟავა ლეჟანიძე**

აქტუალური თემა

# სამიზნე ჩვენა ვართ?

**ბორში ორგანიზებულ ტერაქტთან დაკავშირებით, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა სრული ფიასკო განიცადა. სპეცსამსახურების მონაცემებით, ხსენებული დივერსიული ჯგუფი მომზადებას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადიოდა. შესაბამისი მასალები, როგორც ცნობილია, რუსული მხარის ოფიციალურ წარმომადგენლებს გადაეცათ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურ რუსეთს არ ადანაშაულებს, მხოლოდ რუსეთში მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფებებზე მიუთითებს. მხილებამ ოფიციალური რუსეთი გაანაწყენა. უფრო მეტიც, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყბადაღებულ პრევენციულ დარტყმებზე, რომელზეც აქამდე დროდადრო რუსი მაღალჩინოსნები საუბრობდნენ, ამჯერად პრეზიდენტი პუტინიც ალაპარაკდა. ამ დღეებში რუსულ გენერალიტეტთან შეხვედრის დროს, პუტინმა განაცხადა, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში რუსეთი მზად არის პრევენციული დარტყმები მიაყენოს ტერორისტებს, რომლებიც სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე არიან განლაგებულნი. ქართველი ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ პუტინს ამ შემთხვევაში საქართველო არ უგულისხმია, თუმცა ზოგიერთი რუსი პოლიტოლოგი პუტინის სამიზნედ სწორედ ჩვენს ქვეყანას ხედავს და პრევენციული დარტყმები საქართველოზე, გარდაუვალად მიაჩნია.**

პუტინის განცხადებასთან დაკავშირებით, სრული და დეტალური ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებას ჯერჯერობით არ გააჩნია. ამდენად, ბუნებრივია, საპასუხო განცხადება მთავრობას არ გაუკეთებია. საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე იმედოვნებს, რომ ისეთი წერტილების რიცხვში, რომლებზეც პრევენციულ დარტყმებს აპირებენ, საქართველო არ იგულისხმება.

**გივი თარგამაძე:** „თუ აღმოჩნდება, რომ რუსეთის მხრიდან აგრესია რეალურად არის მოსალოდნელი, მაშინ ჩვენ ყველა მექანიზმს ჩავრთავთ და არ არის გამორიცხული, რომ ისინი დარტყმების ქვეშ თავად აღმოჩნდნენ“.

პარლამენტის კულუარებში ლაპარაკობენ, რომ შესაძლოა ასეთ ვერსიას სულაც რუსეთის სადაზვერვო სამსახურები ავრცელებდეს. ერთ-ერთი ფორმა უცხოეთის სპეცსამსახურებისა, როგორც ამბობენ, სწორედ ის არის, რომ საზოგადოებაში შიში და პანიკა დათესონ. პარლამენტარები დაკონკრეტებისგან თავს იკავებენ, მაგრამ დაბეჯითებით აცხადებენ, რომ საქართველოში, კერძოდ, სახელისუფლებო სტრუქტურებშიც, რუსეთის სპეცსამსახურების საკმაოდ სერიოზული აგენტურული ქსელი მოქმედებს. საინტერესოა, თუ ჩვენი კანონმდებლები ამაში ასე არ არიან დარწმუნებული, მცდელობები, ამოქმედებულიყო ლუსტრაციის კანონი, პარლამენტში ლაპარაკის დონეს რატომ ვერ გასცდა?

**მზია გელენავა**

ინფორმაცია

# მეტ ბრაიზა — ნაცრისფერი კარდინალი



**„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ საქართველოში ვიზიტად მყოფ მეტ ბრაიზას „ვარდების რევოლუციის“ ავტორს და ნაცრისფერ კარდინალს უწოდებს.**

**როგორც გუშინ საგანგებოდ გამართულ თათბირზე „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ბრაიზა აშშ-ში სააკაშვილის დაჯგუფების პირადი ლობისტია.**

**ნათელაშვილის განცხადებით, გასული წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოში განვითარებული ანტიდემოკრატიული პროცესების მიუხედავად, იგი საქართველოს ხელისუფლების მფარველობას აგრძელებს, რადგან სააკაშვილის თითოეული წარუმატებელი ნაბიჯი უარყოფითად აისახება მის რეპუტაციასა და პოლიტიკურ კარიერაზე.**

**ამერიკის პოლიტიკა ცენტრალური აზიის ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელებასთან დაკავშირებით ბრაიზას არასწორი და მიკერძოებული გადაწყვეტილებების წყალობით სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.**

**„ლეიბორისტული პარტია“ აშშ-ს მთავრობას და სახელმწიფო დეპარტამენტს თხოვნით მიმართავს, რომ ჩამოაშორონ ეს პიროვნება კავკასიის საკითხებს, რადგან ნათელაშვილის თქმით, მისი საქმიანობა ამერიკის და საქართველოს საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება და დემოკრატიისა და უსაფრთხოების განმტკიცებას საფრთხეს უქმნის.**

**ინტერპრესნიუსი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# იუშჩენკო, რომელიც ძალიან წააგავს კუჩმას

**უკრაინელმა ჟურნალისტებმა თავიანთი კოლექტიური პროტესტი გამოთქვეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული კრიტიკის მიმართ უკრაინის სახელმწიფო მოხელეებისა და პირადად ვიქტორ იუშჩენკოს არაადეკვატური დამოკიდებულების გამო. ასეთივე პოზიცია დააფიქსირეს პრესკონფერენციაზე მასობრივი ინფორმაციის ინსტიტუტის დირექტორმა სერგეი ტარანმა, რადიო „თავისუფლების“ თანამშრომელმა ვლადიმერ ბოიკომ და სხვა ჟურნალისტებმა.**

იუშჩენკოსა და უკრაინელ ჟურნალისტებს შორის კონფლიქტი გამოიწვია ინტერნეტ-გამოცემა „უკრაინსკაია პრავდამ“, რომლის პირველი მთავარი რედაქტორი გიორგი ღონღაძე იყო. ღონღაძის დაღუპვის შემდეგ გამოცემას სათავეში ჩაუდგა მისი უახლოესი მეგობარი და თანამოსაგრე ალიონა პრიტულა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა როგორც ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ წარმატებით დასრულებისა და კუჩმას რეჟიმის დამხობისთვის.

შეგახსენებთ, რომ ამ ბოლო ხანებში უკრაინის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოჩნდა პუბლიკაციები, რომელთა ავტორები ხაზს უსვამდნენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტის ანდრეი იუშჩენკოს ცხოვრების წესი აშკარად არ შეესაბამებოდა მისი ოჯახის ლეგალურ შემოსავალს. ჟურნალისტებისა და საზოგადოებრიობისთვის ნამდვილი შოკისმომგვრელი გამოდგა პრესკონფერენცია, რომელზეც ანდრეის მამამ — პრეზიდენტმა იუშჩენკომ გააკრიტიკა „უკრაინსკაია პრავდა“, სწორედ ის ინტერნეტ-გამოცემა, რომელიც მას მხარს უჭერდა არჩევნების დროს. სკანდალური პუბლიკაციის ავტორი კი მან დაადანაშაულა შეკვეთის შესრულებაში, საინფორმაციო ქილერობაში და იმაში, რომ მას ერთი წუთითაც არ უმუშავია თავისუფალი პრესისთვის.

„უკრაინსკაია პრავდას“ მთავარმა რედაქტორმა ალიონა პრიტულამ ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ შეკვეთილი სტატიების თაობაზე ხელისუფლების მიერ გამოთქმული ნებისმიერი ბრალდება მხოლოდ იმას უსვამს ხაზს, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის „დაღვინებული“. „დიდად არ დაგიდევთ, თუ როგორი მანქანით დასეირნობს პრეზიდენტის ვაჟი, მაგრამ მე არ მწამს, რომ ეს 19 წლის ლაწირაკი საკონსალტინგო ფირმაში ახერხებდეს ამდენი ფულის შოვნას. შესაძლოა, ეს მანქანა იყოს ქრთამი, რომელიც ანდრეის მიართვეს მამასთან საქმის ჩასაწყობად“, — თქვა მან. „ჩემი აზრით, პრეზიდენტის ტონი, უბრალოდ, შეურაცხმყოფელია და იუშენკომ ბოდიში უნდა მოიხადოს“, — დასძინა გიორგი ღონღაძის მეგობარმა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ღონღაძის მკვლელობის გახსნა იყო ხელისუფლების სათავეში მოსული იუშჩენკოს ერთ-ერთი მთავარი პიარ-სვლა. სწორედ ამ მოვლენამ შეასრულა უდიდესი როლი, დაარწმუნა უკრაინის საზოგადოებრიობა, რომ ქვეყანაში დადგა სამართლიანი მართლმსაჯულების დრო და იუშჩენკოს სახით უკრაინას ღირსეული პრეზიდენტი ეყოლებოდა.

აღსანიშნავია, რომ სულ რაღაც შვიდი თვის შემდეგ სიტუაცია საოცრად შეიცვალა. იუშჩენკოს ყოფილ მომხრეთა დიდი უმრავლესობა იმედგაცრუებული დარჩა. მაგალითად ინტერნეტგამოცემა „ოლიგარქი“ 26 ივლისს წერდა: „ბეჭდვით გამოცემებს და ინტერნეტ-რესურსებს 2004 წელს ისეთი შინაარსის პოლიტიკური მასალები რომ დაებეჭდათ, როგორსაც დღეს აქვეყნებენ, იუშჩენკო ამომრჩეველთა ხმების 25 პროცენტსაც კი ვერ მოაგროვებდა“.

მეთვალყურეთა აზრით, უკრაინაში თანდათანობით მიმდინარეობს ახალი ხელისუფლების ტრანსფორმაცია, იგი იწყებს იმავე მეთოდებით მოქმედებას, რომელსაც უპირატესობას ანიჭებდა წინანდელი რეჟიმი. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არ არის რეფორმები სასამართლოს სისტემაში, არ სუფევს თანხმობა პრეზიდენტის გუნდის წევრებს შორის, გამეფებულია არაპროფესიონალიზმი, პრეზიდენტიც სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრას უფრო კულუარული გზით ამჯობინებს. ერთი სიტყვით, ბევრი რამ არ ემთხვევა იუშჩენკოს წინასაარჩევნო დაპირებებს.

თუმცა, მეთვალყურეთა უმრავლესობას მაინც მიაჩნია, რომ პრეზიდენტის ვაჟთან დაკავშირებულ ამჟამინდელ სკანდალს, შესაძლოა, ნამდვილად ჰქონდეს შეკვეთილი ხასიათი. „პირადად მე, ეჭვი არ მეპარება, იმაში, რომ ოფიციალური სტრუქტურების დახმარების გარეშე ასეთი წარმატებული ვერ იქნებოდა იუშჩენკოს ვაჟის თაობაზე მიმდინარე ჟურნალისტური გამოძიება, — განაცხადა კორპორაციულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის ვიცე-პრეზიდენტმა როსტისლავ იშჩენკომ. — ფაქტობრივად, ყველაზე მძლავრმა ძალოვანმა სტრუქტურამ — შინაგან საქმეთა სამინისტრომ — ან მისმა ნაწილმა მაინც „ჩაუშვა“ პრეზიდენტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ იუშჩენკო აპირებს არა მარტო მილიციის გენერლების დათხოვნას თანამდებობებიდან, არამედ ყველა იმ სახელმწიფო მოხელის გადაყენებასაც, რომლებიც 2004 წლის ნოემბრამდე ვერ დაიკვეხნიდნენ უმწიკვლო რეპუტაციით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინ, ალბათ, გველის კიდევ მრავალი ინფორმაციის გაჟონვა და მსგავსი ჟურნალისტური გამოძიებები“, — აღნიშნა იშჩენკომ.

**ლესია კულოჟენკო,**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“,**
**29 ივლისი.**

# ბაღაფშს ზედმეტი წამოსცდა

**აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტები სერგეი ბაღაფში და ედუარდ კოკოითი უახლოეს მომავალში ხელს მოაწერენ „დიდ ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“.** ორ ყოფილ ქართულ ავტონომიას შორის თანამშრომლობის განვითარების თაობაზე მორიგებას მიაღწიეს გაგრაში მათი ლიდერების ორდღიანი მოლაპარაკების დროს, სადაც კოკოითი მთელ თავის ოჯახთან ერთად ჩავიდა ერთი კვირით დასასვენებლად. გაგრაში შეხვედრის შედეგი გახდა ერთობლივი კომუნიკე. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს საქმე მიჰყავთ საკუთარი სამხედრო მინი-ბლოკის შექმნისკენ. თუმცა, კომუნიკეში ეს უშუალოდ ხაზგასმული არ არის. იქ აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ მხარეებმა მიაღწიეს მორიგებას „ორი სახელმწიფოს თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროში“ სტრატეგიული პარტნიორობის განვითარების შესახებ. მაგრამ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ არსებობს საქართველოს მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენების რეალური საფრთხე. სერგეი ბაღაფშმა შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „თუ საჭირო გახდება ურთიერთმხარდაჭერა შეიძლება გადაიზარდოს სამხედრო დახმარების გაწევაშიც“.

თუ პირველი კომენტარებით ვიმსჯელებთ, თბილისში, გაგრის კომუნიკეს საკმაოდ მშვიდად შეხვდნენ. უწოდა რა ბაღაფშისა და კოკოითის საკურორტო მოლაპარაკებას „სახელმწიფობანას თამაში“, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ „ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტებთან საუბრისას აღნიშნა: „კავშირი, რომლის შექმნაც სურთ ბაღაფშს და კოკოითის, არალეგალურია. ეს კი ყველა საერთაშორისო ნორმის მიხედვით ისჯება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ასეთ კავშირს აქვს სამხედრო ალიანსის ხასიათი“. ამავე დროს, თბილისში მიაჩნიათ, რომ თავიანთი განცხადებებით ბაღაფში და კოკოითი რუსეთს რთულ მდგომარეობაში აყენებენ. „ცხადია, რომ ურთიერთდახმარების გაწევის მიზნით აფხაზეთიდან სამხრეთ ოსეთში და პირიქით — ჯარების და სამხედრო ტექნიკის გადასაყვანად შეიძლება მხოლოდ რუსეთის ტერიტორიის გამოყენება, — განაცხადა წამყვანმა ქართველმა სამხედრო ექსპერტმა ირაკლი ალადაშვილმა. — თუ მოსკოვი დათანხმდება ასეთ ვარიანტს, მაშასადამე, ბაღაფშს, რაღაც ზედმეტი წამოსცდენია. თუ არა, მაშინ რუსეთის მხარემ მას თავისი ადგილი უნდა მიუჩინოს“. მაგრამ მოსკოვში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ლიდერების შეხვედრის შედეგებზე რეაგირებას არ ახდენენ. „უკომენტაროდ“, — ასე გვითხრეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის და პრესის დეპარტამენტის ოპერატიული ინფორმაციის განყოფილებაში. თუმცა, ამასთან აღნიშნეს, რომ რუსეთის ამ უწყების წარმომადგენლები, „რა თქმა უნდა, თვალყურს ადევნებდნენ“ ბაღაფშის და კოკოითის მოლაპარაკებას.

**იური სიმონიანი,**
**ანატოლი გორდიენკო,**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“, 29 ივლისი.**

# სახელმწიფოთა მეთაურების ცოლები ხალხში თავიანთ ქმრებზე ნაკლებად პოპულარულები როდი არიან

**მიმდინარე კვირას აზერბაიჯანის გუბინსკის რაიონის დაბის კრასნაია სლობოდას მცხოვრებლებმა ოფიციალურად წამოაყენეს 2005 წლის ნოემბრის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისთვის რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლის მეჰრიბან ალიევას კანდიდატურა. ეს ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ ქალბატონი ალიევა თუ ხელისუფლებაში მოხვდება, მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება.**

ქალბატონ ალიევას მაგალითი თავისებურად უნიკალურია. ცნება „პირველი ლედი“ ახალია პოსტსაბჭოური ქვეყნების ცხოვრებაში და მას ძალზე უჭირს იმ ადგილის დამკვიდრება, რომელიც უკავია დასავლეთში. იქ, პრეზიდენტის ცოლები თავისუფლად შეიძლება იყვნენ დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურები, როცა ჩვენში ეს ქალბატონები ჯერ კიდევ მხოლოდ სანიმუშო დედები, მეუღლეები და დიასახლისები არიან. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, ზოგიერთი მათგანი არის წარმატებული ბიზნეს-ლედი, ქმრის არაფორმალური მრჩეველი, ან, უბრალოდ, ქვეყანაში ყველაზე პოპულარული პიროვნება. „ნოვიე იზვესტიას“ კორესპონდენტმა ელენა გამოვამ სცადა გაერკვია, თუ როგორ ცხოვრობენ და რა საქმიანობას ეწევიან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ზოგიერთი ქვეყნის პირველი ქალბატონები.

როგორც კიევიდან გვაცნობებს, ეკატერინე იუშჩენკო (მისი ქალიშვილობის გვარი ჩუმაჩენკოა) დაიბადა ჩიკაგოში, უკრაინელი იმიგრანტების ოჯახში. გოგონამ წარჩინებით დაამთავრა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი. კარიერა დაიწყო თეთრი სახლის საზოგადოებრივი კავშირურთიერთობის ოფისის მეთაურის მოადგილის თანამდებობით. ამის შემდეგ იგი მუშაობდა ჯერ შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს სამდივნოში, შემდეგ კი კონგრესში — ეკონომისტად.

მოგვიანებით უკრაინის მომავალი პირველი ლედის წარსულით ისარგებლეს იუშჩენკოს პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა, რომლებმაც გაავრცელეს ხმები, თითქოს ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ შეახვედრა თავისი აგენტი — ეკატერინე ჩუმაჩენკო პერსპექტიულ უკრაინელ პოლიტიკოსს. თუმცა, შეერთებული შტატების დაზვერვასთან ეკატერინეს კავშირის შესახებ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. თვით ეკატერინე თავს უკრაინელად მიიჩნევს და უკვე კარგა ხანია მიიღო თავისი ისტორიული სამშობლოს მოქალაქეობა.

ამჟამად იგი პატრონობს საბავშვო სახლებს, ყოველმხრივ ეხმარება უკრაინის მუზეუმებს და თეატრებს. ეწევა წარმატებულ ბიზნესს — იჯარით გასცემს ბინებს. შემოსავლების შესახებ დეკლარაციის თანახმად, უკრაინის პირველი ლედი უფრო მეტ ფულს გამოიმუშავებს, ვიდრე მისი ქმარი. ჟურნალისტებთან სასაუბროდ ეკატერინე დროს, როგორც წესი, ვერ პოულობს.

საქართველოს პირველი ლედი — მშვენიერი სანდრა რულოვსი — ჰოლანდიელია, მაგრამ ქართველებს იგი ძალიან უყვართ. თუმცა, თვით სანდრამ დაიმსახურა ეს სიყვარული. სანამ პირველი ლედი გახდებოდა, იგი ეზიარა მართლმადიდებლობას, სრულყოფილად დაეუფლა ქართულ ენას. ახლა მისი პირადი რეიტინგი ქვეყნის პრეზიდენტისაზე ნაკლები არ არის. სანდრა, ძირითადად ქველმოქმედებას ეწევა. უკვე 8 წელია მეთაურობს ფონდს, რომელიც აგროვებს სახსრებს საქართველოს სკოლებისთვის, ხანდაზმულთა სახლების და ბავშვთა ინტერნატებისთვის, აგრეთვე, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის — ერთი სიტყვით ყველასთვის, ვისაც დახმარება სჭირდება. იგი პოლიტიკაში შეგნებულად არ ერევა. როგორც სანდრამ არაერთგზის განაცხადა, „ამისთვის კარგად მომზადებული უნდა იყო“. თუმცა, ერთ-ერთ ინტერვიუში მან საკუთარ თავს უწოდა „ქართველი ხალხის თვალი და ყური“.

ქართველებს მოსწონთ, რომ მათი პირველი ლედი, არა მარტო მომხიბლავი, არამედ ჭკვიანი და გონიერიც არის. სანდრას სიმშვიდე, თავდაჭერილი ქცევა, აშკარად აწონასწორებს მისი მეუღლის ემოციურ ხასიათს.

ყაზახეთის პრეზიდენტის მეუღლე სარა ნაზარბაევა განათლებით ინჟინერია. თუმცა, პროფესიით იგი არ მუშაობს და ასრულებს პირველი ლედისთვის უფრო ტრადიციულ ფუნქციებს — ძირითადად ქველმოქმედებას ეწევა. მისი ხელმძღვანელობით მოქმედი ფონდი „ბობეკი“ უკვე 10 წელია ორგანიზაციას უწევს მზრუნველობას დაავადებული ყაზახი ბავშვების მკურნალობას. ქალბატონი ნაზარბაევა თხილამურებით სრიალის და ცურვის დიდი მოყვარულია. მას უყვარს ხალხური სიმღერები. თუმცა, ადგილობრივმა პრესამ პირველი ლედის ბიოგრაფიის სხვა ნაკლებად ცნობილი დეტალებიც იცის. როგორც ჟურნალისტები ამტკიცებენ, სარა ნაზარბაევა დღეს თითქმის მთავარ როლს ასრულებს სახელმწიფო პორტფელების განაწილებისას. ამიტომ, როგორც ყაზახეთის გენერალური პროკურორი, ისე შინაგან საქმეთა მინისტრი, მთელი რიგი ოლქების გუბერნატორები, სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელები სარა ნაზარბაევას უახლოესი ნათესავები ან მეგობრები არიან.

ალბათ, ყველაზე მძიმე ხვედრი ერგო ბელორუსიის პირველ ლედის. თავის სტატუსს გალინა ლუკაშენკო მხოლოდ ნომინალურად ატარებს. როგორც მინსკიდან გვატყობინებენ, ბელორუსთა უმრავლესობას ეს ქალბატონი თვალითაც არ უნახავს. მეუღლის პრეზიდენტობის 11 წლის განმავლობაში გალინა ერთხელაც არ წაჰყოლია მას საზღვარგარეთ, არ დასწრებია არც ერთ ოფიციალურ მიღებას. თანაც, ალექსანდრე და გალინა ლუკაშენკოები ცალ-ცალკე ცხოვრობენ: ქმარი — მინსკში, ცოლი კი — მოგილიოვის ოლქის სოფელ რიჟკოვიჩში.

ლუკაშენკოს პრეზიდენტობის პირველ წლებში ადგილობრივი ოპოზიციონერი ჟურნალისტები და უცხოელი კორესპონდენტები დროდადრო ჩადიოდნენ სოფელში და ესაუბრებოდნენ გალინას, რომელიც მათ უამბობდა სოფლის სადაგ დღეებზე, კერძოდ იმაზე, თუ როგორ წველიდა ძროხას. გალინა ფოტოებს იღებდა შინაური პირუტყვის ფონზე. ეს აღიზიანებდა ლუკაშენკოს, რომელმაც თავის მეუღლეს აუკრძალა პრესასთან ურთიერთობა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსერვატიულად განწყობილი ბელორუსების თვალში ლუკაშენკოს იმიჯი საკმაოდ შეილახა მისი უცნაური ოჯახური ცხოვრების გამო. ზოგი იმასაც ამბობს, თითქოს ბელორუსიის პრეზიდენტს კავშირი ჰქონდეს მომღერალ-ქალებთან და მოდელებთან. მაგრამ ბელორუსიაში თითქმის ყველამ იცის, რომ ლუკაშენკოს უკვე არაერთი წელია რომანი მის პირად ექიმთან აქვს. ხალხში იმასაც კი ამბობენ, თითქოს მათ ორი შვილიც გაუჩნდათ. სწორედ ეს ქალბატონი ახლავს ბელორუსიის პრეზიდენტს ყველა მოგზაურობის დროს, თუმცა, კამერათა ობიექტივში ერთხელაც არ მოხვედრილა. იმასაც ამბობენ, თითქოს ლუკაშენკოს ცხოვრების ახალი თანამგზავრი საკმაო გავლენას ახდენს ბელორუსიის პოლიტიკაზე. მაგალითად, მრავალი სახელმწიფო მოხელე ბელორუსიის პრეზიდენტთან შესვლის წინ ამა თუ იმ ოფიციალურ და არაოფიციალურ საკითხზე სწორედ მას ეთათბირება.

რაღაც საერთო არსებობს ბელორუსიის პირველ ლედისა და მის მოლდაველ კოლეგას შორის. ვლადიმერ ვორონინის მეუღლე — ტაისია, ასევე პრაქტიკულად არ ჩნდება ხალხში. თუმცა, ზოგჯერ შეიძლება ტაისია შევნიშნოთ პროტოკოლით გათვალისწინებული ღონისძიებების დროს. განათლებით პედაგოგი, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა სკოლამდელ დაწესებულებებში. დღესაც მოლდავეთის პირველი ლედი აკეთებს იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია — ეწევა ქველმოქმედებას. ქალბატონი ტაისია ცდილობს გაუუმჯობესოს ცხოვრება გაჭირვებულ თანამოქალაქეებს. მისი ინიციატივით, სოფელ პირიტაში დაიწყო ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების მშენებლობა — თავისებური ნოუ-ჰაუ მოლდავეთისთვის. ხალხზე ეს დადებითად მოქმედებს — ტაისია ვორონინას პოპულარობა გარანტირებული აქვს.

**„ნოვიე იზვესტია“, 29 ივლისი.**

№ 179-180, შაბათი, 30 ივლისი, 2005 წელი.

ნიკოლაძისეული გზით

# „ფოთელებმა ჩიხი შეჯრეს“



## ქალაქში სახელისუფლებო ბაზალეთი ისტორიას ჩაბარდა

დღეს ფოთი სამშენებლო პოლიგონს ჰგავს. მიმდინარეობს დიდი აღმშენებლობითი პროცესი, რომელსაც სათავეში უდგას კაცი ნიკო ნიკოლაძის კუთხიდან, ფრიად განსწავლული, ერუდირებული და პროფესიონალი, პატრიოტი და უაღრესად პატიოსანი პიროვნება, ბატონი ვანო საღინაძე. მან ცუდბედობის ჟამს ითავა ქალაქის მერობა და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შექმნა თანხმობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო სახელისუფლებო შტოებს შორის.

ივანე საღინაძემ 1975 წელს დაამთავრა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა და სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1982-1985 წლებში, სწავლობდა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ასპირანტურაში. 1987 წელს იქვე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 2002 წელს კი — სადოქტორო დისერტაცია. არჩეულია საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1977-1994 წლებში მუშაობდა ქუთაისის უნივერსიტეტში ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად. შემდეგ იყო თეორიული მექანიკის კათედრის გამგე. 1994 წლიდან იყო ფოთის საინჟინრო-ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი. ამავე წლებში ბატონი ივანე საღინაძე გახლდათ ორივე მოწვევის ფოთის საკრებულოს წევრი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. 2005 წლის თებერვლიდან იგი დაინიშნა ქალაქ ფოთის მერად. მოკლედ, აი, ასეთია მისი გზა პოლიტიკური იერარქიისკენ.

ცხოვრებამ არაერთხელ აჩვენა, რომ დიდი საქმის კეთება შეიძლება ურთიერთთანადგომით. ეტყობა, ფოთის მომავალი ყინულზე არ იწერება და დასრულდება საშვილიშვილო საქმე, რაც დიდმა ნიკომ დაიწყო. ამის საბაბს გვაძლევს ნავსადგურის განვითარების ტემპები, დაიწყო ხორბლის გადამზიდავი ტერმინალის მშენებლობა, რომელიც წელიწადში ერთი მილიონ ტონა ყაზახეთის ხორბალს მიაწვდის ევროპას და ფოთი შეიქმნება ფორპოსტი აბრეშუმის გზის გზაჯვარედინზე. „ფოთი გახდება უდიდესი და უმდიდრესი ქალაქი, მაშინ იგი აჯობებს ოდესასაც“, მტკიცედ იყო დარწმუნებული მაშინდელი ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე იმაში, რომ ქალაქი დაადგა აღმასვლის გზას, თავისი ღირსეული სიტყვა თქვეს ფოთში „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა დავით შურღაიამ და გუბერნატორის მოადგილემ მამუკა თოდუამ.

ახლა კი გთავაზობთ ინტერვიუს ქალაქის მერთან.

**— ბატონო ვანო, ძნელია, ალბათ, მონომახის ქუდის ტარება...**

— რა თქმა უნდა, რთულია, ვინაიდან, ადრე სხვა მიმართულებით ვმუშაობდი. ეს იყო უმაღლესი და სამეცნიერო მოღვაწეობა. სულ სხვაა ქალაქის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ცენტრში მოხვედრა, სადაც შენს გარშემო უამრავი საკითხი იყრის თავს. 6 წელი საკრებულოს წევრი და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. ბუნებრივია, ვიცნობდი ქალაქის წინაშე მდგარ პრობლემებს, რამაც საშუალება მომცა განმეხორციელებინა დაკისრებული მოვალეობა. ეს არა მარტო მოვალეობა, არამედ — უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. ხუთი თვეც არ გასულა, რაც ქალაქის მერი ვარ, ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ურთულესი წლები გადაიტანა ქალაქმა, — იყო მძაფრი დაპირისპირება გარკვეულ ფენებს შორის. მოშლილი გახლდათ ქალაქის ინფრასტრუქტურა. მოუგვარებელი იყო ბევრი სამსახურისა და დაწესებულების იურიდიული ფორმა. ქალაქი თითქმის ქაოსს მოეცვა. ამიტომ, გადავწყვიტე, პირველ რიგში მიმეღწია თანხმობისთვის, რაც წარმატებით დასრულდა. ამის შემდეგ დავიწყეთ მეორე ეტაპი — საკადრო პოლიტიკა. ხელმძღვანელ თანამდებობებზე საკმაოდ გამოცდილი ადამიანები მოვიზიდეთ. მართალია, პირველ ხანებში მათაც გაუჭირდათ, მაგრამ, რაც მთავარია, ისინი სწრაფად გაერკვნენ სიტუაციაში და საქმეც დაიძრა.

**— როგორია 2005 წლის ბიუჯეტის პარამეტრები და როგორია პროგნოზი?**

— აქ, ისევ უნდა გავიმეორო, ჩემი მერად მოსვლის დროს ქალაქში ურთულესი მდგომარეობა იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, 16-მილიონიანი ბიუჯეტი იანვარში ამოღებული მხოლოდ 500 ათასი ლარით შეივსო, ხოლო თებერვალში — 780 ათასით. ალბათ, მიხვდებით, რა ძალისხმევა დაგვჭირდა ამ ხარვეზის შესავსებად. 6 თვეში საბიუჯეტო დავალების შესრულებამ 96 პროცენტი შეადგინა. გეგმას 300 ათასი აკლია, მაგრამ იგი დანარჩენ თვეებზე გადანაწილდება და შესრულდება. ახალ წელს პირნათელი შევხვდებით.

**— ფოთი სანავსადგურო ქალაქია. აღიქმება თუ არა იგი, როგორც ერთიან, ინტეგრირებულ ორგანიზმად, როგორადაც ამას ჭვრეტდა დიდი ნიკოლაძე? მეტად მტკივნეულია ის, რომ დღეს არ არსებობს საზღვაო ვაგზალი. იგი ერთ-ერთი ულამაზესი დასასვენებელი ადგილი იყო. გამოდის, ქალაქი ცალკეა, ნავსადგური — ცალკე. ამასთან, ოპოზიციური პარტიები 380 ჰა მიწის ნავსადგურისთვის გადაცემას გედავებიან.**

— დღეს ნავსადგურს ჰყავს ახალი ხელმძღვანელი, ნიჭიერი კაცი თემურ მიმინოშვილის სახით. იგი ნამდვილად საქმის მკეთებელია. მასთან ჩვენ მჭიდრო და ჯანსაღი ურთიერთობა გვაქვს და თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ნავსადგური ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში მთავარ როლს ასრულებს, მხარში უდგას მას.

ნავსადგურს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, აქვს გარკვეული მიწის ნაკვეთი, მაგრამ პრეზიდენტის ბრძანებულებით, მას შეეცვალა იურიდიული ფორმა და გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ამიტომ ჩვენ პრეზიდენტის წინაშე ნავსადგურს ვუშუამდგომლეთ, პირდაპირი განკარგვის წესით გადასცემოდა 420 ჰა მიწა (40 ჰა, რომელზეც გაშენებულია უშუალოდ ნავსადგური და 380 ჰა აუთვისებელი, დაჭაობებული, ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო ზოლი). ეს იმას ნიშნავს, რომ მიწები ქალაქის განკარგულებაში რჩება და ნავსადგური ვერც ერთ ინვესტორს ვერ გაუფორმებს ხელშეკრულებას ქალაქის მთავრობის გარეშე, თუკი მასში გათვალისწინებული არ იქნება ქალაქის ინტერესები.

რაც შეეხება კითხვას, საზღვაო ვაგზლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის შესახებ, მართლაც, იგი იყო ფოთელების და არა მარტო ფოთელების, ერთ-ერთი უმშვენიერესი დასასვენებელი ადგილი თავისი სამსართულიანი რესტორნით, ზღვის სანავსადგურო პანორამით. სამწუხაროდ, ამას უნდა შევველიოთ, ვინაიდან, აქ მალე დაიწყება ახალი ნავმისადგომებისა და ტერმინალების მშენებლობა.

ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ ქალაქის მოსახლეობას დასვენებისა და კულტურული ღონისძიებების ჩასატარებელი ადგილი სჭირდება. ამიტომ გადავწყვიტეთ, პარკის ძირეული რეკონსტრუქცია, რომელშიც ჩაიდება ერთი მილიონი ლარი, აქედან ქალაქი გაიღებს ოც პროცენტს, დანარჩენს — ინვესტორები. იგი იქნება საოცრად ლამაზი, გაკეთდება მუსიკალური შადრევანი, იმუშავებენ ატრაქციონები, კაფე-ბარები, მინი ფუნიკულიორი, პარკი ერთნაირად მიმზიდველი იქნება ახალგაზრდებისა და ხანდაზმულებულთათვის. მიუხედავად იმისა, რომ იგი შემოიღობება, შესვლა უფასო იქნება. სხვათაშორის, კალინინგრადში, ჩვენს დაძმობილებულ ქალაქშიც ცენტრალური პარკი შემოღობილია.

— დღის წესრიგში დგას ახალი ნავსადგურის მშენებლობის საკითხი, სადაც იმავდროულად, ალბათ, გათვალისწინებული იქნება დიდი კუნძულის ნაპირსამაგრი სამუშაოები. თქვენ ხომ ამ დარგის სპეციალისტი ხართ და სადოქტორო დისერტაცია დაიცავით ამ თემაზე.

— მართლაც, დასაჩქარებელია მისი მშენებლობის დაწყება თავისი ნაპირსამაგრი კომუნიკაციებით, რათა თავიდან ავიცილოთ დიდი კუნძულის წარეცხვა. მე ამ საქმეში თავიდანვე ვიყავი ჩართული. ამ საკითხთან დაკავშირებით, გახლდით გერმანიაში, თბილისში, მქონდა შეხვედრები ფოთში.

იხ. მე-9 გვ.

სიახლე

# მინისაწარმოები, როგორც ვაზს სარი, ისე შეუდგება მხარში მევენახეებს

**კახეთში, მოგეხსენებათ, მევენახეობა უმნიშვნელოვანესი დარგია. ქარვისფერი ყურძენია გლეხკაცის მარჩენალი. არადა, მევენახეებს სწორედ მის ჩაბარებასთან დაკავშირებით ექმნებათ პრობლემები. ასე იყო შარშან, შარშანწინ... რა მოხდება წლეულს? ამის თაობაზე რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე შალვა ერისთავი გვესაუბრება:**



— საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით, კახეთში ყურძნის გადასამუშავებლად იტალიური წარმოების 11 მინისაწარმო გავანაწილეთ: 3 მინიქარხანა თელავს გადაეცა, ორ-ორი — ახმეტას, ყვარელსა და გურჯაანს, თითო — სიღნაღსა და ლაგოდეხს. დასამონტაჟებლად მათ არც ისე დიდი ფართობი სჭირდება, მცირე მეწარმეობისთვის არის განკუთვნილი. ყოველდღიურად 2-3 ტონა ყურძნის გადამუშავება შეუძლია. კერძო მეურნეს ხელფეხი ეხსნება, რათა თავად შექმნას მზა პროდუქცია ადგილობრივ თუ უცხო ბაზარზე სარეალიზაციოდ.

„ფერარ გრუპის“ ეს ნაწარმი ჩვენი მოსახლეობისთვის მხოლოდ ნიმუშებია. სამომავლოდ მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება და მევენახე ღვინის ქარხნებზე არ იქნება დამოკიდებული.

**— კი მაგრამ, მინისაწარმოს შეძენას ხომ სათანადო სახსრები სჭირდება?**

— სიმძლავრის მიხედვით, მათი ღირებულება 9-დან 15 ათას ლარამდე მერყეობს. ყველა მსურველს, ცხადია, როდი აქვს ამდენი თანხა. ამიტომაც წლეულს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდმა შეღავათიანი კრედიტები გასცა. სესხის უპრობლემოდ დაფარვის მიზნით, კერძო მეწარმეებმა ბანკში საგარანტიო ქონება ჩადეს.

იტალიურ ფირმას წარმომადგენლობა აქვს თბილისში და, ამდენად, მინისაწარმოს შეძენა უპრობლემოდ შეიძლება.

**— წინა წლებში კახელ მევენახეებს დიდი გასაჭირი ადგათ ყურძნის ჩაბარებასთან დაკავშირებით. 11 მინისაწარმო, ამ სატკივარს, ცხადია, ვერ უწამლებს...**

— შარშან პრეზიდენტის რწმუნებულის პეტრე ცისკარიშვილის უშუალო ძალისხმევით მოხერხდა რამდენიმე საწარმოსთვის უპროცენტო სესხის გამოყოფა, რათა მოსახლეობისთვის ვალი გადაეხადათ და ყურძნის ჩაბარება არ შეფერხებულიყო. მაგალითად, წინანდლის ღვინის ქარხნამ 400 ათასი ლარი მიიღო.

წლევანდელი რთველისთვის თადარიგს აქედანვე ვიჭერთ. ვიცით, ღვინის ქარხნები რამდენი ტონა ყურძნის გადამუშავებას შეძლებენ. ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული ქვეყნის მთავრობა, განსაკუთრებით — სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ასევე, სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი და გამგეობები.

ჩვენი ინფორმაციით, მაგალითად, ყვარლის რაიონი წლეულს 5-6 ათასი ტონა ყურძნის ჩაბარებას აპირებს. გასულ წლებთან შედარებით 1,5-2-ჯერ გაიზრდება მოსავალი სხვა რაიონებში. ეს განპირობებულია არა მარტო იმით, რომ ვენახებს კარგი პირი უჩანს, არამედ იმითაც, რომ ბოლო წლებში 500-600 ჰექტარი ახალი ზვარი შემოგვემატა.

ისიც მინდა დავძინო, რომ ყურძნის გადამუშავებასთან ერთად აქედანვე გასაღების ბაზარზეც ვზრუნავთ.

**— შხამქიმიკატებით თუ ამარაგებთ მოსახლეობას?**

— ეს სახელმწიფო პროგრამით არ არის გათვალისწინებული. უწინ, როცა ყურძნის დეფიციტი იყო, ღვინის ქარხნები დებდნენ გლეხებთან ხელშეკრულებას. ახლა კერძო სტრუქტურებს შემოაქვთ შხამქიმიკატები, ჩვენ კი ვარგისიანობას ვამოწმებთ. წინა წლებში იყო შემთხვევები, რომ უვარგისი შესაწამლი ნივთიერებებით ზოგან მოსავლიანობა დაეცა, ზოგან კი ვენახები დაზიანდა მათ რეაბილიტაციას წლები დასჭირდება.

როგორც გითხარით, კახეთში ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ერთი მტევანიც არ დაიკარგოს. ამით ხალხიც იხეირებს და ქვეყანაც.

ესაუბრა
ვაჟა დანელია,
„სრ“ სპეც. კორ.
თელავი — თბილისი.

ინფლაცია

**თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) ერთი კვირის მანძილზე (22 ივლისი — 28 ივლისი) 99,34 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,11 პროცენტი იყო.**

წინა კვირასთან შედარებით ფასების საერთო დონე შემცირდა 0,66 პროცენტით, მათ შორის სასურსათო საქონელზე — 1,45 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონელზე ფასები გაიზარდა 0,03 პროცენტით, მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა.

გასულ კვირასთან შედარებით ფასები შემცირდა ხახვზე (16,7 პროცენტით) და ღორის ხორცზე (6,2 პროცენტით), ხოლო ფასები გაიზარდა ჭარხალზე (18,2 პროცენტით) და სტაფილოზე (3,4 პროცენტით), ნავთზე ფასი გაიზარდა 1,6 პროცენტით, მომსახურებაზე ფასები არ შეცვლილა.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

საზოგადოება

# ეს „უსაქმური“ თბილისელები!

**ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე, 2003 წელთან შედარებით, 1,1 პროცენტით გაიზარდა. 2004 წელს ეს მაჩვენებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით 12,6 პროცენტს შეადგენდა. როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის ექსპერტები განმარტავენ, საქართველოში უმუშევრობის დონეს ჩამოყალიბებული ზრდის ან შემცირების ტენდენცია არა აქვს. 1998-2004 წლების მონაცემებით, უმუშევრობის დონე 11-13 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. 2004 წელს უმუშევრობის მაჩვენებელი ქალაქად უფრო მაღალი იყო, ვიდრე სოფლად და 24,3 პროცენტს შეადგენდა. 1997-2004 წლებში უმუშევრობის დონე სოფლად 3-4 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა.**

**ექსპერტების განმარტებით, სოფლად უმუშევრობის დაბალ დონეს გარკვეულწილად მეურნეობაში თვიდდასაქმება განსაზღვრავს. სოფლად დასაქმების 80 პროცენტი სასოფლო მიწის დამუშავებაზე და პირუტყვის მოვლაზე მოდის.**

**რეგიონებიდან უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე, ტრადიციულად, თბილისშია. 2004 წელს ამ მაჩვენებელმა 26 პროცენტს მიაღწია. უმუშევრობის მაღალი დონე დაფიქსირდა აჭარაშიც — 17,6 პროცენტი. უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონე, ტრადიციულად, აგრარულ რაიონებშია: გურიაში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში, რაც ამ რეგიონებში მასობრივი თვით დასაქმებითაა განპირობებული.**

მედიანიუსი

ინფორმაცია

# აფხაზებმა სოხუმის იუბილეს აღნიშვნა გადადეს

**აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ლეონიდ ლაკერბაიას თავმჯდომარეობით გამართულ სეპარატისტული მთავრობის თათბირზე სოხუმის 2500 წლის იუბილის საკითხი განიხილეს.**



**სეპარატისტებმა სოხუმის იუბილის აღნიშვნა, შესაძლოა, 2008 წლის შემოდგომაზე გადაიტანონ.**

**— ქალაქ დიოსკურიის აღმოცენების დრო, პირობითად, განსაზღვრულია, ამიტომ ამ თარიღის გადატანა შესაძლებელია, — შენიშნეს თათბირზე.**

**იუბილის აღნიშვნის გადატანის წინადადება ე.წ. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრებს ეკუთვნით. ისინი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას, რიგი პოლიგრაფიული პროდუქციის და სამეცნიერო შრომების გამოცემას, ასევე, კულტურისა და არქიტექტურის ძეგლების, კერძოდ, სანაპიროს და სოხუმის ციხესიმაგრის აღდგენას ითხოვენ. ამ ადგილზე აპირებენ, გახსნან მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რომელიც იუბილის აღსანიშნავი ღონისძიებების მთავარი ცენტრი უნდა გახდეს.**

**ლეონიდ ლაკერბაიამ განაცხადა, რომ მთავრობა და ქალაქის ხელისუფლება, ალბათ, 2006 წლის შემოდგომისთვის დედაქალაქის მოწესრიგებას ვერ მოასწრებს, ამიტომ იუბილე მოგვიანებით, 2008 წლის შემოდგომაზე უნდა გაიმართოს. ამისთვის სეპარატისტული მთავრობის 2006 წლის ბიუჯეტში ცალკე მუხლი ჩაიდება.**

# რკინიგზიდან მოსალოდნელ შემოსავალს ითვლიან



**— აფხაზეთის რკინიგზა მეტად რთულ მდგომარეობაშია, მაგრამ მისი რთული ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, ის მაინც ფუნქციონირებს, გადაჰყავთ მგზავრები, გადააქვთ ტვირთები, აფხაზეთის საწარმოები ტვირთებს დროულად იღებენ, — აცხადებს სარკინიგზო ტრანსპორტის საკითხებში აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენელი რუსეთში ანდრეი ტურუკინი. მისი თქმით, დღეისთვის აფხაზეთის რკინიგზაზე 386 ადამიანია დასაქმებული, მაგრამ დიდი სატრანზიტო გადაზიდვების გარეშე მაგისტრალი სერიოზულ ზარალს იღებს... ამიტომ, ტურუკინის თქმით, აფხაზეთის რკინიგზის სრულად ამოქმედება რესპუბლიკის ეკონომიკისთვის მეტად აუცილებელია.**

**— ჩვენი ექსპერტების მონაცემებით, საწყის ეტაპზე, ანუ პირველ წელიწადში აფხაზეთის რკინიგზით ტვირთების გადაზიდვის მოცულობა ყოველთვიურად ერთ მილიონ ტონას შეადგენს. ეს იქნება უფრო საქართველოს, სომხეთის ტვირთები და ნაკლებად აზერბაიჯანის, რადგან ბაქოდან ტვირთების ძირითადი ნაწილი ფოთსა და ბათუმის პორტებში ჩადის, — აცხადებს ანდრეი ტურუკინი.**

**მისივე თქმით ამჟამად აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა ამ სატრანზიტო საკითხებზე დეტალურად მუშაობს.**

მედიანიუსი

მეზობელო კარისაო...

# კლარჯეთსა და ტაოში — ქართული სიწმინდეების მოსახილველად

**20 ივლისს შესრულდა ერთი წელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოღვაწეობის დაწყებიდან, რაც კანონმდებლებმა ერთობ მოკრძალებულად აღნიშნეს — მცირე იუბილის კვირაძალს მოეწყო ექსკურსია თურქეთის რესპუბლიკაში მდებარე ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების დასათვალიერებლად.**



ართვინის ვილაიეთში იმყოფებოდა უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობა (აქ არ იგულისხმება საპარლამენტო უმრავლესობა, რამდენადაც, მოგზაურობაში ოპოზიციაც მონაწილეობდა) — 17 დეპუტატი. ჯგუფში, მათთან და აპარატის მუშაკებთან, მედიის წარმომადგენლებთან ერთად, რაკი ვიზიტი არაოფიციალური იყო, ოჯახების წევრებიც შედიოდნენ.

მიუხედავად ასეთი, არაოფიციალური ხასიათისა, სარფის კარის გავლისთანავე, მასპინძელთა ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდით. დამხვდურმა ოფიციალურმა პირებმა, გულითადი მისალმების შემდეგ, საპატიო ესკორტით, ვილაიეთის ცენტრში, ვალის (გუბერნატორის) რეზიდენციაში მიგვაცილეს.

გულთბილი, მეგობრული შეხვედრა მოგვიწყვეს ვალიმ ორჰან ქირლიმ, ართვინის მერმა ემინ ოზგიუნმა, ადმინისტრაციის სხვა ხელმძღვანელებმა. ბატონმა ქირლიმ აღნიშნა ორი მეგობარი სახელმწიფოს საზღვრისპირა რეგიონების, კარის მეზობლების ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოების აუცილებლობა; ყველა სფეროში და ყველა დონეზე მეგობრული კავშირების გაღრმავებისა და განმტკიცების, ერთობლივი, ურთიერთხელსაყრელი პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობა; ილაპარაკა ვილაიეთში მიმდინარე სასიკეთო ძვრებზე, მკვეთრ ეკონომიკურ და სოციალურ კულტურულ აღმავლობაზე; პერსპექტივებზე, რასაც მოსახლეობას უსახავს დერინერის ცნობილი ჰიდროკასკადის მშენებლობა.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის, გადასცა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის მოკითხვა და საუკეთესო სურვილები და, თავის მხრივ, გამოხატა მზადყოფნა უფრო მჭიდრო მეგობრული კავშირების დასამყარებლად; კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მალე ორ საზღვრისპირა რეგიონს პირდაპირი სატელეფონო კავშირი ექნება. დასასრულ მასპინძლებს სამახსოვრო საჩუქრები მიართვა.

ასევე გულითადი იყო შეხვედრა ართვინის ვილაიეთის სახალხო მეჯლისში. როგორც მისმა თავმჯდომარემ ილმაზ ქიოსემ გვამცნო, მეჯლისი, რომელშიც 21 წევრი და 5 დარგობრივი კომისიაა, თვეში ერთხელ, პლენარულ სხდომაზე იკრიბება და განიხილავს რეგიონის საჭირბოროტო საკითხებს, იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საპასუხო სიტყვისა და საჩუქრების გადაცემის შემდეგ გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება. მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს შენობა, გვიპასუხეს შეკითხვებზე. გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოსურათები.

მეგობრული ვიზიტის ნახევრადოფიციალური ნაწილი დამთავრდა სადილით ართვინის ახალ, კომფორტულ სასტუმრო „ქორუმში“, სადაც დავბინავდით კიდეც...

პირველი ექსკურსია. ავტომანქანების კორტეჟი ეშვება ულამაზეს გორაკზე ტერასებად შეფენილი ქალაქის სერპანტინზე; კიდევ ერთხელ, ხარბად ვათვალიერებთ ართვინის ძველთაძველ ციხესიმაგრეს; ხელმარჯვნივ ვუხვევთ და ჭოროხს აღმა მივუყვებით. მთელ გზაზე ძალუმად იგრძნობა დერინერის კაშხლის, ჭეშმარიტად გრანდიოზული მშენებლობის, სხვა სიტყვა არ არსებობს, ფანტასტიკური მასშტაბურობა.

ეს შთაბეჭდილება უკვე ბორჩხას გამომცდარს გეუფლება. მთელი ხეობა უსასრულო სამშენებლო მოედნად ქცეულა. მასშია მოქცეული ძველი საავტომობილო გზაც, ადრე ჭოროხის ნაპირებს რომ გასდევდა. ახალი გზა ასი მეტრით ზემოთ მიიკლაკნება, მთებში. მდინარის კალაპოტი მთლიანად შეცვლილია და დაქსელილია უამრავი საკომუნიკაციო ნაგებობით, ცადაზიდული, კოშკის მსგავსი ბურჯებით, ხიდებისა და ესტაკადებისთვის. ენერგეტიკოსთა საცხოვრებელი სახლების კომპლექსიც უკვე აგებულია.

ჩვენს თვალსაწიერში ორი, შესაძლოა, ყველაზე დიდი, გიგანტური ობიექტი მოხვდა. მეორე, თვით დერინერია (დერინ იერი ღრმა ადგილს ნიშნავს), ართვინის ზემოთ. ასეთი კი, სულ თერთმეტი იქნება თურმე. რა დასამალია, ჩვენთვის შემაშფოთებელია, რომ წყლით უნდა დაიფაროს რამდენიმე თაღოვანი ხიდი და, შესაძლოა, ზოგიერთი ეკლესია და მონასტერიც. დამთრგუნველია ქართველი კაცისთვის ყოველივე ამის ადგილზე, საკუთარი თვალით ნახვა. რა იქნება, როგორ იქნება, ძეგლებს რომ თავი დავანებოთ, რას გვიქადის ყოველივე ეს ადამიანებს, როგორ იმოქმედებს კლიმატზე, უკვე ნოტიო კლიმატი კი — იმავე ძეგლებზე, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდება შესაძლო მიწისძვრისას?! მწველია ფიქრები, ყოველ ჩვენგანს რომ არ შორდება მთელ გზაზე. აქაც ხომ მთლიანად შეცვლილია ლანდშაფტი! რაღა იქნება ქვემოთ?

... არტანუჯში ვართ. ამ კლდოვანი კედლების პირველად მნახველი, ასეთი კი დიდი უმეტესობაა, შიშთან ერთად, სიამაყე ეუფლება, ქვეშეცნეულად. ქვემოდან შევყურებთ ბაგრატოვანთა სამეფო საგვარეულოს აკვნად ცნობილი მხარის გუშაგად ჯერ კიდევ, ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ციხის ნაშთებს. ხავსმოდებულ ბასტიონებს მისას. შორიდან მოხილვით ვკმაყოფილდებით, რადგანაც ერთი საათი არ იკმარებსო ასავლელად, გვიხსნიან მასპინძლები. ჩვენც, არტანუჯის მზის მცხუნვარებით ისედაც გათანგულნი, მცირე შესვენების შემდეგ, კვლავ ზემოთ მივუყვებით გზას.

ენი რაბათი. — ასე ჰქვია სოფელს და ასევე უწოდებენ აქ შემორჩენილ ძველ ქართულ გუმბათოვან საყდარს, რომლის სანახავად მოვედით. თექვსმეტი წლის წინათ, როცა ამ სტრიქონების ავტორი პირველად ეახლა მას, ვიდეოფირზე პირველად გადასაღებად, იგი გაცილებით ცუდ დღეში იყო. ახლა ინტერიერი გაუწმენდიათ, მისასვლელიც გაულამაზებიათ და გზაც მიუყვანიათ. მაშინ სამი კილომეტრის გავლა ფეხით მოგვიხდა, მოკლეზე გაკვალული ბილიკებით. ბევრს შატბერდის მონასტერი ჰგონია ენი რაბათის ეკლესია. ენი, მოგეხსენებათ, ახალია (ძველი რაბათი, რამდენადაც ვიცი, მესხეთშია, რომ არაფერი ვთქვათ, მაროკოს დედაქალაქზე, არაბეთის მიწაზე მიმობნეულ სოფლებსა და ქალაქებზე). შატბერდი აქ იმ უბრალო მიზეზით ვერ იქნება, რომ ეს ტაოს მიწაა, შატბერდი კი, შუა საუკუნეების ქართული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი კერა, როგორც ძველადვე უწოდეს, „საქართველოს სინაი“, კლარჯეთშია.

გრიგოლ ხანძთელის მიერ IX საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებული ამ რელიგიური ცენტრის ლოკალიზაციის საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. მეცნიერთა ერთი ნაწილი შატბერდს ხანძთის ტაძრად მიიჩნევს, ნიკო მარი კი თვლიდა, რომ შატბერდი იგივეა, რაც სოფელ ფორთაში მდებარე ეკლესია...

იმარჯვეს ჩვენმა მძღოლებმა და უკან გზაზე, დაბნელებამდე, მოვასწარით ასვლა დოლისყანაში, სულ ოციოდე კილომეტრი რომ აშორებს ართვინს.

სოფელ დოლისყანას ახლა ჰამამლი ჰქვია. ასეც ეძახიან — დოლისხანე. თუმცა ეს ხომ სულ სხვა რამეა. დოლისყანა კი, დამეთანხმებით, ორგზის ქართული სიტყვაა. გაბარიტებით იგი, ენი რაბათზე მცირე, გუმბათოვანი საყდარია, 1200 წლის წინათ აგებული. აქ, 826 წელს აღესრულა აშოტ პირველი კურაპალატი, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი, აშოტ დიდად წოდებული მეფე ქართველთა...

უფრო დიდი შთაბეჭდილებები, მეტი საბაბი, საფუძველი ეროვნული სიამაყისა მეორე დღეს ელოდათ მოგზაურთ. თუხარისში (იუსუფელში) მცირე ხნით შეჩერების შემდეგ, პარხალს ვეწვიეთ... საოცრებაა პარხლის ბაზილიკა. ისევე, როგორც იშხანი, თავისი იშვიათი სინატიფით, ულამაზესი გუმბათით და სულისშემძვრელი მოულოდნელობით — გადარჩენილი, ჯერაც გაუხუნარი ფრესკებით...

ორივე ამ დიდებულ ტაძარში, ამ მარად ცოცხალ, ხელთუქმნელ ძეგლებში ჩვენი ერის წარსულის სიდიადისა, ავანთეთ სანთლები და, საკურთხევლის წინ შექუჩებულებმა, კარგა ხანს, მღელვარებით ვისმინეთ ეკა ხერხეულიძის მიერ შთაგონებით აღვლენილი ლოცვანი...

ოშკისა და ხახულის ნახვაც ძალიან ეწადათ მერაბ ქიძინიძეს და თემურ ცეცხლაძეს; მალხაზ სიორიძეს შავშეთს, ტბეთის ტაძრისაკენ მიუწევდა გული; სხვებს — ოთხთა ეკლესიისაკენ... გულმშვიდად იყო ლეილა ჩხეიძე, ვისაც დიდი ხნის წრინათ მოუვლია ტაო-კლარჯეთი. პეტრე ზამბახიძესაც, ახლა გამალებით, ვიდეოკამერას რომ ატრიალებს. — მარტო იშხანი 25 წუთამდე გადავიღეო, უხარია...

— ზოგიც სამერმისოდ გადავდოთო, გადაწყვიტა უმრავლესობამ (ცხადია, არა საპარლამენტომ), რომელსაც, ამჯერად, მურმან ღუმბაძემ და გია მასალკინმაც უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი. ეს ზღვა შთაბეჭდილება, ნანახგანცდილი, ასე რომ გამაღლებს და გაღელვებს, უნდა დაწდეს, დალაგდეს, და... სულიერად განიწმინდო.

ანტონ პეტრიაშვილი

ხმა უცხოეთიდან

# „ახალი ათინას“ წიღამური?

## ღია ბარათი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების გამო

**პატივცემულო პრეზიდენტო, ბატონო მიხეილ,**

**ამ ღია ბარათს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** [illegible] **გწერთ.**

**წინასწარ მინდა, გითხრათ, რომ ეპოქაში, როდესაც პოლიტიკოსობა ბევრი ჩემი თანამემამულისათვის ერთგვარ ხელმისაწვდომ და სარფიან ხელობად გადაიქცა, სიტყვით და საქმით ყოველთვის შორს ვიდექი პოლიტიკისაგან.**

უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მუდამ მწამდა და დღესაც მწამს: [illegible]

[illegible] („ეფესელთა ...“, 11:1-2).

[illegible] კარგად ვიქცევით თუ არა მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის პოლიტიკის ცინიზმსა და სიცრუეზე აშკარად თვალს ვხუჭავთ და ბოროტების სამსახურში ვდგებით. არ განვსჯი იმიტომ, რომ მესმის: სქილასა და ქარიბდას შორის მოქცეულ საქართველოს, შესაძლოა, სხვა პოლიტიკური გამოსავალი არც ჰქონდეს.

ამ ბარათს ერთ კონკრეტულ საკითხზე — **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების გამო** გწერთ.

გწერთ, რადგანაც მწამს: ყოველი ერის ცხოვრებაში დგება ისტორიული მომენტი, როდესაც ყოველ მამულიშვილს აქტიური მოქმედება მოეთხოვება და დუმილი დანაშაულის ტოლფასი ხდება. ჩემი ხმა, მინდა, შეუერთდეს იმ ასიათასობით ხმას, რომელსაც უკვე, თხუთმეტიოდე წელია, არსებობის, ადამიანური ღირსების ქონის, უკეთეს მომავალზე ოცნების უფლება ჩამოართვეს. უბედურებაა, რომ მოქალაქეთა „თავში ჩარტყმის“ პოლიტიკას კიდევ უფრო მძაფრი სარკაზმით ახორციელებს ის ხელისუფლება, რომელსაც არსებობისათვის ყოველდღიური ბრძოლით ქანცგაწყვეტილმა, ღირსებაწართმეულმა ერმა და ბერმა თავისი უკანასკნელი სასოება და იმედი მიანდო.

[illegible]



შესახებ, სხვათა შორის, 2003 წელს რომში გამოცემული ჩემი ერთ-ერთი ნაშრომის რეცენზიაში რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის ყოფილი პრორექტორი, პროფესორი ფილიპ ლუიზიე წერს, წიგნის ავტორი **თბილისის უნივერსიტეტის დიდი მეტრების** აღზრდილიაო.

საქმე ეხება არა რომელიღაც უნივერსიტეტს, ინსტიტუტს, თუ უმაღლეს სკოლას, რომელიც ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას ემსახურება, არამედ— **დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტს, რომელიც დაფუძნების დღიდანვე იყო ქართველი ერის არა მხოლოდ ინტელექტუალური ძალების სულიერი საბრძმედე, არამედ — თავისუფალი, ალტერნატიული, ოპოზიციური აზრის აკვანი, ქვეყნის კეთილდღეობასა და მომავალზე მოფიქრალი ბრძენი ჭირისუფალი, ფეხქვეშ გათელილი ეროვნული თავმოყვარეობისა და ცნობიერების ნავსაყუდელი, საქართველოს სულიერების ერთადერთი და შეუცვლელი კერა, სამშობლოს წმიდათაწმიდა საკურთხეველი.**

სულაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ თავის დროზე **თბილისის უნივერსიტეტმა იკისრა თერგდალეულთა დიდი მისია,** რომლის მოკვლასაც ილია ჭავჭავაძის განადგურებით შეეცადნენ. როდესაც ილიას მკვლელობით „ეპოქა გათავდა დიდი“, მაშინ **ივანე ჯავახიშვილმა შექმნა უკვდავი უნივერსიტეტი, რითაც ქართველი ერის ისტორიაში ახალი, დიდი, დაუსრულებელი ისტორია დაიწყო. სწორედ ამიტომ უნივერსიტეტი უფრო დიდია, ვიდრე — ყველაზე დიდი ქართველი მწერალი, ვიდრე — ყველაზე დიდი ქართველი მეცნიერი, ვიდრე — ყველაზე დიდი ქართველი პრეზიდენტი და ამიტომაც არავის არა აქვს მისი ჰაიჰარად ხელყოფის უფლება.**

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ დასანან ფურცელს, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ისტორიაში ყველასათვის ცნობილ ისტორიულ კონტექსტში ჩაიწერა და მასზე დიქტატორული პოლიტიკური რეჟიმის ძალმომრეობის შედეგი იყო, თამამად შეიძლება, ითქვას, რომ თბილისის უნივერსიტეტს ურთულესი ისტორიული ქარტეხილების პირობებშიც არასდროს უღალატია თავისი დიდი სულიერი მისიისათვის.

**ბატონო პრეზიდენტო, ვინ მოგვცა იმის უფლება, ამ საუკუნეობით ნანატრი და დღეს წმინდა სისხლის ფასად მოპოვებული თავისუფლების ხანაში დემოკრატიული პრინციპებით არჩეული ქვეყნის „ეროვნული“ ხელისუფლების პაწაწკინტელა ახალგამოჩეკილი ჩინოვნიკები ადამიანის ელემენტარული უფლებების უხეში დარღვევით შეეცადონ, ხელი აღებინონ უნივერსიტეტს იმ მისიაზე, რომელსაც იგი, როგორც ქართველთა „ახალი ათინა“, თითქმის მთელი საუკუნეა, მუხლჩაუხრელი ემსახურება.**

ბატონო პრეზიდენტო, რითი შეიძლება, გავამართლოთ თბილისის უნივერსიტეტის ავტონომიურობის სტატუსის გაუქმება, რომელიც პირადად თქვენი 2005 წლის 8 ივნისის ბრძანებულებით განხორციელდა?

რითი შეიძლება, გავამართლოთ ასეთი უხეში ჩარევა უნივერსიტეტის საშინაო საქმეებში, როდესაც ფაქტობრივად გადააყენეთ ძველი რექტორი და მის ნაცვლად თქვენთვის სასურველი პიროვნება დანიშნეთ, შემდეგ კი სტატუსი შეუცვალეთ თავად რექტორს და რექტორის მოვალეობის შემსრულებლად აქციეთ?

სხვათა შორის, პირადად არაფერი მაქვს ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძის საწინააღმდეგო. პირიქით, მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. როდესაც იგი იტალიაში საქართველოს ელჩი ბრძანდებოდა, მასთან ურთიერთობა ყოველთვის შინაგანად მამდიდრებდა. მე მხოლოდ უპირველესი ეროვნული განათლების ტაძრისადმი თქვენი დამოკიდებულება მაშფოთებს, რადგანაც იგი ფაქტობრივად ნიშნავს, უნივერსიტეტს უთხრა: შენ არაფერს წარმოადგენ, არაფრით განსხვავდები ერთი ჩვეულებრივი სასწავლო დაწესებულებისაგან და შეგვიძლია, ისე მოგექცეთ, როგორც სხვებს მოვექცეოდითო. ასეთი უაპელაციო, უცერემონიო დამოკიდებულება არავის გაუბედავს, არავის უკადრებია თბილისის უნივერსიტეტისათვის თვით კომუნისტურ ეპოქაშიც კი.

თბილისის უნივერსიტეტის ფაქტობრივად დამანგრეველ რეფორმებს მავანნი *ბოლონიის კონვენციით* ამართლებენ. ძალიან კარგად მესმის, რომ გლობალიზაცია, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, შეუქცევადი პროცესია. ცხადია, ვერც საქართველო დარჩება ორღობის მიღმა. მაგრამ არც ისაა ვინმესთვის საიდუმლო, რომ დღეს თვით ევროპაში ცალსახად აცხადებენ, რომ **გლობალიზაცია არ ნიშნავს ყოველგვარი ეროვნულის, განსაკუთრებულის, თვითმყობადის, უნიკალურის წაშლას, სუროგატული კულტურების „გამოცხობა-გამრავლებას“**. ევროცენტრისტულმა მენტალიტეტმა, შეიძლება, მოიწონოს რომელიმე აფრიკული ქვეყნის (ან, თუ გნებავთ, საქართველოს) ევროპულ მოდელზე მოწყობა, მაგრამ **არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს საკუთარი, ევროპული, მაგალითად, ფრანგული, გერმანული და სხვა კულტურების ნიველირებას.**

დღეს იტალიაში 72 უნივერსიტეტი მოქმედებს, მათ შორის, ყველაზე ძველი, ბოლონიისა, მეთორმეტე საუკუნეშია დაარსებული, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუსრულებია ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში ისეთი როლი, როგორიც თბილისის უნივერსიტეტმა იკისრა.

რატომ გვინდა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის კიდევ ერთ გამორჩეულ, მე ვიტყოდი, უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მონაპოვარზე ხელაღებით ვთქვათ უარი? **განა არ უნდა გამოგვაფხიზლოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ბატონ თამაზ გამყრელიძის გაფრთხილებამ: ჩვენში ტრადიციულად ჩამოყალიბებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სტრუქტურების ნაჩქარევი დაშლა და განურჩევლად ყველაფრის ლიკვიდაცია, რეფორმების „ზემოდან“ უაპელაციო გატარება და ყველაფრის ერთი საზომის მიხედვით ნიველირება გამოიწვევს ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ პროვინციულ ქვეყნად გადაქცევას.**

ამას **საჯაროდ, ყველას გასაგონად აცხადებს დიდი მეცნიერი და მამულიშვილი, რომლის პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაში, ძნელია, ვინმემ ეჭვი შეიტანოს. უფრო მეტიც. იგი პირდაპირ ამბობს: უნივერსიტეტში გატარებული რეფორმებით ივანე ჯავახიშვილმა ჩვენს დღეებში „მესამე სიკვდილი“ განიცადა. უფრო გასაგებად, უფრო პირუთვნელად, უფრო ემოციურად როგორ უნდა გამოხატოს ადამიანმა თავისი აზრი, დამოკიდებულება, შეფასება. რომელი უცხოელი ჩინიანი თუ უჩინო ექსპერტის შეფასება იქნება ამაზე სანდო, ობიექტური, დამაჯერებელი, პასუხისმგებლობაზე, საქმის უკეთ ცოდნაზე დამყარებული?**

თუ როგორ ტარდება სხვა ქვეყნებში საუნივერსიტეტო რეფორმები, ამის საფუძვლიან ცოდნაზე თავს ვერ დავდებ, იმას კი ვიტყვი, რომ **იტალიაში ამ რეფორმებმა უაღრესად ნეგატიური შედეგი გამოიღო. აკადემიურად გამართული უმაღლესი სკოლა გადაიქცა ერთ ჩვეულებრივ სასწავლო დაწესებულებად, სადაც კაცმა თუ თვითონ არ უშველა საკუთარ თავს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქნება საკუთარი საქმის ძალიან ზედაპირული მცოდნე, საყველპურო ინგლისურით მოლაპარაკე და „მაუსის“ ძალიან კარგი დამწკაპუნებელი. სწორედ ამ საფრთხეზე მიგვანიშნებს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.**

ჩვენი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩინოვნიკები ირწმუნებიან, რომ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები ევროპაში ფართოდ აღიარებული *ბოლონიის კონვენციის* საფუძველზე ხორციელდებაო. თუ ეს ასეა, რატომ არ თარგმნიან ქართულად ამ დოკუმენტს და, საერთოდ, რატომ არ აცნობენ ფართო საზოგადოებას ამ კონვენციის უმთავრეს პრინციპებსა და მიზანდასახულობებს? იმიტომ ხომ არა, რომ ხალხი ნახავს, გაიგებს, რომ ეს კონვენცია არ ითვალისწინებს უნივერსიტეტის „დიდი საბჭოს“ გაუქმებას, ერთი თარგით არ განსაზღვრავს ამა თუ იმ უნივერსიტეტში ფაკულტეტების, კათედრების, ლაბორატორიების, კაბინეტებისა და სხვა ტრადიციული სტრუქტურების არც რაობას და არც რაოდენობას.

სხვა ქვეყნებში როგორ არის, ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იტალიის უნივერსიტეტებში არსებობს სენატი და ადმინისტრაციული საბჭო. პირველი აკადემიურ საკითხებს წყვეტს, ხოლო მეორე — ფინანსურს, მაგრამ ისინი *ბოლონიის კონვენციით* კი არ არის შემოღებული, არამედ ეს იტალიის რეალობაა, ამ ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკაა. არც **1999 წლის 19 ივნისის *ბოლონიის დეკლარაციაში,* რომელსაც ხელს აწერს ევროპის 29 ქვეყნის განათლების მინისტრი, არც *ბოლონიის პროცესის* მიერ დასახულ 6 უმნიშვნელოვანეს ამოცანას შორის და არც ამ პროცესის ძირითად პრინციპებში სიტყვაც არ არის დაძრული სენატზე, აკადემიურ საბჭოზე და, საერთოდ, საუნივერსიტეტო თვითმმართველობის ორგანოებზე იმიტომ, რომ ამ პროცესის თანახმად, ყველას აქვს უფლება, ისეთი სტრუქტურები ჩამოაყალიბოს და ისე მართოს ისინი, როგორებსაც და როგორადაც საჭიროდ მიიჩნევს.**




ახლა რაც შეეხება **სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციების უნივერსიტეტის კედლებს გარეთ გატანასა და მის სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესისაგან მოწყვეტას.** ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ **ეს არანაირად არ შეესაბამება *ბოლონიის პროცესის* სულისკვეთებას**. პირიქით, სტუდენტთა განსწავლის, მათი პროფესიული ფორმირებისა და სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციების ჰარმონიზაცია, მათი ურთიერთშეხამება გამოცხადებულია ამ პროცესის ერთ-ერთ უძირითადეს პრინციპად. უფრო მეტიც, ***ბოლონიის პროცესის* თანახმად, პროფესიული ფორმირებისა და სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციების ინტეგრაცია წარმოადგენს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ორ ძირითად დედაბოძს.** სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის მომზადების დიდი მნიშვნელობის გამოხატულებაა ისიც, რომ ***ბოლონიის პროცესი* დოქტურანტურას განიხილავს როგორც პროფესიული ფორმირების უმნიშვნელოვანეს, დამამთავრებელ ეტაპს,** რამაც უნდა უზრუნველყოს ევროპული განათლების სისტემის მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანობა.

ყოველივე ეს სრულიად ბუნებრივია. *ბოლონიის პროცესი* ხომ თავიდან ძალიან **კეთილშობილური მიზნით** დაიწყო: ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სურდათ, მოეგვარებინათ თავიანთი ქვეყნების საუნივერსიტეტო დიპლომების ურთიერთლეგალიზაციის, ანუ ურთიერთცნობის საკითხები და არა იმის განსაზღვრა, რომელ უნივერსიტეტში რა სტრუქტურები უნდა ჩამოყალიბებულიყო და სად რა საგნები და რა მოცულობით ესწავლებინათ. ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ კონვენცია არ მოითხოვს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტატუსის გაუქმებას. მოკლედ, ჩემი და თქვენი თაობისათვის გასაგები ენით რომ ვთქვათ, მის **ნუცას სკოლად** გადაქცევას (ვერ გეტყვით, მომავალი თაობისათვის გასაგები იქნება თუ არა ეს გამოთქმა, რადგანაც არ ვიცი, დარჩა თუ არა ბატონი კახა ლომაიას რეფორმებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენისათვის“ ადგილი).

მხოლოდ რამდენიმე ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი რომ მოგიყვანოთ, გეტყვით, რომ *ბოლონიის კონვენციის* პრაქტიკაში განხორციელების შემდეგაც თავად ბოლონიის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს 23 ფაკულტეტი მოქმედებს, რომის სახელმწიფო უნივერსიტეტ „ლა საპიენცაში“ — 21, ნეაპოლის ფრიდრიხ მეორის სახელობისა და პადუის სახელმწიფო უნივერსიტეტებში — 13-13, ტურინის, ბარის, კატანიის, ფლორენციის, ტრიესტის და პალერმოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში — 12-12, პიზასა და პერუჯას სახელმწიფო უნივერსიტეტებში — 11-11, მილანისა და სიენას სახელმწიფო უნივერსიტეტებში — 9-9.

იხ. მე-5 გვ.

ინფორმაცია

### ყველაზე დიდი ექსპორტი

**საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2005 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 1 334,4 მილიონი ლარი (741,3 მლნ. დოლარი) შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 25,4 პროცენტით აღემატება.**

**საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქტში ძირითადად ჯართი ლიდერობს, რაც ძირითადი საექსპორტო მაჩვენებლის 14 პროცენტია. ექსპორტში მეორე ადგილი უჭირავს ფეროშენადნობებს, ნატურალურ ღვინოებსა და კონცენტრატებს.**

**საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტებში პირველი ადგილი უჭირავს ნავთობს და ნავთობპროდუქტებს, რომლის წილიც იმპორტში 12,8**



**პროცენტია. მეორე ადგილი უჭირავს მსუბუქ ავტომანქანებს, წამლებს და შაქარს.**

**საქართველოს ექსპორტის ძირითადი მაჩვენებლის 17 პროცენტი და იმპორტის 16 პროცენტი რუსეთსა და თურქეთზე მოდის. აზერბაიჯანიდან საქართველოში იმპორტირებულია პროდუქტის 13,5 პროცენტი, ხოლო საქართველოდან ამ ქვეყნებში ექსპორტის მაჩვენებელი 12,5 პროცენტია.**

**უკრაინაში საქართველოდან ექსპორტი 3 პროცენტს უდრის, იმპორტი კი 9 პროცენტია. გერმანიაში საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტის წილი საერთო მაჩვენებლიდან 2,5 პროცენტია, ხოლო იმპორტი 8,5 პროცენტს შეადგენს. ბულგარეთზე ეს მაჩვენებელი ასე ნაწილდება: ექსპორტი — 9 პროცენტი, იმპორტი კი 2 პროცენტი.**

### ნავთი გაძვირდა

**თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) ერთი კვირის მანძილზე (22 ივლისი — 28 ივლისი) 99,34 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,11 პროცენტი იყო.**

**ეს ინდექსი ასახავს 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას.**

**წინა კვირასთან შედარებით ფასების საერთო დონე შემცირდა 0,66 პროცენტით, მათ შორის სასურსათო საქონელზე — 1,45 პროცენტით; ხოლო არასასურსათო საქონელზე ფასები გაიზარდა 0,03 პროცენტით; მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა.**

**გასულ კვირასთან შედარებით ფასები შემცირდა ხახვზე (16,7 პროცენტით) და ღორის ხორცზე (6,2 პროცენტით); ხოლო გაიზარდა ჭარხალზე (18,2 პროცენტით) და სტაფილოზე (3,4 პროცენტით).**

**წინა კვირასთან შედარებით ფასი გაიზარდა ნავთზე (1,6 პროცენტით).**

**გასულ კვირასთან შედარებით ფასები არ შეცვლილა მომსახურებაზე.**

### 2800 წლისწინანდელი კოლხური სამარხი

**ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში, ერთ-ერთი მაცხოვრებლის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩვ.წ.აღ. მდე VIII საუკუნით დათარიღებული კოლხური სამარხი აღმოაჩინეს.**

**იმავე ადგილას გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოაჩინეს ბრინჯაოს სამაჯური, თუმცა მაშინ არქეოლოგიური გათხრებისთვის საჭირო თანხის მოძიება ვერ მოხერხდა.**

**ზუგდიდის რაიონის გამგეობამ არქეოლოგიური სამუშაოებისათვის 5000 ლარი გამოყო, თუმცა ეს თანხა, სპეციალისტთა აზრით, საკმარისი არ იქნება.**

**არქეოლოგთა განცხადებით, მატერიალური მხარდაჭერის შემთხვევაში გათხრები აუცილებლად გაგრძელდება.**

**მედიანიუსი**

ინფორმაცია

### პასუხის ამაო მოლოდინში

**არასამთავრობო ორგანიზაცია „პატრიოტის“ ხელმძღვანელმა, სამედიცინო ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა ორი თვის წინათ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს მიმართა თხოვნით, მიეცათ მისთვის საჯარისო ნაწილებში თავისუფლად შესვლისა და მონიტორინგის განხორციელების უფლება. როგორც ნიკოლეიშვილი აცხადებს, მინისტრისგან პასუხი ჯერაც არ მიუღია. იგი თავდაცვის მინისტრს არასამთავრობო სექტორის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს.**

**„ამ დრომდე თავდაცვის სამინისტროდან არც თანხმობა მიმიღია და არც უარი. როგორც ჩანს, სამინისტრო მზად არ არის ჯარში საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელებისთვის“, — განუცხადა „მედიანიუსს“ სამედიცინო ექსპერტმა.**

### მკვლელობა გახსნილია

**თბილისის შინაგან საქმეთა მთავარმა სამმართველომ ქალაქის პროკურატურასთან ერთად გახსნა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, რომელიც მკვლელობას ეხება.**

**2004 წლის 22 ნოემბერს კოჯრის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე მოქალაქეები რუსუდან ფურცელაძე და თემურ ბექუაშვილი განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს. დაკავებული არიან ამ დანაშაულში ეჭვმიტანილები, ადრე ნასამართლევი ალეკო ზაქუტოვი და ნიაზ ჩხვიმიანი. 29 ივლისს აღნიშნულ პირებს სასამართლომ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.**

**თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის მერაბ ბაღათურიას თქმით, გამოძიება გრძელდება და სხვა დეტალებიც მალე გახდება ცნობილი.**

### სად „აორთქლდა“ ჰუმანიტარული ტვირთი?

**ფოთში საბაჟო ტერმინალზე შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლებმა აშშ-დან შემოტანილ კონტეინერებში კონტრაბანდული მანქანები აღმოაჩინეს. დოკუმენტაციის მიხედვით, კონტეინერებში ჰუმანიტარული ტვირთი უნდა ყოფილიყო, თუმცა იქ „ჰონდასა“ და „კიას“ მარკის ავტომანქანები აღმოჩნდა.**

**სპეცოპერაციაში ქართველ სამართალდამცავებთან ერთად ამერიკელებიც მონაწილეობდნენ.**

**მედიანიუსი**

ფარი

## რეზერვისტებში „ჯარისქალებიც“ არიან

**ამ დღეებში, ოსიაურის რეზერვისტთა სასწავლო ბანაკში 35 ჭიათურელი ახალგაზრდა ჩარიცხეს.**

ჭიათურის რაიონის გამგეობამ და ეროვნული გვარდიის რაიონულმა სამობილიზაციო შტაბმა თადარიგი დროულად კი დაიჭირეს, მაგრამ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორთა გამოისობით, ახალგაზრდა ენთუზიასტების შეკრება არც თუ ისე იოლი გამოდგა. აქაიქ მოარული ხმებიც გავრცელდა: „გამგეობა ახალგაზრდებითაა გაჭედილი და პირველი არჩევანი მაგათთვის დაგვითმიაო“. ვერ გეტყვით, ამ ხმებმა რა როლი შეასრულეს, მაგრამ რაიონის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი, ახალგაზრდა ქალბატონი თეა ტაბატაძე რომ ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა რეზერვისტთა სიაში, ამის თაობაზე ახლა მთელი ქალაქი ლაპარაკობს.

თეას მოწოდებაზე: „საქართველოსთვის ბიჭებო სწორდითო!“ მხარდამხარ დადგნენ რაიონის გამგებლის მოადგილე დავით მაღრაძე, სამხედრო განყოფილების უფროსი ზურაბ წიქარიშვილი, გამგეობის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები: ლაშა ტაბატაძე, მალხაზ ხუციშვილი, ირაკლი გოცაძე, ვასილ კობახიძე, გრიგოლ კაპანაძე.

— ყველა კარგ წამოწყებაში თქვენს გვერდით მიგულეთო, — შეეხმიანა მათ ქვაციხის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა გამეზარდაშვილი და ჯარისკაცის „ფარაჯა“ მოიხსნა. რეზერვისტებს შეუერთდნენ კაცხისა და წირქვალის ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელები კახაბერ კაპანაძე და როინ მაჭარაშვილი; ახალგაზრდების ჯგუფი „ჭიათურმანგანუმიდან“, კულტურის ცენტრიდან და სხვა ორგანიზაციებიდან. ახალგაზრდა ჭიათურელთა ერთსულოვნებით აღფრთოვანებული რაიონის თავკაცი მამუკა გოგატიშვილი ოსიაურის რეზერვისტთა სასწავლო ბანაკს ხელდამშვენებული ესტუმრა.

**სოზარ კუპატაძე,
„სრ“ საკ. კორ.**

ახალი ტექნოლოგიები

## ქართული ყურძნის სასწაული

### წიპწას დიდი სამკურნალო თვისებები ჰქონია, ჩვენ კი არაფერი ვიცოდით

**ღვინის სამკურნალო თვისებები უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. ყურძენი და მისი პროდუქტები, წიპწა იქნება ეს თუ ყურძნის წვენები, ყოველთვის მოიხსენიებოდა, როგორც სამკურნალო საშუალებები.**

**ამით დაინტერესდა ჯერ კიდევ წინა საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი არმაზ შალაშვილი და დეტალურად გამოიკვლია ყურძნის ბიოქიმიური თვისებები, მისი სარგებლიანობა ადამიანის ორგანიზმზე. გამოაქვეყნა შრომებიც, მაგრამ მათით იმ პერიოდში მაინც და მაინც არავინ დაინტერესებულა.**

— ახლა სულ სხვაგვარად წარიმართა საქმე, — ამბობს ნეიროქირურგიის კლინიკის ხელმძღვანელი გრიგოლ ჭაჭია. მისი თქმით, მაშინდელ საქართველოში იყო ვიტამინების ორი ქარხანა, ერთი — თბილისში, მეორე კი — ბათუმში, რომლებიც ძირითადად ვიტამინებს აწარმოებდნენ. ეს იყო P ჯგუფის ვიტამინები, მაგრამ მაშინ არ იცოდნენ ამ ვიტამინებში რა ნივთიერებები იყო, ამიტომ ყველა მიეკუთვნებოდა P აქტივობის ვიტამინებს. ბატონმა არმაზმა შეძლო P აქტივობის ნივთიერებების ცალკე გამოყოფა და დაადგინა, რომ ეს არის ბიოფლავანოიდების ჯგუფი, რომლებიც ძალზე კარგად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე. ის შხამები, რომლებსაც ვღებულობთ გაჩენის დღიდან, ნელ-ნელა ილექება ორგანიზმში, რაც იწვევს სიბერეს, აჩენს ნაოჭებს და აავადებს ადამიანს. არადა, ბიბლიიდან ცნობილია, რომ შეიძლება 130 წლამდე ვიცოცხლოთ, მაგრამ ამ შესაძლებლობას ჩვენ სხვადასხვანაირად ვიყენებთ. სწორედ ის ბიოფლავანოიდები გვაძლევენ ჩვენ საშუალებას მავნე ტოქსიკური ნაერთები გავანეიტრალოთ და ჩვენი ორგანიზმი მეტნაკლებად გავასუფთაოთ.

ფლავანოიდების ტიპის სამედიცინო პრეპარატებს დღეს ფრანგები ამზადებენ. და მსოფლიოში იგი აღიქმება ფრანგულ ფენომენად. როგორც ექიმი გრიგოლ ჭაჭია განმარტავს, იგი ჩაწვდა ამ წამლის თვისებებს, მის საიდუმლოებას. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ თურმე იმ რეგიონებში, სადაც განვითარებულია მევენახეობა და ღვინოს საკმაოდ ბევრს მიირთმევენ, იქ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა რეგიონებში. ამ საკითხით პირადად დავინტერესდი და გავეცანი არმაზ შალაშვილის შრომებს. შეიქმნა სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც ფართო მასშტაბით იკვლევს ამ თემას. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩერნობილის აფეთქების შემდეგ გამოირკვა, რომ „ანტიოქსი-ჯ“ ერთადერთი პრეპარატია, რომელიც სხივური დაავადებების დროს აქტიურად გამოიყენება. მართალია, ჩერნობილის აფეთქებიდან დიდმა დრომ გაიარა, მაგრამ მაშინდელი შხამი ისევ აგრძელებს მავნე ზემოქმედებას. ეს წამალი კი ამ შხამებს ანეიტრალებს და გამოაქვს ორგანიზმიდან. აფეთქების მეორე წელს ვიყავი ჩერნობილში. მაშინ მეცნიერებმა მითხრეს, რომ ჩვენ ვყიდულობთ ძალიან ძვირ ფრანგულ პრეპარატს, რომელიც წიპწაზეა დამზადებული. საოცარია, ამ პრეპარატს რატომ საქართველოში არ ამზადებთო.



იმ პერიოდში ამისთვის არავის არ ეცალა, თუმცა წამალი აქტუალობას დღესაც არ კარგავს. იგი საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა სიმსივნით დაავადებულთათვის. მოგეხსენებათ, სხივური და ქიმიოთერაპია უფრო ასუსტებს ორგანიზმს და ამ პრეპარატს როდესაც კომბინირებულად აძლევენ ავადმყოფს, იგი ხსნის სხივური თერაპიის მავნე მოქმედებას. აქედან გამომდინარე, ეს პრეპარატი უფრო აქტუალური ხდება. მთელ ევროპაში, ამერიკაშიც თვლიან, რომ ვისაც უნდა 100 წლამდე იცოცხლოს, მან უნდა მიიღოს ანტიოქსიდანტები. რა თქმა უნდა, ანტიოქსიდანტები ნებისმიერ მცენარეში არის, მაგრამ იგი იმდენად ცოტაა და იმდენად ფაქიზია, რომ ეს ნივთიერებები 50 გრადუს ტემპერატურაზე იშლება. ამიტომ არის აუცილებელი ვიცოდეთ, როგორ გამოვდევნოთ ეს ნივთიერებები ამ მცენარიდან ისე, რომ თავისი აქტივობა არ დაკარგოს.

ფაქტობრივად, 4 წელია ჩვენ ეს პრეპარატი უკვე გვაქვს. წამალი მე ჩემს ავადმყოფებზე, ასევე ახლობლებზე, ოჯახის წევრებზე უკვე გამოვცადე და კარგი შედეგი მივიღე. საუკეთესოა, თუ მას პროფილაქტიკის მიზნით წელიწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე მივიღებთ, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი დაავადებულია, მას სპეციალური დოზა ენიშნება, იგი მალევე გრძნობს ძალის მომატებას, საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს არ გახლავთ სპეციფიკური პრეპარატი, ვთქვათ ისეთი, როგორიც ანტიბიოტიკი, რომელიც მოქმედებს ბაქტერიაზე, ვირუსზე. ეს უბრალოდ ასუფთავებს ორგანიზმს და აძლევს ჩვენს ორგანიზმს ძალას, სრულფასოვნად იმოქმედოს იმ სენზე, რომელიც აწუხებს ამა თუ იმ ავადმყოფს.

უკრაინაში ეს პრეპარატი გამოიცადა სიმსივნიან და კომაში მყოფ მძიმე ავადმყოფებზე. მისი უნიკალური თვისებები ამერიკელებიც დაინტერესდნენ და დეკემბერში დამტკიცდება ის გრანტი, რომელიც გამოგვიყო ამერიკის მეცნიერებათა დეპარტამენტმა. ეს რამდენიმე ათასი დოლარია, რომელსაც გამოვიყენებთ არსებული ტექნოლოგიის დასახვეწად.

„ანტიოქსი-ჯ“ 2002-2003 წლებში წარდგენილი იყო ნატოს საერთაშორისო გამოფენებზე, რომელმაც ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა.

საერთაშორისო გრანტის მიღების შემდეგ ჩვენ მოგვეცემა საშუალება საზოგადოებას უფრო ფართოდ მივაწოდოთ ეს უნიკალური თვისებების პრეპარატი. უკრაინაში, მაგალითად, უკვე ითხოვენ 100 ათასი ცალის გაგზავნას. ასე რომ, „ანტიოქსი ჯ“-ს კარგი პერსპექტივა აქვს.

ჩვენ შევიძენთ დიდი რაოდენობით წიპწას და დავიწყებთ აქტიურ საქმიანობას. სამწუხაროდ, ჩვენი ქართველი ბიზნესმენები შორს დგანან ამ საქმიდან, გვეუბნებიან ჯერ დაიწყეთ და მერე დაგეხმარებითო, მაგრამ სწორედ რომ ყველაზე ძნელი საქმის დაწყებაა, მით უმეტეს ჩვენი პროფესიის ადამიანებისთვის, რომლებიც ეკონომიურად სუსტნი არიან.

თუ საქმე კარგად წავიდა, ჩვენ დავიწყებთ ყურძნის ზეთის გამოხდასაც, რომელსაც კოსმეტიკური და სამედიცინო თვალსაზრისით ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს.

**ლალი ძინძლაძე**

ხმა უცხოეთიდან

# „ახალი ათინას“ წიწამური?

(მეოთხე გვერდიდან)

თუ ზოგიერთი ზემოდასახელებული ქალაქის სიდიდესთან შედარებით საუნივერსიტეტო ფაკულტეტების რაოდენობა მაინც მცირედ მოგვეჩვენება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ქალაქებში, ზემოაღნიშნულ სახელმწიფო უნივერსიტეტთა გარდა, ფუნქციონირებენ სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც. მაგალითად, რომში, „ლა საპიენცას“ გარდა, არის კიდევ 9 სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტი, მილანში – 6 (მათ შორის, კათოლიკურიც), ნეაპოლში – 4 და ა. შ. *ბოლონიის კონვენციის* მიღების შემდეგ, სულ ორიოდე წლის წინათ, რომის სახელმწიფო უნივერსიტეტ „ლა საპიენცას“ ლიტერატურისა (ანუ, ჩვენი ტერმინოლოგიით, ფილოლოგიის) და ფილოსოფიის ფაკულტეტი ოთხ დამოუკიდებელ – ლიტერატურისა და ფილოსოფიის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ორიენტალისტიკისა და ფილოსოფიის ფაკულტეტებად გარდაიქმნა.

ამ ფაქტების ფონზე გეკითხებით, რომელი მათემატიკური ფორმულის საფუძველზე მოახდინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების რაოდენობის 21-დან 6-მდე შემცირება?

გეკითხებით, რა ნიშნით გახადეს **ფილოლოგიის ფაკულტეტი – ქართველოგიის უძველესი, უპირველესი და უძლიერესი ცენტრი მსოფლიოში ჰუმანიტარული ფაკულტეტის ერთ-ერთ რიგით სექტორად?**

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ხომ განათლებით იურისტი ბრძანდებით? გეკითხებით, რა იურიდიული საფუძველი ჰქონდა უნივერსიტეტის 800 თანამშრომლის ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით გათავისუფლებას, თანაც – ასეთი ბარბაროსული, არნახული, ცინიკური ფორმით...

თურმე, უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის მეცნიერმა მუშაკმა, უკვე გამოცემული და გამოსაცემად მომზადებული რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა, თამარ კეკელიძემ, ხელფასის ასაღებად მისულმა, მოლარისგან გაიგო, რომ ლომაიასეული რეფორმების წყალობით იგი გაძევებულია მშობლიური უნივერსიტეტიდან, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა. ახალგაზრდა მარტოხელა ქალბატონმა ვერ აიტანა ასეთი შეურაცხყოფა და იმავე დღესვე საავადმყოფოში აღმოჩნდა, მაგრამ ვერაფერმა უშველა – გული ისე დაფლეთოდა, რომ მსგავსი შემთხვევა ექიმებსაც კი არ ახსენდებათ.

ქალბატონ თამართან გამოსათხოვებლად მისულ მოლარეს დაუტირებია: მე მოგკალი, ჩემმა სიტყვებმა შეგიწირაო.

როგორ ფიქრობთ, **ბატონო პრეზიდენტო, თამარ კეკელიძე, მართლა, მოლარემ შეიწირა?** ან კიდევ, საერთოდ, რამე ფასი აქვს თვით ყველაზე გადაუდებელ რეფორმებს, რომლებიც ადამიანის სიცოცხლეს ითხოვს, თუნდაც, ერთი ადამიანის უბედურებაზე, ცრემლებზე, მისი იმედების დამსხვრევაზე, ოცნებების გაცრუებაზე შენდება?

სხვათა შორის, როდესაც ეს ფაქტი საინფორმაციო საშუალებებით გახმაურდა და ამის შესახებ ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა' ფოსკარიშიც“ გაიგეს, ჩემს კოლეგებს გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდათ, როგორ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო, თქვენ ხომ სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებაზე გაქვთ პრეტენზიაო.

და, მართლაც, ბატონო პრეზიდენტო, როდესაც სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოს მშენებლობაზე გვაქვს პრეტენზია, განა, შეიძლება ამ სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველგვარი მიზეზის გარეშე, უფრო სწორად, რეფორმების მომიზეზებით, სამუშაოდან გაათავისუფლონ და ულუკმაპუროდ დატოვონ ათასობით და ათეულათასობით სახელმწიფო, თუ არასახელმწიფო მოხელე ისე, როგორც ეს დღეს საქართველოში ხდება?

იტალიის უნივერსიტეტებში არსებობს მოწვეული პროფესორის თანამდებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პიროვნებას უნივერსიტეტი ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში უფორმებს კონტრაქტს, რომელიც მომდევნო წელს, შესაძლოა, აღარ განუახლოს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს პიროვნება უნივერსიტეტის შტატში ჩაირიცხება ნებისმიერ თანამდებობაზე, დაკავებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლება ძალიან სერიოზული მიზეზის გარეშე იტალიური სამართლებრივი სისტემის უხეში დარღვევა იქნება.

მარგარეტ თეტჩერის პრემიერ-მინისტრობისას განათლების სამინისტრომ ფინანსურ სიძნელეთა გამო ლონდონის ორიენტალისტიკის სკოლაში კავკასიათმცოდნეობის კათედრის გაუქმება მხოლოდ დევიდ ლანგის პენსიაში გასვლის შემდეგ შეძლო იმიტომ, რომ სამართლებრივად უფლება არ ჰქონდა, უმუშევარი დაეტოვებინა ადამიანი, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა (მოგვიანებით, ეს კათედრა ისევ იქნა აღდგენილი და მისი ხელმძღვანელის ადგილი საქართველოში ყველასთვის კარგად ცნობილმა ჯორჯ ჰიუიტმა დაიკავა). როდესაც სახელმწიფოს, რომელიც უნივერსიტეტს აფინანსებს, გადაწყვეტილი აქვს რომელიმე საუნივერსიტეტო სტრუქტურის, თუ თანამდებობის შემცირება, მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ეს სტრუქტურა გააუქმოს პიროვნების პენსიაში გასვლის ან გარდაცვალების შემდეგ ან უნივერსიტეტს აღარ მისცეს ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების უფლება.



როდესაც ერთ-ერთი მთავარი ძალად არის გამოცლილი

სხვათა შორის, იტალიის დღევანდელი მთავრობა, კერძოდ კი, სახალხო განათლების სამინისტრო ლეტიცია მორატის მეთაურობით ცდილობს რეფორმების მომიზეზებით, გააუქმოს უმაღლეს სკოლაში მკვლევარის თანამდებობა და მის ნაცვლად მხოლოდ ერთხელ განახლებადი სამწლიანი კონტრაქტით მიიღოს პიროვნებები უნივერსიტეტში სამუშაოდ. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, აქვე გეტყვით, რომ, ლომაიასეული რეფორმებისგან განსხვავებით, იტალიური რეფორმები მიზნად ისახავს არა მეცნიერული კვლევის უნივერსიტეტის კედლებს გარეთ გატანას, არამედ საუნივერსიტეტო აკადემიური თუ სამეცნიერო-კვლევითი თანამდებობების არასტაბილურად გადაქცევას და საუნივერსიტეტო სტრუქტურების კერძო სტრუქტურებად ჩამოყალიბებას. ამ რეფორმებს, რომლებსაც თან სდევს საზოგადოების დიდი წინააღმდეგობა, ქვეყნის პარლამენტმა რომც დაუჭიროს მხარი, იგი არ შეეხება იმათ, ვინც მათ მიღებამდე დაიკავეს მკვლევრის თანამდებობა, რადგანაც, მოგეხსენებათ, სამართლებრივ სახელმწიფოში კანონი წარსულზე კი არა, არამედ მომავალზეა გამიზნული.

ასე იქცევიან სამართლებრივ სახელმწიფოში, ბატონო პრეზიდენტო! ჩვენთან კი, **თბილისის უნივერსიტეტის ზურგს უკან, თბილისის უნივერსიტეტის სახელით მთავრობაში წყვეტენ მის ბედთან დაკავშირებულ საკითხებს.**

პრობლემის სამართლებრივ მხარეს თავი რომც დავანებოთ, განა, მორალური განადგურება არ არის, ადამიანებს, მით უმეტეს, მეცნიერებს, უთხრა, შინ დაჯექით, ჩვენ ხელფასის მაგიერ, გარკვეული დროით, სტიპენდიას მოგცემთ (ან იქნებ, მეშლება, და ინვალიდობის პენსიაზეა საუბარი?!), თქვენ კი ახალი სამსახურის შოვნაზე იზრუნეთო?! და ეს მაშინ, როცა პროფესორიც რომ იყო, დღეს საქართველოში, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მეეზოვის ადგილსაც ვერ იშოვი. განა, ეს ამ ადამიანების ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, მათ ღირსებაზე, თავმოყვარეობაზე, პროფესიონალიზმზე, სტატუსზე უარის თქმას, ანუ, საბჭოური ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ჩამოწერას“ არ ნიშნავს?

ან ამ „ჩამოწერილი“ ადამიანებისთვის ე. წ. „გრანტების“ დაპირებაც იგივე დაცინვა არ არის? რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამ სისტემის დანერგვის შემთხვევაში სახელმწიფოს – ან, უკეთ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს ბატონ-პატრონ ტრანსნაციონალურ კომპანიებს – სრული და უაპელაციო კონტროლი ექნება იმაზე: **ვინ რა, რამდენი ხნით და რა მოცულობით უნდა იკვლიოს.**

ეს არის არადემოკრატიული, ტოტალიტარული, ცინიკური სახელმწიფოს მიერ თავისი, ისედაც ფეხქვეშგათელილი მოქალაქეების კიდევ უფრო მეტად დათრგუნვა, დამორჩილება, პირზე ლაგამის ამოდება.

**დემოკრატია არ ნიშნავს, მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდეს იმის პრეტენზია, იცოდეს, რა არის და რა არ არის ქვეყნისთვის ბედნიერება და უბედურება და,** აქედან გამომდინარე, ერთპიროვნულად წყვეტდეს ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს. **სხვათა შორის, სხვას კი არაფერს აკეთებდა სტალინი, რომელსაც, როგორც პოლიტიკოსს, მოაზროვნესა და სახელმწიფო მოღვაწეს, შორიახლოსაც ვერ გაეკარება გუშინდელი თუ დღევანდელი საქართველოს – და არა მარტო საქართველოს – ვერც ერთი მესვეური.**

ეს არ არის დემოკრატია, რომლის აშენების პრეტენზიაც გვაქვს, ბატონო პრეზიდენტო, რადგანაც **დემოკრატია მხოლოდ დემოკრატიის დროშების ფრიალს არ ნიშნავს!**

სწორედ ამიტომ მოგიწოდებთ, **დაიცვათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი!**

წინააღმდეგ შემთხვევაში მე, არა პოლიტიკოსი, არამედ მარტოკაცი, რომელსაც სხვადასხვა წარმომავლობის საშინაო თუ საგარეო ძალებთან ხელსაყრელი და ხელფეხშემკვრელი გარიგება არ დამიდვია და მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ სინდისს ვარ მინდობილი, რა თქმა უნდა, რევოლუციას ვერ მოგიწყობთ, იმას დაგპირდებით, რომ მომავალ საპრეზიდენტო, საპარლამენტო, თუ მუნიციპალურ არჩევნებში ხმას ვერ მოგცემთ როგორც პირადად თქვენ, ისე თქვენს პარტიას – ნაციონალურ მოძრაობას. შეიძლება, ჩემი ხმა არაფერს ნიშნავდეს ხმათა იმ დიდ ზღვაში, რაც „ვარდების“ რევოლუციის შემდგომ არჩევნებში მიიღეთ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ზღვა წვეთებითაც დაილიაო. თანაც, სამწუხაროდ, როგორც ამბობენ, თქვენდამი გაჩენილი იმედების ზღვას ეს წვეთები უკვე აკლდება, თანაც – სულ უფრო სწრაფად და საგანგაშოდ.

XXI საუკუნეში, როგორ შეიძლება, საღად მოაზროვნე ადამიანი რეფორმების წინააღმდეგი იყოს, მით უფრო, თუ იგი პოსტსოციალისტურ სივრცეში ცხოვრობს. მაგრამ ეს **რეფორმები, ისე როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყოველგვარი სხვა გარდაქმნები, უნიჭოდ, ჩიქორთულით გადმოწერილი კი არ უნდა იყოს უცხოური „შპარგალკებიდან“, არამედ ჩვენს ეროვნულ წეს-ჩვეულებებზე, ხასიათზე, ტრადიციებზე, ისტორიულ მეხსიერებაზე, გამოცდილებასა და გაკვეთილებზე უნდა იყოს დამყნობილი, რაც მთავარია, თითოეული მოყვასის უფლისეულ სიყვარულს, მასზე ზრუნვას, მის კეთილდღეობას ეფუძნებოდეს.**

ამის გარეშე თვით ყველაზე დიდი სიკეთის მარცვლებიც ვერ გაღვივდება ეროვნულ ხნულში, ფესვებს ვერ გაიდგამს ეროვნულ ნიადაგში, ფუჭი იქნება ყველაზე კეთილშობილური ძალისხმევაც, რადგან ხალხი, საზოგადოება, ვინც უნდა იცხოვროს ამ რეფორმებით დადგენილი ქცევის ნორმებით, არ გაითავისებს, თავის ადათ-წესად, კანონად არ გაიხდის ამ ნორმებს. სამასი წლის შემდეგ მაინც ხომ უნდა დავუგდოთ ყური ჩვენი დიდი კანონმდებლის ვახტანგ VI-ის ბრძნულ შეგონებას: **„ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქუეყანისა რიგთა და ქცეულებათა. სხვა არს [...] სისხლი და სიკუდილი, სხვა არს ღალატი და უკადრისი, ამად ესევითარისა სამართალნი სხვათა განაჩენთა შინა მოკლებით იპოვების და მათი წიგნი უფროს ჩვენდა უხმარ არს“** (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. თბ., 1963, გვ. 532; **ხაზგასმა ჩემია**).

ქართველთა წარმოდგენაში ამ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ხასიათს, ისტორიულ მეხსიერებასა და გამოცდილებას განასახიერებს **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,** რომელიც ქართველმა ხალხმა დაარსებიდანვე **ერის გონების, სიბრძნისა და ზნეობის თეთრგუმბათოვან ტაძრად** შერაცხა. ამიტომაც იჩენს ხალხი მისდამი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, ამიტომაც ზრუნავს გამორჩეულად მის მომავალზე, ამიტომაც სტკივა უპირველესად სწორედ მისი სატკივარი, ამიტომაც აღიქვამს მის ხელყოფას მისი დიდი დამაარსებლის – **ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილად“.**

ბატონო პრეზიდენტო, კიდევ ერთხელ უმორჩილესად გთხოვთ და მოგიწოდებთ: **დაიცავით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი! დაიცავით საქართველოს მომავალი!**

**გაგა შურღაია,**
**საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა' ფოსკარის“ ევრაზიული კულტურების კვლევის კათედრის მკვლევარი, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის მეცნიერი კონსულტანტი.**

რომი, 2005 წლის 21 ივლისი.

# ანდიჟანელი ლტოლვილები ევროპაში გაჰყავთ

**უზბეკი ლტოლვილების პირველი ჯგუფი, რომლებმაც რამდენიმე დღე გაატარეს მეზობელი ყირგიზეთის ტერიტორიაზე არსებულ ბანაკში, რუმინეთში გადაიყვანეს.**

სპეციალურად მომზადებულ ბანაკში დააბინავებენ ანდიჟანიდან ლტოლვილ 440 კაცს.

ყირგიზეთში გაეროს ლტოლვილების საქმეთა მისიის მეთაურმა კარლოს ზოკონინიმ განაცხადა, რომ ახლო მომავალში ლტოლვილებს მიეცემათ ავსტრიაში, კანადაში, გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში დასახლების უფლება.

უზბეკეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ ლტოლვილთა შორის იყვნენ საპროტესტო გამოსვლების ხელმძღვანელები და ორგანიზატორები და დაჟინებით მოითხოვდნენ მათ ექსტრადიციას. მაგრამ მას შემდეგ, რაც გაეროს მისიამ აღიარა ანდიჟანელთა ლტოლვილის სტატუსი, მათ უზბეკეთში დაბრუნება აღარ ემუქრებათ.

ამავე დროს, ყირგიზეთში გაათავისუფლეს 14 უზბეკი, რომლებიც ამ ქვეყნის ხელისუფლებამ დააკავა უზბეკეთის თხოვნით. ოფიციალური ტაშკენტი აცხადებს, რომ ამ ადამიანებმა, რომლებიც რადიკალურ ისლამისტური დაჯგუფებების წევრები არიან, მოკლეს ძალოვან სტრუქტურათა წარმომადგენლები და ორგანიზაციას უწევდნენ უწესრიგობებს.



გათავისუფლებულ უზბეკებსაც რუმინეთში გადაიყვანენ, თუმცა, ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება 15 პატიმრის ბედი.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა ყირგიზეთზე განახორციელეს სერიოზული დიპლომატიური ზემოქმედება მას შემდეგ, რაც ბიშკეკი დათანხმდა ანდიჟანიდან გაქცეული ოთხი ადამიანის ექსტრადიციას.

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ყირგიზეთს მოუწოდა „შეასრულოს ლტოლვილებთან მოპყრობის თაობაზე ნაკისრი ვალდებულებანი“. თავის მხრივ, გაეროს ლტოლვილების საქმეთა სააგენტოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ეცდება მიაღწიოს დაკავებულ პირთა გათავისუფლებას, და დასძინა, რომ ყირგიზეთის ხელისუფლებამ უკვე აღუთქვა მას, რომ ამ ადამიანებს არ გადასცემს უზბეკეთის მხარეს.

ყირგიზეთის ვიცე-პრემიერმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას დაკავებულთა ბედის შესახებ მიიღებენ გაეროს ლტოლვილების საქმეთა კონვენციიდან გამომდინარე.

# ზამბიაში ლონდონის ტერაქტების ორგანიზატორი დააკავეს

**ზამბიაში დააკავეს ლონდონში 7 ივლისს განხორციელებული ტერორისტული აქტების მთავარი ორგანიზატორი – დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომი, ეროვნებით პაკისტანელი, 30 წლის ჰარუნ რაშიდ ასვადი. ამჟამად ცდილობენ იმის გარკვევას, ვინ უნდა დაკითხოს იგი – ბრიტანეთის თუ შეერთებული შტატების პრესსამსახურების წარმომადგენლებმა.**

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ცდილობენ შეხვდნენ ჰარუნ რაშიდ ასვადს. „ჩვენ თვალით არ გვინახავს ეს ადამიანი და სანამ არ შევხვდებით, ვერ შევძლებთ მისი პიროვნების დადასტურებას“, – თქვა სამინისტროს წარმომადგენელმა.

თავის მხრივ, ამერიკელებიც უკვე კარგა ხანია ეძებდნენ ასვადს. ბრიტანეთის დედაქალაქში მომხდარ აფეთქებებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ამერიკის მხარემ გაუგზავნა მოთხოვნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მისი დაკავების შესახებ, თუმცა, იგი არ დაუკავებიათ, რადგან ასვადს ჰქონდა ბრიტანეთის მოქალაქეობა და ამიტომ ამერიკელთა მოთხოვნა გადაგზავნეს დიდ ბრიტანეთში, რომელმაც მაშინათვე არ გასცა ამ პირის დაპატიმრების ბრძანება. რაშიდ ასვადმა ამით ისარგებლა და მიიმალა.

ასვადის ძებნა ბრიტანეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა ტერაქტების განხორციელებიდან მცირე ხნის შემდეგ: ყურადღებას იპყრობდა ის გარემოება, რომ ამ ადამიანმა ქვეყანა დატოვა აფეთქებებამდე რამდენიმე საათით ადრე. მისი მობილური ტელეფონის შესწავლით, გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ტერაქტებამდე რამდენიმე დღით ადრე ასვადმა 20-ჯერ მაინც დაურეკა ოთხი კამიკაძიდან ორს. როგორც ჩანს, იგი მათ ინსტრუქციებს აძლევდა. ერთ-ერთი



ტერორისტი – მოჰამად სიდიქ ჰანი ასვადს დაუკავშირდა 7 ივლისს, ტერორისტული აქტის განხორციელების დღეს. ცნობილია ისიც, რომ ასვადი ლონდონში ჩაფრინდა აფეთქებებამდე ორი კვირით ადრე და შეხვდა თანამზრახველებს.

ბრიტანეთის პრესის მონაცემებით, ლონდონში განხორციელებული ტერაქტების ორგანიზატორს ჰქონდა კავშირი „ალ-ყაიდას“ ორი მაღალი თანამდებობის წევრთან, რომლებიც გეგმავდნენ ტერაქტებს, აგრეთვე ჯეიმს უჯაამთან, რომელიც შეერთებულ შტატებში დააკავეს ტერორისტულ ქსელთან კავშირის ეჭვით.

ასვადით უკვე კარგა ხანია დაინტერესდნენ ამერიკის სპეცსამსახურები. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამტკიცებს, რომ სამი წლის წინათ ეს ადამიანი შეერთებულ შტატებში ცდილობდა „ალ-ყაიდას“ უჯრედის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, იგი შედიოდა იმ სამ პირთა რიცხვში, რომლებიც, სპეცსამსახურების მონაცემებით, ცდილობდნენ ორეგონის შტატის ტერიტორიაზე 1999 წელს ტერორისტთა საწვრთნელი ბანაკის შექმნას. ასვადი ასევე პირადად შეხვედრია უსამა ბენ ლადენს პაკისტანში, ერთ-ერთ საწვრთნელ ბანაკში.

# ათენის მიდამოებში ტყის ხანძარი ბობოქრობს

**საბერძნეთის ატიკის ცენტრალურ ოლქში ბობოქრობს ტყის ძლიერი ხანძარი. ათენიდან აღმოსავლეთით მდებარე რაფინის ნავსადგურის მიდამოებში ხანძარმა გაანადგურა ასობით ჰექტარი ტყე. საბერძნეთის სახელმწიფო ტელევიზიის მონაცემებით, დაშავებულია ორი ადამიანი, რომლებმაც დამწვრობები მიიღეს.**

ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობენ მეხანძრეთა 60-ზე მეტი ბრიგადა, 8 თვითმფრინავი, ვერტმფრენები. სტიქიური უბედურების ადგილზე მივიდნენ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი კოსტას კარამანლისი და საზოგადოებრივი უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურმა ხანძრის გავრცელების მიდამოებში გადაკეტა რამდენიმე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერია.



ამავე დროს, ინციდენტის გამოძიებისას ძირითად ვერსიად ასახელებენ ხანძრის განზრახ გაჩენას, რადგან ცეცხლი ერთდროულად რამდენიმე ადგილიდან გავრცელდა. პოლიციამ უკვე დააკავა ორი ეჭვმიტანილი.

კვამლმა ათენის საერთაშორისო აეროპორტამდეც მიაღწია, სადაც რეისები ორი ასაფრენ-დასაჯდომ ზოლიდან მხოლოდ ერთზე სრულდება.

მთელ რიგ რაიონებში შეწყვეტილია ელექტროენერგიის მიწოდება. არნახულმა სიცხემ გამოიწვია ხანძრების სერია მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, საბერძნეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ პელას და სპარტის მიდამოებშიც.

# 12 წლის ბავშვმა 163 სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა

**12 წლის გერმანელი ბიჭუნა, სახელად შრეკი, თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში ყველაზე ახალგაზრდა ქურდ-რეციდივისტად.**

პოლიცია მას უკვე ბრალად სდებს 163 სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას, [illegible]

ბავშვებს ხშირად იყენებდნენ ბინების გაქურდვის დროს. საქმე ის არის, რომ [illegible] სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, სანამ 14 წელი არ შეუსრულდებათ.

„თუ ჩვენ მას ვიჭერთ, მხოლოდ [illegible]“.

შრეკის კრიმინალური კარიერა დაიწყო ორი წლის წინათ. [illegible] მარტო ფრანკფურტში – გერმანიის ფინანსურ დედაქალაქში – შრეკი 89-ჯერ დააკავეს. [illegible]

**სს მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო აცხადებს კონკურსს საზოგადოების ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი 72, 390 და 187 კვ.მ ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე**

„მეიჯარე“ – სს მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო.

საიჯარო ქონება წარმოადგენს თბილისში, ლუბლიანას ქ. № 2/6-ში მდებარე 72 კვ.მ. სამრეცხაო კორპუსის I სართულზე, 390 კვ.მ. პოლიკლინიკური კორპუსის I სართულზე, 730 კვ. მეტრი ცენტრალური კორპუსის VI სართულზე, 187კვ.მ. IV ბლოკის 0 სართულზე.

ყოველწლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა შეადგენს:

**72 კვ. მეტრი – 2400 (ორიათას ოთხასი) ლარი. „ბეს“ სიდიდე შეადგენს 240 ლარს.**

**390 კვ. მეტრი – 14 040 (თოთხმეტი ათას ორმოცი) ლარი. „ბეს“ სიდიდე შეადგენს 1404 ლარს.**

**187 კვ. მეტრი – 2244 (ორიათას ორას ორმოცდაოთხი) ლარი. „ბეს“ სიდიდე შეადგენს 224 ლარს.**

**730 კვ. მეტრი – 21 900 (ოცდაერთი ათას ცხრაასი) ლარი. „ბეს“ სიდიდე შეადგენს 2190 ლარს. იჯარის ვადა 10 წელი.**

**საკონკურსო პირობები:**

„მოიჯარე“ იჯარით გაცემულ ფართზე [illegible]

„მოიჯარე“ განახორციელებს იჯარით აღებული ფართის მოვლა-პატრონობას;

„მოიჯარე“ გადაიხდის იჯარით აღებული სახელმწიფო ქონების კომუნალური მომსახურების გადასახადებს ქალაქში დადგენილი ტარიფების და წესების მიხედვით, რაზეც გააფორმებს ცალკე ხელშეკრულებას შესაბამის ორგანიზაციებთან;

„მოიჯარის“ მიერ საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად პროპორციული წესით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს კონკურსის ჩატარების თარიღამდე **ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 12 საათიდან 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **თბილისი, ლუბლიანას ქ. № 2/6, სს მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, ცენტრალური კორპუსი, I სართული, იურისტის ოთახი.**

კონკურსი ჩატარდება [illegible] **2005 წლის 30 აგვისტოს 17 საათზე** შემდეგ მისამართზე: **თბილისი, ლუბლიანას ქ. № 2/6, სს მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, ცენტრალური კორპუსი, I სართული, იურისტის ოთახი.**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

[illegible] ფიზიკური ან იურიდიული პირის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი ფინანსური წინადადება, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც იქნება დალუქული კონკურსანტის მიერ;

სს მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ანგარიშზე (სს „შუერთიმექსბანკი“, ა/ა № 2793602, კოდი 220101703) „ბეს“ შეტანის დამადასტურებელი ქვითარი;

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

[illegible]

**საცნობარო ტელეფონი: (+995 32) 53-20-33; (+995 32) 52-90-34.**

**ი. სასანია,**
**საავადმყოფოს გენ. დირექტორი.**

⊙ პოლიცია

# მძარცველებთან პირისპირ



## იმ საღამოს სამარშრუტო ტაქსში ცოდვის კალო ტრიალებდა...

**გონიერი და ღონიერი ბიჭია ლაშა იანტბელიძე. თუმცაღა, როგორც იტყვიან, ოფიციალურად მას გიორგი ჰქვია, მაგრამ ახლობლები და მეგობრები ლაშას ეძახიან. 33 წლის ლაშა-გიორგი პროფესიონალი პოლიციელის, არასამთავრობო ორგანიზაცია „მძღოლი, გზა, სამართალის“ პრეზიდენტის, ერთობ თანამედროვე, ორიგინალურად მოაზროვნე კაცის რობერტ იანტბელიძის ოჯახში გაიზარდა. სხვა პროფესია არც უძებნია, მუდამ მოწესრიგებული და ოჯახზე გადაგებული მამა შვილისთვის (შვილებისთვის) სამაგალითო იყო და არის.**

**საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ხარკოვის (უკრაინა) მილიციის უმაღლესი სკოლაც წარჩინებით გაასრულა ლაშამ და... უკვე 12 წელიწადია დინჯი და უღალატო, მამაცი პოლიციელის სახელს ატარებს. ორი შვილის მამა ბოლო ხანს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ლეგიონის სამწყობრო დანაყოფის ასმეთაურის მოადგილეა. მისი ასეული განსაკუთრებით სტრატეგიულ, სახელმწიფოებრივი დანიშნულების ობიექტებს იცავს...**

**ცხოვრება ისეთია, ხიფათი და უწესრიგობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება შეგხვდეს. თუმცა, იმას, რაც სამიოდე თვის წინათ ლაშა იანტბელიძეს შეემთხვა, ჩვეულებრივ ხიფათსა და უწესრიგობას ვერ უწოდებ. ეს იყო თავზეხელაღებულ მძარცველებთან პირისპირ შებმა.**

25 აპრილს, დაახლოებით ღამის 10 საათზე ლაშა იანტბელიძე გლდანის რაიონიდან, მეუღლესთან ერთად, სამარშრუტო ტაქსით (№ 145) შინ ბრუნდებოდა. დედაქალაქის მე-8 საავადმყოფოსთან მანქანაში ორი ახალგაზრდა ამოვიდა. ისინი უკანა სავარძელზე მოთავსდნენ და სალონი გამომწვევად მოათვალიერეს... მიკროავტობუსში ქალები, ბავშვები და მოხუცები ისხდნენ. ერთადერთი ახალგაზრდა კაცი ლაშა იანტბელიძე იყო... მოულოდნელად, უკანა სავარძელზე მსხდომი მძარცველი ყვირილით წამოვარდა ფეხზე. მძღოლის გვერდით დადგა, რევოლვერი ჩახმახზე შეაყენა და მგზავრებს უტიფრად უღრიალა: ამოალაგეთ ფული, ოქროულობა, მობილური ტელეფონები, — თანაც ისე, რომ კრინტი არავინ დაძრას, თორემ სათითაოდ ჩაგცხრილავთ!

მეორე ბანდიტი მძღოლის უკან მჯდომ ლაშა იანტბელიძეს მივარდა, ყელზე დანა მიაბჯინა და სადისტურად დამარცვლა: რას გაჩუმებულხარ, მობილური მაინც არა გაქვს, მომეცი, თორემ ყელს გამოგჭრი... რამდენიმე წამში ლაშას ყელი დასერილი და ტანისამოცი სისხლით მოთხვრილი ჰქონდა.

— ჩქარა, შენ გეუბნებიან, დაყაჭე, რაც გაქვს, თორემ შუბლს გაგიხვრიტავ! — დაისისინა რევოლვერმომარჯვებულმა, თან მძღოლს უბრძანა, მანქანა ცენტრალური ქუჩიდან რომელიმე ჩიხში შეიყვანეო...

ლაშა იანტბელიძე სიმწრის ოფლში იწურებოდა: დანა მომაშორე და რაც მაქვს ყველაფერს მოგცემთო, — ძლივს ამოილუღლუღა. მანქანის ჩიხში შეხვევისას იარაღიანმა წამით მძღოლისკენ გაიხედა. ლაშამ მარცხენა ხელი ალესილ დანის პირს ამოსდო, მარჯვენით კი თავისი სამსახურებრივი, ოფიციალურად გაფორმებული სატაბელო იარაღი ამოიღო და დამიზნებით გაისროლა.

იარაღიანი ბანდიტი მიკროავტობუსის კართან ჩაიკეცა. მძღოლმა მოულოდნელად დაამუხრუჭა და დანით შეიარაღებული მძარცველი წინ გავარდა. რის ვაივაგლახით სავარძლიდან წამომდგარი ლაშაც წაიქცა. დანაშემართული ყაჩაღი მას ზემოდან დაახტა, მაგრამ გამწარებულმა და ღონიერმა ლაშამ იმდენი მოახერხა, რომ ქვემოდან მიბჯენით ესროლა.







მანქანის სალონში ცოდვის კალო ტრიალებდა... ლაშა იანტბელიძე რომ წამოდგა, დაჭრილი ბანდიტები უკვე დაფეთებულნი გარბოდნენ... გაოგნებულ მგზავრთაგან ერთ-ერთმა იყოჩაღა და საპატრულო პოლიცია გამოიძახა. მძარცველები შორს ვეღარ წავიდნენ. ორივენი შეიპყრეს და სასწრაფოდ მე-8 საავადმყოფოში მიიყვანეს. სამწუხაროდ, დანით შეიარაღებული ბანდიტი დიმა ცენტერაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა. რევოლვერიან ყაჩაღს ზურაბ ნადირაძეს კი, მკურნალობის შემდეგ, სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ნივთმტკიცება — ყაჩაღების დანა და პისტოლეტი.

ძიებისას ისიც მალე გამოირკვა, რომ ვიდრე სამარშრუტო მანქანის მგზავრებს ააწიოკებდნენ, ყაჩაღებს იმ დღეს ორი მაღაზია გაუძარცვავთ!

სამედიცინო დახმარება და ოპერაცია ლაშა იანტბელიძესაც დასჭირდა. ის რამდენიმე დღე იწვა საავადმყოფოში. ექიმების აღიარებით, ლაშა ბეწვზეა გადარჩენილი, — ალესილი დანა რამდენიმე მილიმეტრით ასცდა საძილე არტერიას...

ასე გახდა კაპიტანი ლაშა იანტბელიძე ქართული პოლიციის ერთ-ერთი რაინდი. მან გაჭირვებაში ჩავარდნილი თბილისელები მოულოდნელი განსაცდელისგან იხსნა, პროფესიული სიმამაცე, მოხერხებულობა ურთულეს სიტუაციაში გამოამჟღავნა და მძარცველების ასალაგმად თავი გასწირა.

ღმერთია მოწამე, — ლაშა იანტბელიძეს არავის მოკვლა არ სურდა... დაუნდობელმა ბანდიტებმა აიძულეს მხოლოდ...

ნაღდი პოლიციელი კი რის მაქნისია, თუ ყველაფრისმკადრებელი მძარცველების წინაშე დაიჩოქებს და საკადრისს არ მიუზღავს...

სრულიად კანონზომიერია ისიც, რომ ლაშა იანტბელიძის თავგანწირვა ქვეყნის პრეზიდენტის საგანგებო წახალისებით დაგვირგვინდა, — ამ დღეებში მიხეილ სააკაშვილმა ის მედლით — „მხედრული მამაცობისთვის“ დააჯილდოვა.

გუშინ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა თენგიზ აღდგომელაძემ ლაშა იანტბელიძეს მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ გადასცა. პრეზიდენტის ბრძანებულებაში კონკრეტულად აღნიშნულია: **„სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეიარაღებული ბოროტმოქმედთა დაკავებისას გამოჩენილი მამაცობის, გაბედული მოქმედებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ ორდენებითა და მედლებით“.**

სამ დაჯილდოებულ პოლიციელს შორის ერთი ლაშა იანტბელიძეა. მასზე უკვე გიამბეთ. დანარჩენებზე უახლოეს ხანში მოგითხრობთ.

ქართული პოლიცია ერთმნიშვნელოვნად იბრუნებს თავის უმთავრეს ფუნქციას — ხალხის დაცვა!

**სპარტაკ ქოზულია**

## განცხადება ბორჯომის რაიონის მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ქ. ბორჯომის ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრების საპროექტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

1. ბორჯომის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს ქ. ბორჯომის ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრების საპროექტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესასრულებელია:**

**1) ქ. ბორჯომის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის ტოპოგრაფიული გადაღება;**
**2) ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა;**
**3) ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება;**
**4) ქ. ბორჯომის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის ჰიდროლოგიური გამოკვლევა;**
**5) საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრების კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება;**
**6) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავება;**
**7) აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.**

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვე;

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 15 აგვისტოს შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, ბორჯომის რაიონის გამგეობა.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობებს სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სხვა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისთვის:**

ა) ლიცენზიას საპროექტო სამუშაოების განხორციელების შესახებ;

ბ) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში გაწეული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ, პირველადი სატენდერო წინადადების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნები, რის შესაბამისადაც წარმოდგენილი უნდა იქნეს ზოგადი მონაცემები ჩასატარებელი საპროექტო სამუშაოების შესახებ ღირებულების გარეშე.

პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.

პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი.

პრეტენდენტის კვალიფიკაცია მიენიჭებათ ტენდერში მონაწილეობის მსურველ იმ პირებს, რომელთა მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებზე არსებობს აღნიშნული მომსახურების სფეროში პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნა.

სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპის დადგენილ პირობებს.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერის მეორე ეტაპზე მოწვეულ პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: **ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, ბორჯომის რაიონის გამგეობა.**

სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად ეცნობებათ შერჩევიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) დღის ვადაში. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: **ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, ბორჯომის რაიონული გამგეობის აპარატის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი ელდარ გოგოლაძე.**

**საკონტაქტო ტელ: 8(267) 2-29-92; 899-76-83-17.**

**სატენდერო კომისია**

**განჩინება**

## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

19 ივლისი, 2005 წელი — ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დურმიშხან ქორქოლიანმა, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, განვიხილე ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის დავით ჯავახაძის განცხადება შპს საბითუმო ბაზა „დელფინის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით,

**სარეზოლუციო ნაწილი:**

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-11, მე-12, მე-13 და მე-15 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე და 285-ე მუხლებით,

**დავადგინე:**

1. შპს საბითუმო ბაზა „დელფინის“ მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება.
2. მოვალე შპს საბითუმო ბაზა „დელფინს“ აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვისა და მართვის უფლება.
3. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს მამუკა ღოღონაძე, დაბადებული 1962 წლის 20 იანვარს, ქ. ქუთაისში, მცხოვრები ქ. ქუთაისი, გელათის მეორე შესახვევი № 8 ა-ში, პროფესიით ეკონომისტი.
4. გაკოტრების მმართველმა დაუყოვნებლივ მიიღოს მმართველობაში გაკოტრების მასა, შპს საბითუმო ბაზა „დელფინის“ ქონება და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი.
5. მოვალე შპს საბითუმო ბაზა „დელფინის“ ყველა კრედიტორმა ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. № 11) თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში, თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. ვადის გასვლის შემთხვევაში, განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.
6. ყველა იმ პირს, რომელსაც მოვალე შპს საბითუმო ბაზა „დელფინის“ ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ (ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქ. № 12).
7. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს მოვალე შპს საბითუმო ბაზა „დელფინის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, აეკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება და დაევალოს შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.
8. შპს საბითუმო ბაზა „დელფინის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნას 2005 წლის 19 ივლისს, დღის 12 საათიდან.
9. 2005 წლის 26 სექტემბერს, 12 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში (მე-4 სართულზე) მოწვეული იქნას კრედიტორთა პირველი კრება. კრებაზე შემოწმდება კრედიტორთა მოთხოვნები, აგრეთვე მოსმენილი იქნება გაკოტრების მმართველის მოხსენება ვალაუვალი მოვალის, შპს საბითუმო ბაზა „დელფინის“ გადახდისუუნარობის წარმოშობის მიზეზების, არსებული მდგომარეობის და კრედიტორთა პირველ კრებამდე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
10. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც შპს საბითუმო ბაზა „დელფინს“ აქვს საქმიანი ურთიერთობა.
11. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს პრესაში, აგრეთვე სასამართლოს დაფაზე.
12. განჩინება გაეგზავნოს კავშირგაბმულობის განყოფილებას.
13. შპს საბითუმო ბაზა „დელფინის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მონაცემები შეტანილი იქნას სამეწარმეო რეესტრში, რის შესახებაც ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

**მოსამართლე: დურმიშხან ქორქოლიანი**

⊙ ინფორმაცია

## რაში იხარჯება ფული?

**ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთი ნაწილი ქუთაისის მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის არაეფექტურ ხარჯვაში ადანაშაულებს.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იმერეთის ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ კახა გვანცელაძემ განაცხადა, ქუთაისის ბიუჯეტის 30 პროცენტი არამიზნობრივად არის გახარჯული, რის გამოც ისინი მერიას 20-ზე მეტ რეკომენდაციას სთავაზობენ.**

**ახალგაზრდა ეკონომისტების რეკომენდაციები ქუთაისის მერიის შტატების შემცირებას, ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ადმინისტრაციული ინსპექციის მთლიანად ლიკვიდაციას ითვალისწინებს.**

## ქუთაისში პენიტენციური სისტემის პილოტ-პროექტის განხორციელება დაიწყო

**ქუთაისში პენიტენციური სისტემის პილოტ-პროექტის განხორციელება გუშინ დაიწყო. ახალ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომლის მშენებლობა ქუთაისის გარეუბანში სექტემბრის ბოლოს დასრულდება, საჯარო სამსახურის მსურველ პრეტენდენტთა კონკურსი გამოცხადდა. კონკურსი 2 ეტაპად ჩატარდება.**

**საკონკურსო ცენტრები თბილისსა და ქუთაისში გუშინ გაიხსნა და მათ თვალს იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფი ადევნებს.**

**ქუთაისის ახალ საპყრობილეში სულ 300 ადამიანი იმუშავებს, რომელთა ხელფასი 150-დან 950 ლარი იქნება.**

## სამი ინფიცირებული ერთი ოჯახიდან

**დაუდგენელი ნაწლავური ინფექციით ქალაქ რუსთავში სამი ადამიანი დაინფიცირდა.**

**როგორც ინტერპრესნიუსს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, მოზრდილი ასაკის სამივე პიროვნება ერთი ოჯახის წევრია. ავადმყოფები რუსთავის ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

**როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აღნიშნეს, ამჟამად დგინდება, თუ რა ინფექციამ გამოიწვია პაციენტების მოწამვლა.**

**ინტერპრესნიუსი**

## მალე აზერბაიჯანს რუსული გაზი აღარ დაჭირდება

**აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის მონაცემებით, 2010 წლისთვის „გიუნეშლის“ საბადოდან 4,9 მილიარდი კუბ.მეტრი გაზის მოპოვება გახდა შესაძლებელი. წლის პირველ ნახევარში ამ საბადოდან 5,52 მილიონი კუბური მეტრი, შარშან კი — 2,2 მილიარდი კუბური მეტრი გაზი მიიღეს.**

**აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერაციული კომპანიის პროგნოზით, 2015 წლამდე „აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის“ საბადოებიდან 128 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მოპოვება გახდება შესაძლებელი. აქედან 39 მილიარდი კუბმეტრი გაზი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას გადაეცემა, რაც აზერბაიჯანის მოთხოვნილებას სრულად დააკმაყოფილებს.**

**მედიანიუსი**

შპს „ინდუსტრიას“ გათვალისწინებული აქვს, 15-ტონიანი ცეცხლგამძლე ლითონის რეალიზაციის მსურველები დაგვიკავშირდნენ ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის 88. ტელეფონი: 7-55-20, ფაქსი 9-35-56.

**შპს ინდუსტრიის დირექტორი: რ. ცხვედელიანი**

სს „თბილმარგარინმრეწვის“ აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარე წლის 12 სექტემბერს დღის 12 საათზე დანიშნულია აქციონერთა კრება.

**დღის წესრიგი:**

1. **ექვსი თვის ანგარიში;**
2. **სამომავლო ამოცანები.**

**სს „თბილმარგარინმრეწვის“ დირექტორი: დ. ჯაფარიძე.**

## შპს „საქართველოს რკინიგზა“ მის ბალანსზე რიცხული თბომავლების რეალიზაციის მიზნით აცხადებს კონკურსს

### ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ:

6 ერთეული 2 ტე10მ ტიპის თბომავალი № 2035 გამოშვების წელი- 1984; № 2036 გამოშვების წელი-1984; № 2316 გამოშვების წელი-1985; № 2461 გამოშვების წელი-1985; № 2975 გამოშვების წელი-1987; № 0835 გამოშვების წელი-1983.

სარეალიზაციო ქონება მდებარეობს ქ. ხაშურში, შპს „საქართველოს რკინიგზის“□ ფილიალ „ხაშურის სალოკომოტივო დეპოს“ ტერიტორიაზე.

**საკონკურსო პირობები:**

1. ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი შეადგენს 1900000 (ერთი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარს, (დღგ-ს გარეშე). ბეს თანხა 905000 (ცხრაასხუთი ათასი) ლარს.
2. თბომავლების გატანას შპს „საქართველოს რკინიგზის“ ტერიტორიიდან უზრუნველყოფს მყიდველი, საკუთარი ხარჯებით.
3. მყიდველი უზრუნველყოფს თბომავლების აღდგენას და გამოყენებას დანიშნულებისამებრ.
4. მყიდველი ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზას“ მოემსახუროს შეღავათიან ფასებში.
5. მყიდველი ვალდებულია თბომავლების გაყიდვის შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს საკონკურსო პირობების მე-3 და მე-4 პუნქტები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს სარეალიზაციო ქონების დასახელება და მყიდველის თანხმობა გამოცხადებულ საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

— მყიდველის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ.

— შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე (ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა № 3407003205 ბანკის კოდი № 220101757 საიდენტიფიკაცო კოდი № 202886010) „ბეს“ გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

— ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით.

— იურიდიული პირი დამატებით წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს.

**საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ წიგნში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს;**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი სარეალიზაციო ფასისა) შემოთავაზება.

თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა № 3407003205 ბანკის კოდი № 220101757 საიდენტიფიკაცო კოდი № 202886010

კონკურსი ჩატარდება **2005 წლის 1 სექტემბრის 12 სთ-ზე** შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში;

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება კონკურსის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10-სთ-დან 17 სთ-მდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15 შპს „საქართველოს რკინიგზის“, ადმინისტრაციული შენობა, ტელ. 565318

კონკურსის შედეგები მტკიცდება აუქციონის ჩატარებიდან 5 დღის განმავლობაში. კონკურსის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში ქონების გამოსასყიდი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „მყიდველს“ „ბე“ არ დაუბრუნდება და არ მიეცემა მესაკუთრის უფლება.

გამარჯვებულს „ბეს“ სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის დროს.

მონაწილეს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას;

„მონაწილეს“ „ბეს“ დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი კონკურსში მონაწილეობაზე.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შპს „საქართველოს რკინიგზაში“ ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, IV სართულზე**

**ტ. 56-53-18, 56-53-19, 56-33-48.**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №20

# სიმაღლეთა შორის...

*ყველაფერი ის, რაც სიმაღლესთან გვაკავშირებს, არაერთმნიშვნელოვანია და როგორც ბედნიერება, ისე უბედურებაც მოაქვს...*

*და მაინც, ადამიანთა ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი წუთები სიმაღლეებისაკენ მიპყრობილი მზერაა...*

*სხვადასხვა ტიპის სიმაღლისკენ დაძრულ პიროვნებათა შორის, რომლებიც კი ცხოვრებაში შემხვედრია, ყველაზე მშვიდად და ზედმეტი ჟესტიკულაციის გარეშე მთამსვლელებს უჭირავთ თავი. იქნებ იმიტომაც რომ იქ, მაღლა, გათვლილი და მოზომილია ყოველი ნაბიჯი და კარგად იციან: ზედმეტი მოძრაობა (ზედმეტი სიტყვების არ იყოს) შეიძლება საბედისწეროც გახდეს.*

„Я спросил тебя: Зачем идете в гору вы?..“

ვლადიმერ ვისოცკი



*კითხვა, თუ რატომ და რისთვის მიდიან მთაში, როგორი სიმბოლიკითაც და რამდენჯერაც არ უნდა ახსნან, მაინც პასუხგაუცემელია.*

***„Я спросил тебя: Зачем идете в гору вы...'–** თაობათა ჰიმნად ქცეულ ამ სიტყვების ავტორის გარდაცვალების თარიღი და ჩვენი ბიჭების უშბაზე დაღუპვის დღეები ერთმანეთს დაემთხვა...*

ვისოცკის ერთხელ უთქვამს: **„მე გავხდი ხელოვნების მსხვერპლი, იმიტომ, რომ ხელოვნება მაღალია და მსხვერპლს მოითხოვს“.**

სიმაღლეებისაკენ ლტოლვა ალბათ, ტარიგად ყოფნასაც გულისხმობს.

„Зачем идете в гору вы...“– ამ და სხვა ამდაგვარი სიმღერების, სრულიად არასასიმღერო, ჩახლეჩილი და გაბზარული ხმით შესრულება მაშინ ზუსტად გამოხატავდა ადამიანთა დაგუბებულ, თითქოსდა ყელში გაჩხერილ პროტესტს მათ წინააღმდეგ, სიმაღლეებისკენ სავალ გზებს რომ ახშობენ. ეს ხასიათად ქცეული ხმა იყო.

„შთაგონების წუთებში, როცა შეუცნობელი მიზეზებით იგრძნობთ სიტყვების არა ზედაპირულ, არამედ მათში დაფარულ სიღრმეს, მიაგნებთ მეტყველების სისადავეს და კეთილშობილებას, ასეთ წუთებში ნებისმიერი ხმა ჩინებულად ჟღერს და მეტყველებაც მუსიკალური ხდება. საიდან? როგორ? ეს ბუნების საიდუმლოებაა...“

ამ ზოგად, თეორიულ მსჯელობას კონსტანტინე სტანისლავსკი ერთ საინტერესო ეპიზოდს ურთავდა, თუ როგორ უშედეგოდ ამუშავებდა ხმას რომელიღაც მსახიობი, სანამ **კავკასიაში, ექსტრემალურ სიტუაციაში ჩავარდნილმა,** უეცრად ხმამაღალი ყვირილი არ მორთო. მოულოდნელად მას ძალიან ძლიერი ხმა აღმოაჩნდა, ადამიანის ხმასაც კი ყოვლისშემძლე ბუნება ფლობს.

## ბიჭები არა მწვერვალთა, არამედ ადამიანთა სიცივემ იმსხვერპლა

ექო, როგორსაც მწვერვალზე გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ძახილი გამოსცემს, შემაძრწუნებელია და რაღაც აუხსნელი საიდუმლოთია მოსილი.

ხელოვნების მაღალ მწვერვალზე თუ უშბაზე ასული ადამიანებისთვის ერთნაირად მუშაობს რისკის ფაქტორიც და მოულოდნელობაც. ბედისწერა ზოგჯერ სტიქიურ უბედურებებს ემსგავსება, რასაც ვერავინ ვერაფრით შეაჩერებს...

და მაინც, შეიძლებოდა თუ არა უშბის მორიგ მსხვერპლთა – **ზალიკო ქიქოძის და მერაბ ხაბაზის** გადარჩენა?

სამი ქართველი ალპინისტიდან ორი დაიღუპა. ისინი 19 ივლისს, სამხედრო ვერტმფრენით ჩამოასვენეს.

მათთან ერთად ჰოლანდიელი ალპინისტებიც იმყოფებოდნენ, რომლებმაც ხიფათს თავი აარიდეს... სწორედ აქ არის ძალიან ბევრი რამ გაურკვეველი.

პირველ რიგში, დაირღვა ალპინისტთა გილდიის ძირითადი კანონი: მთაზე, ხიფათში ჩავარდნილებს, არ ტოვებენ.

ქართველებს აღჭურვილობის დიდი ნაწილი ნაპრალში გადაუვარდათ და დაკარგეს. ჰოლანდიელებმა ეს იცოდნენ, მაგრამ წასვლისას თვით აუცილებელი საგნებიც არ დაუტოვეს...

ჰოლანდიელებმა ინფორმაცია თავიანთ ქვეყანაში სატელიტით გააგზავნეს. ჰოლანდიიდან კი აცნობეს თბილისს. მობილიზაციაში რამდენიმე დღე გავიდა. ქართველებს არ ჰქონდათ სატელიტი. მათ არ გააჩნდათ თვით ყველაზე მარტივი რაციაც კი. უფრო მეტიც, როგორც მერე აღინიშნა, „რაციას ბატარეიები ჰქონდა დამჯდარი“. მწვერვალის ძირში, ძველი ტრადიციისამებრ და საერთაშორისო წესების მიხედვით, არ არსებობდა სპეციალური ბანაკი, სამაშველო რაზმებით...

ცალკეულ ადამიანთა თავგანწირვა უშედეგო აღმოჩნდა. ბიჭები გაიყინნენ.

როგორც ჩანს, ჩვენს სამშობლოში ალპინისტიც თუ ჩვეულებრივ გზებზე მოსიარულე ადამიანიც, ერთნაირად დაუცველია.

მართლაც, სიმბოლურია, რომ, ჩვენს სამშობლოში, სადაც ყოველდღიურად გვახსენებენ: „როგორც არასდროს, ისე ხართ დაცულნიო“, ფაქტობრივად, ყველა ბედის ანაბარაა მიგდებული – დაახლოებით ისე, როგორც უშბის კალთებზე მაშველთა მოლოდინში გაყინული ბიჭები...

ვინც **ზალიკო ქიქოძეს** და **მერაბ ხაბაზს** პირადად იცნობდა, ისიც იცის, რომ მათ არასოდეს არავინ გაუწირავთ... არც ცხოვრებაში, არც მწვერვალებზე...

**რაც შეეხება უკანასკნელ საბედისწერო დღეებს: კადრები უკან რომ დავაბრუნოთ და როლები შევცვალოთ, ცხადად დავინახავთ (და ამაში არასოდეს შეგვეპარება ეჭვი): ბუნებრივად, რაინდობის განსაკუთრებული დეკლარაციის გარეშე, ეს ბიჭები თავად არასდროს მიატოვებდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ ჰოლანდიელებს. ქართველები იყვნენ და იმიტომ.**

მომიტევეთ ასეთი პათოსი, მაგრამ ქართული ხასიათის ამ თვისებას ჩემი სამშობლოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მრავალთათვის მიუწვდომელ სიმაღლედ მივიჩნევ.

**ნინო ხოფერია.**





# მშვიდობის მტრედი მშვიდობის ღამურამ შეცვალა

## ...იმის შესახებ, თუ რა ვიხილეთ ივლისის ერთ ცხელ დღეს მიწისქვეშეთში

ექსპოზიციებად ქცეულ მეტროს სადგურებში სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნიმუშები იყო წარმოდგენილი. ბოძებზე კი აქციის პლაკატები – ლონდონის ტრაგედიის ამსახველი ფოტოებითა და მოწოდებებით ტერორიზმის წინააღმდეგ.

პირველი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო – სადგურ „მარჯანიშვილის“ დარბაზის ბოლოს, ჭერქვეშ დაკიდებული უზარმაზარი, ფრთებგაშლილი ღამურა გახლდათ.

**აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, მხატვარმა დ. ბადრიძემ განმარტა: როცა ამ ღამურას ვკიდებდით, ოდნავ შეზარხოშებული მამაკაცი მოგვიახლოვდა და გვკითხა: „ღამურას რატომ ჰკიდებთ, მტრედი არ აჯობებდაო?“.. მაგრამ მეტროს ალბათ ღამურა უფრო უხდება“...**



ბოლოს და ბოლოს, სიმბოლოთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება და თუკი ღამურასაც ტერორიზმის საწინააღმდეგო სამსახურში ჩავაყენებთ, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო.

23 ივლისს დილით, თბილისის მეტროპოლიტენმა უჩვეულო ცხოვრება დაიწყო. სადგურები: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“ და „თავისუფლების მოედანი“ ხელოვანთა ნამუშევრების ექსპოზიციად იქცა.

ეს გახლდათ ერთდღიანი აქცია სახელწოდებით „ART UNDERGRAUND“ (ხელოვნება მიწისქვეშ) – ტერორიზმის წინააღმდეგ“.

აქციის ორგანიზატორები: „დედაქალაქის ხელოვანთა ჯგუფი და საქართველოს კულტურის ხელშეწყობისა და განვითარების ფონდი“.

**„გვინდოდა ხელოვნება იმ ადამიანებთანაც მიგვეტანა, რომლებიც იშვიათად სტუმრობენ საგამოფენო დარბაზებს. გვსურდა გამოვხმაურებოდით ლონდონის მეტროპოლიტენში მომხდარ შემზარავ ტერორისტულ აქტს. გულწრფელად თანავუგრძნობთ დიდი ბრიტანეთის დაღუპულთა ოჯახებს“.**

**ზია ზუზუშვილი, მხატვარი.**



**„ჩვენ ასე ვპასუხობთ ტერორს – ბოროტებას ხელოვნებას ვუპირისპირებთ. ვიღაცას მეტროში ბომბი ჩააქვს, ჩვენ ხელოვნება ჩამოვიტანეთ – (ილია ზუკაკიშვილი, იდეის ავტორი)“.**

დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში მუყაოს დიდ ნაჭერზე მხატვარი **სანდრო წივწივაძე** „სიცოცხლის ყვავილს“ ხატავდა: „თავდაპირველად ვფიქრობდი, სადმე სტუდიაში დამეხატა და აქ მზა მომეტანა, მაგრამ მერე ვარჩიე: სიცოცხლის ყვავილი აქვე შემექმნა, ყველას თვალწინ. ამ საღებავს „ფლურო“ ჰქვია. სიბნელეში ანათებს, როცა ხატვას მოვრჩები, სპეცგანათებას – „ბლექლაითს“ მივანათებთ და ძალიან ლამაზი იქნება. სიბნელეს სინათლე გაარღვევს...“

იქვე, ახლოს, სადაც „სიცოცხლის ყვავილი“ იბადებოდა, დარბაზის კედელზე, კოტე მარჯანიშვილის გამოსახულების გვერდით კომპიუტერული გრაფიკის ძალიან საინტერესო ნახატები ცვლიდა ერთმანეთს, ფერთა, ფიგურათა სხვადასხვა და უამრავი კომპოზიცია. ავტორი ფერმწერი **დავით ბადრიძე** გახლდათ.

**„ბოლო ათი წელი, რაც ჩვენს რეალობაში კომპიუტერი შემოვიდა, კომპიუტერულ მხატვრად ვიქეცი. ძალიან გამიტაცა ასე მუშაობამ. მოსახერხებელია, ადვილია, არ ისვრები საღებავებით, სადაც გინდა წაიღებ... მთავარია ერთხელ იშოვო კომპიუტერი, გქონდეს დენი და ხატე რამდენიც გინდა. მართალია, საგნობრივ სამყაროსთან შეხება ნაკლებია, მაგრამ ეს ხომ უამისოდაც ასეა. ამას გვერდს ვერ ავუვლით. ნელ-ნელა ვირტუალურ სამყაროში გადავალთ...“**

საბოლოოდ შეცვლის თუ არა ტილოს, ფუნჯს, წიგნს, გაზეთს და ჟურნალს უნივერსალურ ცნებადქცეული კომპიუტერი, ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ვინაიდან იმ დღეს, ღვთის წყალობით, არა ვირტუალურ, არამედ რეალურ სამყაროში ვრჩებოდით, სადგურისკენ „რუსთაველი“ ჩვეულებრივი მატარებლით გადავინაცვლეთ.

აქ დ. მღებრიშვილის, გ. მღებრიშვილისა და მ. დათუკიშვილის პოპარტების გვერდით, წარმოდგენილი იყო გ. ჩხაიძის, შ. თევზაძისა და ქ. ასლამაზიშვილის შესანიშნავი ფოტონამუშევრები.

**გიორგი ჩხაიძე: „ოთხი წელია, რაც ფოტოთი ვარ გატაცებული. ეს ერთადერთი რამ არის ალბათ, რასაც დროის შეჩერება შეუძლია ზუსტად იმ მომენტში და ზუსტად იმ განწყობის დამახსოვრება. ეს არის მაშინ ნაგრძნობი დრო და ის წამიც ერთადერთია, აღარასოდეს განმეორდება. მე სარეჟისოროზე ვსწავლობ და ვფიქრობ, ყველა რეჟისორმა კარგად უნდა იცოდეს ფოტო, რომ კადრის აგება შესძლოს“.**



სადგურ „თავისუფლების მოედნის“ კოლონებზე დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიერ მოწოდებული ტრაგედიის ამსახველი დიდი ფოტოები იყო გაკრული. აქვე ამზადებდნენთ პოდიუმს, იმავე საღამოს, 12 საათზე, ამ აქციისთვის მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსული დიზაინერის, **ლიკა ალადაშვილის** ნამუშევრების ჩვენება გაიმართა. მონაწილეობდა ანსამბლი „ალილო“ **გურამ თამაზაშვილის** ხელმძღვანელობით.

საერთო და ჩვენი აზრით, სწორად გამოხატული პათოსი აერთიანებდათ მხატვრების ვ. მეგრელიშვილის, დ. შუშანიას, თ. წაქაძის, თ. ქუთათელაძის და სხვათა ჟანრობრივად და სტილისტურად სრულიად განსხვავებულ ნამუშევრებს. მეტროს სხვადასხვა სადგურებში ვიხილეთ სინთეზური ექსპოზიცია, საერთო და ძალიან აქტუალური იდეის ქვეშ მოქცეული.

გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ექსპოზიციის დამთვალიერებელი მგზავრები, რომლებიც მრავლად იყვნენ, თავის დამოკიდებულებას წერილობით, ფერად ფურცლებზე გამოხატავდნენ და კედელზე აკრავდნენ:

**– „ეს მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ტრაგედია არ არის. ეს მსოფლიოს ტრაგედიაა. ჩვენ გვინდა მშვიდობიანი მსოფლიო, მსოფლიო ტერორიზმის გარეშე“.**

**– „ყველაზე ძნელია ომის გახსენება. მინდა იყოს მშვიდობა.**

**ეთერ ზოზუა სოხუმიდან“.**

**– „მთელ კაცობრიობას უნდა გვახსოვდეს ტერორიზმით გამოწვეული უბედურება და საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი ვოცნებობთ იმ ბედნიერ დროზე, როდესაც იესო ქრისტე ზეციდან დედამიწაზე დაამყარებს ჭეშმარიტ მშვიდობას და რომელიც არასდროს დამთავრდება. ამას გვიდასტურებს ბიბლია.**

**დანიელი 2:44**

**ნ. წიკლაური“.**

კედელზე პატარების სახელდახელოდ შესრულებული ნახატებიც ეკიდა: მზე, ყვავილი, ზეცა – აი, ისიც. ბავშვები ისევ მზეს ხატავენ, მაგრამ რატომ იმატა აგრესიამ, ძალადობამ და ტერორიზმისკენ სწრაფვამ?

იქნებ ამის მიზეზი სწორედ საგნობრივ სამყაროსთან დაშორებაა, ადამიანთა გაუხეშება და გამოფიტვა. ჩვენ ხომ სულიერ საზრდოს, სიკეთის საწყისს, ცოცხალი, ჩვენს ირგვლივ არსებული სამყაროსგან ვიღებთ!

იქ, მიწისქვეშეთში, მშვიდობის სიმბოლო ღამურა იყო. აქ, ზევით – ისევ თეთრი მტრედი. ბავშვები მშვიდობისა და სიკეთის ნიშნად იქაც და აქაც ყვავილს, ზეცას და მზეს ხატავენ.

დავუჯეროთ ბავშვების თვალით დანახულ ქვეყანას და დაველოდოთ იმ დღეს, როცა „ზეციდან მიწაზე დამყარდება ჭეშმარიტი მშვიდობა“ და რომელიც არასოდეს დამთავრდება.

**რუსუდან გურჩიანი.**

**სურათებზე: დათო ბადრიძის გრაფიკა, გიორგი ჩხაიძის ფოტოეტიუდი და პატარა ირაკლის „მზე“.**

**... „ვიდრე თამარი ფანჯარასთან მივიდოდა, თარაშმა თვალი შეავლო მას, თითქოს პირველად ხედავდა ამ ქალს: მის სათნო სახეზე აღბეჭდილიყო ქართული მადონების თავშეკავებული ქალურობა...“**

# კონსტანტინე გამსახურდიას პირველი სიყვარული

**სამწერლო ოსტატობის მრავალ საიდუმლოთა შორის, ერთ-ერთი პროტოტიპის საკითხიც გახლავთ, რადგან აქ კონკრეტული და წარმოსახული, ავტორისეული და რეალური შინაგანი ლოგიკით არის დაკავშირებული.**

ის, რომ თამარ შარვაშიძის სახეს მშვენიერ რევეკა ვაშაძის სახელს უკავშირებენ, ნამდვილად არ არის შემთხვევითი, რადგან კოსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებაში ეს თითქოსდა მივიწყებული ქალი, გამორჩეული ხიბლითაა მოსილი.

*„ჩემო დაუვიწყარო რევა! მე ოდისეი ვარ ქვეყნად სამოგზაუროდ გასული, შენ – მარად ერთგული პენელოპე. ღირსიც არა ვარ შენი სიყვარულის, ჩემო კარგო...“* კონსტანტინე გამსახურდიას ჟენევიდან გამოგზავნილი ეს წერილი 1919 წლითაა დათარიღებული.

მრავალი წლის შემდეგ, მწერლის 80 წლის იუბილეზე, საზეიმო ცერემონიალისგან განმარტოებულს, ჟურნალისტი სწვევია – ქალბატონი თიურა ვაშაძე და მცირე საუბრის შემდეგ, ბატონ კონსტანტინეს ხმადაბლა და განდობილად უთქვამს: **„დედაზე და პენელოპეზე მეტად არავის ვყვარებივარ“...**

ეს არც მხოლოდ სულსდამჩნეული წარსულის და არც მხოლოდ პირადი საიდუმლოს გაზიარება იყო. კონსტანტინე გამსახურდიამ ამით თავისი ცხოვრების გზის დასავალზე, სრულიად გასაგებად განაცხადა, რომ **ის ქალი** მისი ბიოგრაფიის აუცილებელი ნაწილი უნდა გამხდარიყო.

ეს აღიარება, ალბათ, მისი მომავალი ბიოგრაფების გასაგონად იყო განკუთვნილი.

* * *

სანიმუშოდ გამოკვლეულ თარიღებს შორის მოქცეული, დასტამბული ბიოგრაფიები, მემუარებიც, მოგონებებიც, თვით ავტობიოგრაფიაც კი შეუძლებელია აუცილებელი სიზუსტით განვიხილოთ.

**„ვერავინ აღწერს ცხოვრებას თვითონ მასზე უკეთ“,** – წერდა რ. როლანი, **– მისი შინაგანი მდგომარეობა, მისი ნაღდი ცხოვრება მხოლოდ მისთვის არის ცნობილი“...**

მაგრამ მრავალ მიზეზთა და სიტუაციათა გათვალისწინებით, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ბევრი, ძალიან მნიშვნელოვანი, გამოქვეყნებულ ბიოგრაფიათა მიღმა რჩება.

რატომ აღწერენ ბიოგრაფები ერთი და იგივე მწერლის ცხოვრებას სხვადასხვანაირად? როგორც ჩანს, ისინი არა მარტო სუბიექტურად მოგვითხრობენ, ასევე სუბიექტურად სდუმან.

დრო არ არის ყველაფრის ამხსნელი, მაგრამ მაინც დროს ელოდებიან, მის დინებას არიან მინდობილნი.

ვფიქრობთ, ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ნამდვილი და სანდო დოკუმენტთაგანი პირადი წერილი გახლავთ, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ორ ადამიანს შორის მოქცეული უმანძილო სივრცე, დიალოგი მასთან და ამიტომ საკუთარ თავთანაც კი...



*ჩემო ძვირფასო რევეკა!*

*„აგერ რამდენი ხანია, შენგან წერილი არ მომსვლია. შენი წერილების მოუსვლელობამ მომკლა მე, გენაცვალე... რევა, როგორ დავიტანჯე უშენოდ... ენა ვერ გამოთქვამს, მთელი ქვეყანა საპყრობილე გახდა ჩემთვის...*

*... ოხ, რევა, როგორ გაბეზრებ თავს ამ ჩემი სიყვარულით, ვფიქრობ ახლა და მაგონდება შენი წყნარი, უშფოთველი შემოხედვა. როგორ გაგტანჯავ შენ ალბათ ფიზიკურადაც და სულიერადაც... ასეა, ჩემო კარგო, შეიძლება ეს ასე მოხდა და ასეც იქნება, მაგრამ აბა, რომელი სიყვარულია უგოლგოთოდ. რა მწარეა შენი სიყვარული და ამავე დროს რა ტკბილი. რო იცოდე, იმ წამებში, მე რო გითხარი, გულიდან სისხლი მოწვეთავს. ღმერთო, რა კარგია ის წამები, როცა შენ უხმოდ მიცქერი და ჩემ მაწვალებელ ეჭვებზე: „მართალიაო“ – მეუბნები. მაშინ მოწვეთავს ჩემი გულიდან სისხლი და მე ვგრძნობ უარეს ბედნიერებას. შენი არ ვიცი და მე კი რაც წინ მიდის ჩვენი სიყვარული, იმდენად სრულიად ახალ-ახალ განცდებს ვეცნობი...“*

დაახლოებით ასი წერილი **რევეკა ვაშაძისადმი** გაგზავნილი და არც ერთი საპასუხო ბარათი, ჩვენამდე მოღწეული...

**„როცა შენ უხმოდ მიცქერი“...** სწორედ ამ უხმო მზერით ძველი, გაბზარული ფოტოდან და ამავე დროს ვარაუდებით კონსტანტინე გამსახურდიას სტრიქონებს შორის, აღვიქვამთ რევეკა ვაშაძეს. სულიერად მყარს, არაერთმნიშვნელოვანს, იგი უზომოდ შეყვარებული ქალია, მაგრამ დამოუკიდებულია გადაწყვეტილებების მიღებაში, სუსტიც და ძლიერიც, ფრთხილიც და დიდსულოვანიც...

* * *

– ბებია 41 წლის ასაკში გარდაიცვალა – გვიამბობს რევეკა ვაშაძის შვილიშვილი ქალბატონი შორენა ახობაძე – 13 წლის იყო, კოსტანტინე რომ შეუყვარდა. მათი ურთიერთობა შვიდი წელიწადი გრძელდებოდა. ორივენი სწავლობდნენ ქუთაისის სემინარიაში. ბებია – ქალთა გიმნაზიაში, ბაბუა – კოსტანტინე გამსახურდია – ვაჟთა გიმნაზიაში. აქედან დაიწყო მათი რომანი.

1914 წლის 13 აპრილს, წმინდა მარინეს ეკლესიაში დაუწერიათ ჯვარი 22 წლის რევეკა ვაშაძეს და 23 წლის კონსტანტინე გამსახურდიას.

იმავე წელს წაიყვანა გერმანიაში, სადაც ერთი უსიამოვნო ინციდენტი გადახდათ. იმ დროს გერმანიაში მასიურად დევნიდნენ ებრაელებს. ბებია ქერა იყო, სახელიც და მამის სახელიც (რებეკა ისაიას ასული) ებრაული ჰქონდა და გერმანელებსაც ებრაელი ეგონათ. და ბაბუასთან ერთად დააპატიმრეს. ძალიან დიდი დრო დასჭირდათ იმისათვის, რომ იქაური ხელისუფლება დაერწმუნებინათ რებეკა (იგივე რევეკა) ებრაელი არ იყო.

1918 წელს, როცა ბაბუამ კვლავ მოსთხოვა გერმანიაში გაყოლა და ისიც ახალდაბადებული 2 თვის შვილით, დედამ უარი განაცხადა. ეს მათი გაყრის მიზეზი გახდა...

ბაბუა ძალიან მეგობრობდა რევეკას დასთან მარგარიტასთან (მარგო), რომელმაც შემდგომ დედაჩემს დედა შეუცვალა... მარგოს აზრს, ყოველთვის ყველა ითვალისწინებდა. განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდია. ყველაზე იმოქმედა რევეკას და კონსტანტინეს გაყრამ.

რევეკას თავი ძალიან ღირსეულად ეჭირა. ისეთი ქალი იყო, რომ კოსტანტინეზე ცუდს ვერავინ გააგონებდა. ის შინაგანად მას არც დაშორებია. მათი შვიდწლიანი სიყვარული მართლაც ძალიან მძაფრი და რომანტიკული იყო. ფაქტურად კი ერთად ძალიან ცოტა ხანს ცხოვრობდნენ. ბაბუაჩემი სულ უცხოეთში იყო.

გაიელვა სიყვარულმა და დაიფერფლა. ბაბუა როგორი ბობოქარიც იყო, სიყვარულიც ისეთი ჰქონდა...

ეს წერილები ბებიის მერე დედას ჰქონდა შენახული. არასოდეს არ ახსენებდა, იქნებ იმიტომაც რომ ძალიან მეგობრობდა და უყვარდა მირანდა გამსახურდია.

პრინციპში მირანდა სულაც არ იყო ბებიაჩემის მეტოქე. ბებია და ბაბუა დიდი ხნის გაშორებულები იყვნენ, 1919 წლიდან. ბაბუამ კი სრულიად ახალგაზრდა მირანდა 1935 წელს შეირთო 45 წლის ასაკში. მირანდამ დედაჩემი შვილივით მიიღო. მათ ჰქონდათ არაჩვეულებრივი ურთიერთობა. ალბათ იმიტომაც, რომ დედა და მისი დედინაცვალი ასაკობრივად დიდად განსხვავებულნი არ იყვნენ, ყველანი ერთად ცხოვრობდნენ ჯაფარიძის ქუჩაზე: ზვიადი და თამრიკო დედას ხელში გაჩნდნენ... – ერთი დიდი ტახტი გვქონდაო, – მიყვებოდა დედა, – დავაგორებდით პატარა ზვიადის და თამრიკოს და ვთამაშობდითო. ისინი წარმოუდგენლად ცელქები ყოფილან... მერე დედაჩემი – ნათელა გამსახურდია გათხოვდა.

მამაჩემი და კონსტანტინე როცა დაახლოვდნენ, მირანდასთვის მოუწერია: „რა ჭკვიანი ყოფილა ეს ჩვენი შვილიო, კარგი ყმაწვილი შეურჩევიაო“... დიახ, ასე წერდა **„ჩვენი შვილი“** და არა **„ჩემი შვილი“**. ბაბუას ჰქონდა ერთი ასეთი გამოთქმა, იმეორებდა ხოლმე **„ქალის ჭკუა ქმრის არჩევით გამოჩნდებაო“...**

როცა კონფლიქტების დროს დედა მუდამ მირანდას მხარეზე იყო. ნამდვილი ქალური სოლიდარობა ჰქონდათ.

ვფიქრობ, ძალიან საინტერესო ქალი უნდა ყოფილიყო რევეკა – ბაბუამ რომ ასეთი წერილები მიწერა. რაც არ უნდა დიდი მწერალი იყო და ქალის იდეალიზაციასაც ცდილობდე, ისე ვერ დაწერ, თუ პიროვნებას არ მიმართავ...

ისე, კაცმა რომ თქვას, მაშინ კონსტანტინე გამსახურდია არც დიდი მწერალი იყო და არც არავინ იცნობდა. უბრალოდ, ევროპის გზებზე მოხეტიალე ახალგაზრდა კაცი გახლდათ...

* * *

*ჩემო შხამივით ტკბილო სიყვარულო! ჩემო ტირანო! ჩემო მტანჯველო. გუშინ მე და მარგომ ერთად ვისადილეთ. მარგო ახლა კითხულობს ზარატუსტრას – ძლიერ მოსწონს. მოიყვანა ზარატუსტას აზრი: სიყვარულში ქალი ან ტირანია, ან მონაო. საერთოდ, ნიცშეს აზრით, ქალის და კაცის მეგობრობაში ასე უნდა იყოს როლები განაწილებული – ქალს ტირანი უყვარს, ქალს ეზარება სინაზე* (Хрубкость). *მე ვფიქრობდი, რომ შენ უფრო ტირანი ხარ. კარგი და პატიოსანი, იყავი ტირანი. მე შენი მონა ვიყო. რა მენაღვლება. ოღონდ კი გიყვარდე...“*

წერილები მოდიოდა მოსკოვიდან, მიუნხენიდან, ბერლინიდან, ბაქოდან, ტუაფსედან, ტყვეთა ბანაკიდან, ჟენევიდან, მატარებელთა სადგურებიდან...

*... იცი, რებეკა, ხანდახან ვიფიქრებ: ასე სჯობია. ჩემ სიცოცხლეში არაფერი ისე არ გამხარებია, როგორც იმ დღეს შენთან ყოფნა... მარა იძულებული ვიყავი გულში ჩამეკლა სიხარული. მით უმეტეს, გაბუტული იყავი მაშინ...*

*რაც შეეხება შენს დახასიათებას, გახსოვს, ერთხელ დავწერე და ოდესმე კიდეც ვრცელს დავწერ, მაგრამ აი, რა მიკვირს: მართალი გითხრა, კიდეც მეშინოდა, ვაი, რომ დავუახლოვდი, ეგებ მომწყინდეს-მეთქი... მაგრამ, როცა დაგიახლოვდი, სულ ვეღარ გცნობილობ. ვიცი, რომ მენატრები მუდამ, მეტი არაფერი!*

*ხანდახან გასაგონად ვიტყვი: რევეკა ვაშაძე! ვიცინი და მიკვირს, რამდენჯერ მიკითხავს ჩემი თავისთვის, ვინაა? რა უნდა ჩემთან. მერე რა, რომ წერილი არ მომწეროს... იყოს, ნუ მომწერს, მაგრამ...*

*ყოველი შენი სულის მიმოხვრა მესმის. ყოველ შენს ჟინს ალღოთი ვიგებ. ვერ გეტყვი კი...*

*მე არ მინახავს ლიტერატურულ ტიპებში და რეალურ ადამიანს შორის ისეთი მსგავსება, როგორიც შენსა და ედვარდას შორისაა (ჰამსუნი). იმ დღეს მაინც შენსას რო ვიყავი, გამახსენდა ედვარდა რო აწითლებდა ლეიტენანტ გლანს...*

*შენ გგონია, რომ გონება გწონის. ტყუილია ძალიან. ერთნაირი სიგიჟენარევი ჟინიანობა არქიმედეს ბერკეტია* (Рычаг Архимеда) *შენი ხასიათის...*

* * *

ბერლინი, 1918 წ. სექტემბრის პირველი.

*ჩემო ძვირფასებო, რებეკა და ნათელა. ამ საღამოს მარტო ვბრუნდებოდი შინ. ვფიქრობ, ჩემი ცხოვრების პირობები ძლიერ მწარეა. სულ უცხოეთში გდება, სულ მარტოობა, გაუხარელი ახალგაზრდობა სავსე ღელვითა და ილუზიებით. მაგრამ რა ვუყო... ხშირად ჩემ თავს მევე ვანუგეშებ...*

*სამსახურში შევდივარ. ჯერჯერობით მექნება 400 მარკა... გენაცვალე, კიდევ ცოტა მოითმინე, ჩემო პენელოპე და თუ არ მოგიკვდე, მოგასვენებ მერე, ხელს არ გაგანძრევინებ. ოღონდ უნივერსიტეტი გავათაო. შენ იცი, ჩემს გოგონას როგორ მოვუვლი. სულ ბანე, გენაცვალე, ცივ წყალს მიაჩვიე, რომ თეთრი, ბამბასავით თეთრი გოგონა დამახვედრო. არ გაანებივრო. გიგზავნი ერთ აბრეშუმის წინდას. სამსახურში რომ ჩავდგები (ხვალიდან) გენაცვალე, ყოველთვის გიყიდი რამეს.*

*ათასს გაკოცებთ შენ და ნათელას,*
*თქვენი კოწია.*

* * *

მშვენიერი რევეკა ვაშაძე გარეგნულად ქერა ყოფილა და თეთრი, თამარ შარვაშიძესავით, **„მთვარეულივით ფერმკრთალი“...**

**...„ახლა ეს სწყურია არზაყანს: თამარის თვალები ნახოს, თუნდ ერთხელ მაინც, თვალები და ცისფერი ძარღვები: წვრილი, აბრეშუმის ძაფივით წვრილი, ცისფერი ძარღვები, თამარის საფეთქელზე გავლებული...**

**ცისფერი თვალები და ცისფერი სისხლი“...**

ახალი დრო ეიმედება არზაყან ზვამბაიას, როცა უკვე მათნაირების გახდება **„ზღვისფერი თვალებიც და ცისფერი სისხლიც...“**

* * *

მაგრამ რევეკა არავისი გამხდარა... თავისი დიდი და ერთადერთი სიყვარული ცხოვრების ბოლომდე ტკივილით და ერთგულებით ატარა რევეკა ვაშაძემ.

*„ძვირფასო რევა, შენ რომ არ მიყვარდე, ღმერთო, რა უღაბნოდ მომეჩვენებოდა საწუთრო...“*







ჭიათურა. ისაია ვაშაძის ოჯახი (მარჯვნიდან) დედა – ანა ბარათაშვილი, რევეკა ვაშაძე, მამა – ისაია ვაშაძე, და – მარგალიტა, ძმები – დავითი და სიმონი.

# დღიურის ფურცლები

**საბურთალოზე, გამსახურდიას ქუჩაზე არსებულ წიგნის სახლის ძალიან მყუდრო და კამერულ გარემოში, წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.**

ეს კრებული მსახიობ **თათია ხაინდრავას** ხსოვნას ეძღვნება (შემდგენელი და რედაქტორი ნინო ხოფერია, მხატვარი რეზო ებრალიძე, გამომცემლობა **„ლიტერა“**).

წერილების, მოგონებების და საუბრების გარდა, გამოქვეყნებულია ფრაგმენტები **თათია ხაინდრავას** დღიურების გადარჩენილი ფურცლებიდან.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

* * *

24 აპრილი. ჩვენი საყვარელი გოჩა აბაშიძის ხსოვნის საღამო. წერილი მივიღე, რომ გოჩას ძალიან ჰყვარებია ჩემი წაკითხული „ხელთათმანის ლილი“.

ვკითხულობ „ხელთათმანის ლილს“ გოჩას თხოვნით და ეს ბედნიერი დღეა.

* * *

დიდებული სესილია თაყაიშვილი. აი, ვინ ლაპარაკობდა ჭეშმარიტი ქართულით. აი, ვინ ფლობდა ყველა ბგერას სიტყვაში. სულ ვცდილობ, მივბაძო, ვისწავლო. რა ძნელია, ძალიან ძნელია ილაპარაკო ისე, როგორც სესილია თაყაიშვილი ლაპარაკობდა. ის იყო დიდი ქართველი.

* * *

უნივერსიტეტი. პავლე ინგოროყვას იუბილე გადაუხადეს. ვერ მივიდა. საოცარი დღე. გამოვიდა აკაკი ბაქრაძე და თქვა: პავლე ჩვენმა მეცნიერთა აკადემიამ არ მიიღო. უტიტულოაო...

მერე კაკოს შეკითხვა დაუსვამს: მეცნიერებათა აკადემიას პავლე ინგოროყვა არ სჭირდება, მაგრამ სჭირდება კი პავლე ინგოროყვას ჩვენი მეცნიერებათა აკადემია?

* * *

7 ივნისი. 1999 წელი. ღამის პირველი საათი და ხუთი წუთია. უკვე 8 ივნისია. ამ წუთას დამთავრდა ქართული ფილმი „ლაზარე“.



ძალიან შეჭირვებულ და გაუბედურებულ დროში ვცხოვრობთ. დილის გათენებას აღარ ველოდებით იმედით. მზემ დაკარგა თავისი დიდი ფუნქცია.

დღეს ერთმა დიდმა ქალმა — მსახიობმა — ჩემმა მეგობარმა, რომელიც ახალი მოსული იყო საღამოდან (ის გამოდიოდა თავისი დიდი, ეროვნული რეპერტუარის ერთი ნაწილით, სადაც მას დიდი წარმატება ხვდა), დამირეკა, მიამბო თუ როგორი საღამო იყო, როგორ თბილად შეხვდნენ, ისიც მითხრა: „იცი, არ მინდოდა სცენაზე ყოფნა, აღარ მინდა არაფერიო“.

ჰო, ისეთი დღე დაგვიდგა, აღარაფრის სურვილი არ გვაქვს. ეს ძალიან ცუდია. უნდა შევძლოთ, უნდა გადავიტანოთ — როგორ? არ ვიცი...

იქნებ? ის უფრო ბედნიერია, ვინც ვერ მოესწრო ამ საშინელ დღეს? ამდენ ღალატს, ამდენ სიცრუეს? ჩვენ განწირულები ვართ! ეტყობა!

იმ წელს დავაზუსტებ, იმ წყეულ წელიწადს, როდესაც თვითმფრინავის ტრაგედია დატრიალდა. გაუგონარი, მიუტევებელი, უპატიებელი და არავის არ ახსოვს ეს?

მე უტიტულოს, უთანამდებობოს, რა შემეძლო. ჩვენ საყვარელ სოხუმში ვისვენებდი მთელი წლის დაღლილი და დაქანცული, რომ ტელევიზიით გვატაკეს თვითმფრინავის ტრაგედიის სასამართლოს ტელე-გადაცემა. საშინელებაა, სიცრუე; ისინი ნამდვილი გმირები, შეუდრეკელნი, არ ითხოოვდნენ პატიებას, ღიმილით ხვდებოდნენ სიკვდილის განაჩენს. უდანაშაულონი სრულიად, უიარაღონი! „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონდა ყოველ მათგანს. კენჭიც კი არ ეგდოთ ჯიბეებში. მღვდელი, რომელიც საერთოდ, სამი წლის უნახავი ჰყავდათ — მასაც განაჩენი გამოუტანეს, დახვრიტეს. ისიც ღიმილით შეხვდა განაჩენს.

ღმერთო დიდებულო! სად იყვნენ საქ. სახალხო მგოსნები, მხატვრები, მწერლები, როგორ არ აღსდგნენ ამ საშინელების წინააღმდეგ? მე მეგონა! თქვენ წარმოიდგინეთ, მე მეგონა, რომ განაჩენს სისრულეში არ მოიყვანდნენ! მე მეგონა, აშინებდნენ ამ შესანიშნავ, უნიჭიერეს ყმაწვილებს!

სად იყო ეკლესია? ნუთუ ასეთი ძალადაკარგული იყო, რომ მღვდელიც კი ვერ დაიცვეს, სრულიად უდანაშაულო მღვდელი?

მე ვლოცულობდი, ჩუმად, ჩემთვის, ღამით! ვიჩოქებდი და ღმერთს შევთხოვდი: ჩემი სული მიებარებინა და ეს უდანაშაულო ახალგაზრდები გადაერჩინა.

გეგას მამა, ჩემი სათაყვანებელი კაცი, დიდი კინორეჟისორი, უდიდესი გემოვნებისა და ნიჭის, **მიხეილ კობახიძე,** რომელმაც თურმე იცოდა, რომ ეს ცუდად დამთავრდებოოდა — იმდენად იყო დარწმუნებული ჩემს უსაზღვრო მწუხარებაში, რომ მე მანუგეშებდა: — არა, არ დახვრეტენო. იცით, მუხლმოდრეკილი რამდენიმე წუთი ვლოცულობდი, ღამით, როცა მარტო ვრჩებოდი ჩემს ოთახში. კანონად შემოვიღე ყოველ ღამით დაჩოქილი ლოცვა. დიდხანს, ძალიან დიდხანს გრძელდებოდა ეს. ვფიქრობდი: გადაასახლეს, გაუძლებენ, ახალგაზრდები არიან!

სად! სად ბრძანდებოდნენ ეს ჩინოსანნი, სად იყვნენ ცნობილი ექიმები, ყველა დარგის გამოჩენილი მოღვაწენი? როგორ არ აღუდგნენ ამ საშინელებას წინ?

მამა, მიხეილ კობახიძე მანუგეშებდა — წარმოიდგინეთ, მე როგორ ვიყავი, რომ გეგას მამა თავად განადგურებული, მე მანუგეშებდა!

რას ფიქრობენ ამის ჩამდენნი? ეპატიებათ ეს უდიდესი დანაშაული?

იქნებ, თქვენ გაიფიქროთ, ჩემო მკითხველო, დიდად პატივცემულო! რა დროს თვითმფრინავის ტრაგედიაა, ქვეყანა დაიქცაო!

დიახ, დაიქცა. 30 ათასი ახალგაზრდა შეეწირა აფხაზეთის მოღალატურ ომს. რიცხვი ლტოლვილებისა მცირდება. 10 ათასი ლტოვილი უკვე დაიღუპა!..

მაგრამ თვითმფრინავის ტრაგედიის დავიწყება არ შეიძლება. მე დღეს კიდევ ერთხელ მოვკვდი! ამ ფილმმა გადამაწყვეტინა, დამეწერა ეს წერილი და ამით დავემუქრებოდი ამ საშინელი ტრაგედიის ჩამდენთ!

თავისთავად დიდი სასამართლო მოელით ქართველ მოღალატეებს, ასეთნაირად საქართველოს განადგურებაში და იმ სასამართლოზე, თუ ამას მაღალი ღმერთი მომასწრებს მე, დიახ, მე ვიტყვი სიტყვას!

როგორ? ასე დასავიწყებელია ის უბედური დღეები? ერთხელ სახ. უნივერსიტეტში მაშინდელ საქ. სახ. კვარტეტთან ვკითხულობდი ქრისტეს შვიდ სიტყვას. დასასრულს შევამჩნიე, რომ ჩემი სათაყვანებელი რეჟისორი მიხეილ კობახიძე ესწრება საღამოს და სრულიად მოულოდნელად, ეს პროგრამაში არ იყო, მე ვილაპარაკე ჩემს საყვარელ გეგაზე და წავიკითხე დიდი ვაჟას „ქუჩი“. სადაც ქუჩი სთხოვს განგებას, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნოს, შეიბრალოს.

მიხვდა ყოველივეს გეგას მამა! მოვიდა, გადამკოცნა და კვლავ მანუგეშა!

გეგა! ივერიელები! სოსო წერეთელი! მღვდელი! არა, ეს საშინელება იყო.

უკვე ღამის სამი საათია! ადამიანებო! მიუხედავად დღევანდელი დიდი გაჭირვებისა, უნდა გავიხსენოთ ეს ტრაგიკული ამბავი.

იყვნენ კი ეს ყმაწვილები ასე გასაწირი? ქართველო ხალხო! ჭეშმარიტო ქართველო ხალხო! ამოიღეთ ხმა! გავიხსენოთ ეს უპატიებელი დანაშაული. ეს კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი საქართველოს ისტორიის მატიანეში!..

* * *

1993 წელი. ნოემბერი. ალბათ 10 რიცხვია. რამდენიმე დღეა წვიმს. საქართველო დაიღუპა. ვნახოთ, ვინ გადავრჩებით. წინ სასიკეთო არაფერი სჩანს. საშინელი ღალატი და მლიქვნელობა. ნუთუ ასე განწირულები ვართ? ღმერთო, დიდებულო, გვიშველე!

12 ნოემბერი. ღამე

„რა იწადო სიბრძნის სწავლა,
უწინ ბოროტს განეშორე“.
მეფე ვახტანგ V“.

* * *

ჩვენს მთავრობას გავახსენებ ერთ ამბავს. ალექსანდრე მაკედონელის ჯარი ერთ-ერთი დიდი ბრძოლის მოგების მეორე უწყლო ადგილას მოხვდა. მაკედონელს მუზარადით საიდანღაც მოუტანეს წყალი. ალექსანდრემ გადახედა ჯარს და თქვა: **„ჯარისთვის ცოტაა. ჩემთვის კი ბევრიო“,** და გადაღვარა წყალი. ჩვენ რომ გვითიშავთ სინათლეს, სულს გვაძრობთ, გაალატაკეთ მთელი საქართველო — თქვენ რატომ არ ცხოვრობთ „თქვენი“ ხალხივით?!.

**ჩვენი ტელეფონებია:**
**99-55-01; 893 14-57-56.**

**ჩანართზე მუშაობდნენ:**
**ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.**



◎ ნიკოლაძისეული

# „ფოთელებმა ჭირი შეჭამეს“

(მესამე გვერდიდან)

თავდაპირველად მდგომარეობა ძალიან გაურკვეველი იყო, სიტუაცია არეული, მაგრამ აქციონერთა ბოლო კრებაზე ყველაფერი მოგვარდა, ამ საქმეში ჩართულია სერიოზული საშუამავლო ფირმა ეკვროკაპიტალის სახით. მქონდა შეხვედრები მათ წარმომადგენლებთან და როგორც ამიხსნეს, მიღწეულია შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან და თვის ბოლოსთვის წარმოადგენენ ახალი ნავსადგურის პროექტს. ასე რომ, ეს საქმე ადგილიდან დაიძრა.

– წყალი და შუქი უმწვავესი პრობლემაა, რომელმაც შეიძლება სოციალურ აფეთქებამდე მიგვიყვანოს. როგორ ფიქრობთ ამის გადაწყვეტას?

– როდესაც ვსაუბრობთ ქალაქის განვითარებაზე, პირველ რიგში, იგულისხმება შუქი და წყალი. ფაქტობრივად, შუქის საკითხი გარკვეულია. საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კომუნალური გამრიცხველიანებისა და გახარჯული ელენერგიის ასპროცენტიანი გადახდის შესახებ, დგენილი არ არის საზღვრები.

რაც შეეხება გუბერნატორის მოადგილის ფოთში ყოფნას, იგი განპირობებული იყო იმ მძიმე მდგომარეობით, რაც ჩემი მერად დანიშვნისას იყო ქალაქში შექმნილი. ეს გახლდათ ურთულესი პერიოდი და გუბერნატორის მოადგილის ყოფნა აქ აუცილებელი გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ მამუკა თოდუამ დიდი როლი შეასრულა მერია-საკრებულოს შორის ვითარების განმუხტვაში. მე ძირითადად ვასრულებდი მერის მოვალეობას, ხოლო გუბერნატორის მოადგილე არეგულირებდა საკითხებს რეგიონალურ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ასე რომ, ჩვენ ძალიან ეფექტურად და შეთანხმებულად ვმუშაობთ. ამასთან, სრულიად ახალგაზრდა კაცი აქტიურად არის ჩაბმული ქალაქის აღმშენებლობის საქმეში.

**– რას იტყოდით, მერის არჩევნებზე?**

– ამის შესახებ არაერთგვაროვანი აზრი არსებობს საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, მერი შეიძლება არჩეული იქნას პირდაპირი გზით, შეიძლება – საკრებულოდან. ჩემი აზრით, მერი უნდა აირჩეს საკრებულოდან. ამის თქმის უფლებას მაძლევს ჩვენი ქალაქის ახლო წარსული, როცა მოხდა საკრებულოსა და მთავრობას შორის დაპირისპირება.



რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში. ერთ ტრანსფორმატორზე „მიბმულია“ 150-200 ოჯახი. გავითვალისწინეთ მოსახლეობის უკმაყოფილება და ვთხოვეთ ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობას (ცნობილია, რომ ენერგოკომპანია დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და მის საქმიანობაში ვერ ვერევით) მოეცა დამატებითი ტრანსფორმატორები, რათა ერთ ტრანსფორმატორზე ჩართული იყოს არა 150-200, არამედ 50-60 ოჯახი. მაშინ უფრო გამარტივდება გადახდის მექანიზმი.

საქართველოს მთავრობამ გამოყო 200 მილიონი ლარი დიდი ქალაქების გასამრიცხველიანებლად, რომელთა შორის ფოთიცაა. ასე რომ, მალე დაიწყება ქალაქის მასობრივი გამრიცხველიანება.

ელექტროენერგიაზე უფრო მტკივნეულია წყლის პრობლემა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ შუქი და წყალი ერთმანეთზეა დამოკიდებული. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ქალაქს წყალი მიეწოდება დღეგამოშვებით, თანაც 3-4 საათის განმავლობაში. ამ პრობლემის მოსაგვარებლად შემუშავებულია და მზადაა პროექტი ქალაქ ფოთის 24-საათიანი წყალმომარაგების შესახებ, რომელიც განხორციელდება თვითდინებით მარტვილის რაიონიდან. გვინდა, ფინანსთა სამინისტრომ გვიშუამდგომლოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წინაშე ამ პროექტის განხორციელების თაობაზე, რომელსაც სჭირდება 6-7 მილიონი ევრო. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულებაზე და ვცდილობთ მინიმუმამდე, 5 მილიონ ევრომდე დავიყვანოთ იგი და დავიწყოთ მისი განხორციელება წლის ბოლოსათვის.

**– რას იტყოდით რეგიონალური მოწყობის თაობაზე, გუბერნატორის მოადგილეზე, რომელიც ფოთში იმყოფება. ხომ არ ქმნის პარალელიზმს მუშაობაში?**

– ამ ეტაპზე იგი ისეთივე უნდა დარჩეს, როგორიც არის, რამეთუ ჯერ კიდევ აღდგენილი არ არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, აღ

**– ბატონო ვანო, ფოთი მრავალდარგოვანი ქალაქი იყო. რა პერსპექტივებია ახალი საწარმოების ასამუშავებლად, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად?**

– შეიძლება ითქვას, რომ ფოთში სოციალური ფონი ოდნავ უკეთესია სხვა რეგიონებთან შედარებით, მაგრამ მთლიანად იგი მაინც მძიმეა. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულება არის ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა ინვესტორებისათვის, რომ მათ დააბანდონ თავიანთი კაპიტალი ქალაქში და პირველი მერცხალი უკვე გამოჩნდა. შენდება ეთერზეთების ქარხანა, რომელიც დაასაქმებს დაახლოებით 150 კაცს. უკვე დაიწყო საუბარი თევზის გადასამუშავებელი თანამედროვე ქარხნის მშენებლობაზე, რომელიც ასევე დაასაქმებს 250-300 კაცს, ამუშავდა სს „ჰიდრომანქანათმშენი“, მუშაობს სს „წისქვილქარხანა“ და ორ თვეში ამუშავდება სს „გემთსაშენი“. იქ ახალი დირექტორი და ახალი მენეჯმენტია. ქარხანა ყველა საგადასახადო დავალიანებას ფარავს და როგორც მაცნობეს, ორ თვეში იგი ამუშავდება და დასაქმდება დაახლოებით ათასამდე კაცი. აი, ამ მიმართულებით მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა. ჩვენ ჩვენის მხრივ ყველა პირობას ვასრულებთ, რათა ინვესტორებმა იმუშაონ, აშენონ და გაალამაზონ ჩვენი ქალაქი. მე არ მინდა რაიმის წინასწარ დაკონკრეტება, მაგრამ უკვე გამოჩნდნენ ინვესტორები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩვენი ქალაქით. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ადგილობრივი ინვესტიციები, დაახლოებით 700-800 ათასი ლარი. ასე რომ, ახლო მომავალში ფოთში გარკვეულწილად გაიზრდება სამუშაო ადგილები და ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა.

ესაუბრა
**ზურაბ აბრალავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◎ გამოფენა

# ეს ნამუშევრები უნიკალურია

**თბილისში, გალერეა „შარდენში“ შემთხვევით მოვხვდი. თუმცა, იქედან ძალიან კმაყოფილი გამოვედი. მხატვრებს ქეთი ქავთარაძეს, ნინო ყვავილაშვილს, ირმა ხოფერიას, ნინო ხოფერიას, ეკა ხუნწარიას ქართული აბრეშუმისთვის ახალი სიცოცხლე შთაუბერავთ. ნატურალური აბრეშუმისგან შექმნილი ნამუშევრები: კედლის პანოები, თავსაფრები, საკაბე ქსოვილები, დეკორატიული სანათები და ბალიშის პირები, შირმები და სხვა მაღალი მხატვრულობითა და სიფაქიზით გამოირჩევა. თითოეული ნამუშევარი ხელით არის შესრულებული და შესაბამისად განუმეორებელია.**

აღსანიშნავია, რომ სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულებმა ქეთი ქავთარაძემ, ნინო ყვავილაშვილმა, ირმა ხოფერიამ, ნინო ხოფერიამ და ეკა ხუნწარიამ ჯერ კიდევ 1994 წელს დააარსეს მხატვრული ტექსტილის სახელოსნო, სადაც აქტიურად დაიწყეს თავიანთი საქმიანობა და ბევრი საინტერესო ნამუშევარი შექმნეს. აქ სამუშაო სივრცის გარდა, საგამოფენო ოთახიც არის, სადაც დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ მათთვის საჭირო და სასურველი პროდუქცია შეიძინონ. აქ შესაძლებელია ინდივიდუალური შეკვეთების შესრულებაც. სახელოსნოს წევრები მუდმივად ღებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა გამოფენებში, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

ამიტომაც მდიდარ ადამიანებს, ქართულ თუ უცხოელ ბიზნესმენებს შესაძლებლობა აქვთ ამ სახელოსნოში უნიკალური თავისთავადი, მაღალი ხარისხის ნამუშევრები შეიძინონ.

**ლალი ქინქლაძე**

◎ ეროვნული ჩემპიონატი

დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე საქართველოს ფეხბურთელთა მე-17 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება!

# „ამერს“ იმერში „ტორპედო“ გამოცდის



**მედლებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. მათ შორისაა თბილისის „ამერი“, რომელსაც უმაღლეს ლიგაში დებიუტი ექნება.**

გუშინ სასტუმრო „ვარაზში“ ამერელებმა პრესკონფერენცია გამართეს. მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ გუნდის შემადგენლობა გაგვაცნო. წლევანდელ სეზონში „ამერის“ ღირსებას დაიცავენ: **მეკარეები** – ლადო ნადირაშვილი რევაზ ნაჭყებია, გიორგი ნიკურაძე, **მცველები** – ამირან კედელაშვილი, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ელბაქიძე, გიორგი დავითნიძე, ჯაბა ბერიანიძე, ვახტანგ ხვადაგიანი, გიორგი კვახაძე, **ნახევარმცველები** – დავით მჭედლიშვილი, მირზა ბჟალავა, გიორგი ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე კაიდარაშვილი, გიორგი დეკანოსიძე, გეგი გარუჩავა, გივი ჩხეტიანი. დენის დობროვოლსკი, ალექსანდრე კოშკაძე, გიორგი სილაგავა, **თავდამსხმელები** – რატი წინამძღვრიშვილი, სულიკო დავითაშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, ბესიკ ჩიმაკაძე, დავით სევასტოპულო, ოთარ ვარამიშვილი და ნიკა ტატანაშვილი. მათგან ნიკურაძე („კოოტეეპე“, ფინეთი), ტატანაშვილი („სპარტაკი“ თბილისი), დობროვოლსკი („ბერი“ თბილისი), კვახაძე („ვიტ ჯორჯია“ თბილისი) და კოშკაძე („ტორპედო“ ქუთაისი) ახალწვეულები არიან.

„ამერი“ ახალი სეზონისთვის საფუძვლიანად მოემზადა. ორი საწვრთნელი შეკრება გაიარა ბაკურიანსა და აზერბაიჯანში, ამასთანავე, 6 ამხანაგური შეხვედრა გამართა, ხუთი მოიგო და მხოლოდ გაგრასთან დამარცხდა 0:1.

ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩს „ამერი“ ქუთაისში „ტორპედოს“ წინააღმდეგ ითამაშებს. საშინაო პაექრობებს კი გლდანში ფკ „ამერის“ სკოლის სტადიონზე გამართავს. მოედანი გამორჩეულია. იმაზე ისიც მეტყველებს, რომ მატჩისწინა ვარჯიშები ამ სტადიონზე გამართეს დანიისა და საბერძნეთის ეროვნულმა გუნდებმა. ახალი სეზონის წინ ჩატარებული რეკონსტრუქციის შედეგად, აქაური ტრიბუნები ათასამდე მაყურებელს დაიტევს.

რაც შეეხება გუნდის მიზნებს, მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, რომ „ამერი“ – წლეულს ევროსაგზურებისთვის იბრძოლებს...

* * *

აქვე გაუწყებთ საქართველოს მე-17 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის **კალენდარს:**

**30 ივლისი.** „დილა“ – „სპარტაკი“, „ბათუმი“ – „ბორჯომი“, „კოლხეთი“ – „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“ (ს) – „ცხინვალი“, „კახეთი“ – „დინამო“ (თბ).

**31 ივლისი.** „თბილისი“– „ზესტაფონი“.

**1 აგვისტო.** „ტორპედო“ – „ამერი“, „ლოკომოტივი“ – „სიონი“.

**ლექსო ცინცაძე**

◎ დაჯილდოება

# ახალგაზრდა სპორტსმენებს გარჯა დაუფასეს

**წლეულს ივლისის პირველ დეკადაში იტალიის საკურორტო ქალაქმა ლინიანომ ევროპის ახალგაზრდობის მე-8 ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლა. სპორტის შვიდ სახეობაში საქართველოს სპორტსმენებმაც იასპარეზეს. უკვე გაუწყეთ, რომ ძიუდოისტებმა არსენ მაჭარაშვილმა და პაატა მერებიშვილმა ოქროს მედლები მოიპოვეს, რობერტ მშვიდობაძე კი მესამე ადგილზე გავიდა. განსაკუთრებით გვასახელეს ფეხბურთელებმა, რომლებმაც ფინალში მასპინძლებს სძლიეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. კობა ქორქიკაშვილისა და ლევან მელიქიას ხელმძღვანელობით ჩემპიონები გახდნენ დავით ჯანელიძე, მირზა ბჟალავა, რატი წინამძღვრიშვილი, გულვერდ თომაშვილი, ირაკლი შარანგია, გიორგი ელბაქიძე, გიორგი ნიკოლაიშვილი, ნუკრი გოგოხია, მურთაზ დაუშვილი, გიორგი ხიდეშელი, რევაზ თევდორაძე, ლუკა დაუთაშვილი, ალექსი ბენაშვილი, გიორგი ხუმარაშვილი, ირაკლი ძარია და ზურაბ გვაძაბია.**




გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეხვედრა მოუწყვეს ლინიანოს გმირებს. სპორტსმენებსა და მათს მწვრთნელებს მიესალმნენ და წარმატება მიულოცეს სეოკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა, ლინიანოში მისიის ხელმძღვანელმა კოტე ღლონტმა.

ფესტივალის გამარჯვებულები და მწვრთნელები – ანზორ მარტყოფიშვილი, ჯემალ ნათელაშვილი (ორივე – ძიუდო), ქორქიკაშვილი და მელიქია (ორივე – ფეხბურთი) 600-600 ლარით, ხოლო მესამე პრიზიორი მშვიდობაძე 300 ლარით დააჯილდოვეს.

**გიორგი გაგუა**

◎ ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**უეფას თასის გათამაშება: I საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩები:** „მტზ რიპო“ – „ფერენცვაროში“ 1:2 (2:0), „მიკა“ – „მაინცი“ 0:0 (0:4), „ხაზარი“ – „ნისტრუ“ 1:2 (1:3), „მიუპა“ – ტვმკ 1:0 (1:1), „ვენტსპილსი“ – „ლინფილდი“ 2:1 (0:1), „ატლანტასი“ – „რილი“ 3:2 (1:2), „დაჩია“ – „ვადუცი“ 1:0 (0:2), „დომზალე“ – „დომანიანო“ 3:0 (5:0), „ფლორა“ – „ესბიერგი“ 0:6 (2:1), „მეტალურგსი“ – „რუნავიკი“ 3:0 (3:0), „პეტანჟი“ – „ალიანსი“ 1:1 (0:3), „აპოელი“ – „ბირკირკარა“ 4:0 (2:0), „ვიკინგი“ – „პორტდაუნი“ 1:0 (2:1), „რაპიდი“ – „სანტა ჯულია“ 5:0 (5:0), „ტორსჰავნი“ – „ვესტმანაეარი“ 2:1 (1:1), „ქეპცე“ – „ბასკიმი“ 1:1 (0:0), „ვარდარი“ – „ელბასანი“ 0:0 (1:1), „ქილინა“ – „ბაქო“ 3:1 (0:1), „შიროკი ბრეგი“ – „ტეუტა“ 3:0 (1:3), „კამარტენი“ – „ლონგფორდი“ 5:1 (0:2), „კორკი“ – „ეკრანასი“ 0:1 (2:0), „ჰიბერნიანსი“ – „ომონია“ 0:3 (0:3), „კეფლავიკი“ – „ეტცელა“ 2:0 (4:0).

◎ სპორტულ ორბიტაზე




## ლონდონს ფული არ ჰყოფნის

**ალბათ იცით, რა ძალისხმევა დასჭირდა ლონდონს, რათა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი გამხდარიყო. მართალია, თამაშების გახსნამდე 7 წელია დარჩენილი, მაგრამ მისი ორგანიზატორები უკვე აწუწუნდნენ ფულის ნაკლებობაზე. გამოცხადდა, რომ ბრიტანეთში იწყება სპეციალური ოლიმპიური ლატარეა, რომლის შემოსავალი ნაწილობრივ დაფარავს საოლიმპიადო მზადების ხარჯებს.**

თუმცა ლონდონის ტერორისტული აქტების შემდეგ სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ თამაშების დროს უსაფრთხოების დაცვა ლონდონს გაცილებით ძვირი დაუჯდება, ვიდრე ფიქრობდნენ, ოპოზიციაში მყოფმა კონსერვატორებმა უკვე დაიწყეს ლაპარაკი, რომ ფული, შესაძლოა, არ ეყოთ. ამ აზრისაა კერძოდ, ჩრდილოვანი კაბინეტის კულტურისა და სპორტის მინისტრი, ქალბატონი ტერეზა მეი. იგი კითხულობს, თუ რას უნდა ეყოს უშიშროებისთვის გამოყოფილი 225 მილიონი, რაც ათენის ოლიმპიადაზე ამ მიზნით დახარჯულზე ორჯერ ნაკლებია. სად უნდა იშოვონ დამატებითი ფული.

ტონი ბლერის კაბინეტის კულტურის მინისტრს ტესა ჯაულის კი მიაჩნია, რომ პანიკის მიზეზები არ არსებობს.

მაგრამ, ეს ყველას როდი ამშვიდებს – არავინ იცის, თუ რა იქნება 6-7 წლის შემდეგ, და რა პრობლემები გაჩნდება. რაღაც სამიოდე კვირის წინათ ხომ ასე ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ ტერორიზმის საფრთხეზე.

## ზედიზედ მესამედ — საუკეთესო მოთამაშე

**ფეხბურთში გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი აღიარეს 2004-05 წლების სეზონის ბუნდესლიგის საუკეთესო მოთამაშედ. ეს ზედიზედ მესამე აღიარებაა ბოლო ოთხ წელიწადში.**

ნახევარცმველმა, მიუნხენის „ბავარიას“ ჯერ ეროვნული ჩემპიონატის მოგებაში, ხოლო შემდეგ კი ქვეყნის თასის დაუფლებაში რომ დაეხმარა, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა – 516 ხმა, რითაც ძალზე გადაასწრო უახლოეს მეტოქეებს – ნაკრებისა და „კელნის“ ახალგაზრდა თავდამსხმელს ლუკას პოდოლსკისა (103 ხმა) და „ჰერტას“ ბრაზილიელ ნახევარმცველს მარსელინიუს (99 ხმა).



ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელი გახდა „ბავარიის“ დამრიგებელი ფელიქს მაგატი (443 ხმა).

## მთებში დაიღუპნენ

**ყაბარდო-ბალყარეთის ჩერქეზეთის ხეობაში დაიღუპნენ რუსი და გერმანელი მთამსვლელები. ისინი მარშრუტზე ალპიური ბანაკიდან „ბეზენგი“ გავიდნენ.**

როგორც იტყობინებიან, ალპინისტი სანკტ-პეტერბურგიდან კრუგლოვი დაიღუპა დაახლოებით 3,5 ათას მეტრ სიმაღლეზე მწვერვალ არქიმედზე ასვლის დროს.

მისი გერმანელი კოლეგა ჰანს ხალპმანი კი პიალვერის პიკზე ასვლისას მიღებული ტრავმებით მაშველთა სოჭის რაზმის ვერტმფრენის მოსვლამდე გარდაიცვალა.

ახლა იალბუზის მაძებარ-მაშველთა რაზმი დაღუპულთა გვამების ისეთ ადგილზე გადატანას ცდილობს, სადაც ვერტმფრენი მიუდგება.

## სექსსიმბოლო თხოვდება?

**როგორც იქნა გათხოვება გადაწყვიტა იტალიური ფრენბურთის სექსსიმბოლომ მაურიცია კაჩიტორიმ. როგორც ამბობენ 15 აგვისტოს 32 წლის სპორტსმენი ქალი თავის ბედს დაუკავშირებს ესპანელ კალათბურთელს სანტიაგო ტოლედოს.**

საქორწინო ცერემონია გაიმართება კანარის კუნძულების მთავარ ქალაქსა და პორტში ლას-პალმასში, რომელიც ძალზე რომანტიული ადგილია. ჯვრისწერის სხვა ამბები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა თვით მაურიციამ განაცხადა, რომ სტუმრები თავს ძალზე კარგად იგრძნობენ, თითოეული გასართობს თავის გემოვნებით აირჩევს.

ერთად ერთი რამ, რაც საპატარძლოს ახლობლებს აწუხებთ, ისაა, რომ მიიყვანს თუ არა საქმეს ბოლომდე თავად მაურიცია. არადა ადრე თავის ძველ მეგობარზე პოცეკოზე რომ თხოვდებოდა, უკანასკნელ მომენტში გადაიფიქრა და გაიქცა, რითაც საგონებელში ჩააგდო მაშინდელი საქმროც და ახლობლებიც.



◎ სკანდალი

# მიწისძვრა ჭადრაკის ფედერაციაში

## ანუ ქართველი დიდოსტატები გეტებორგში ორშაბათამდე ნისიად იცხოვრებენ

**გუშინ ნასამხრალს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას ვესტუმრე. ეზოში დიდოსტატებს – ზვიად იზორიას და ვალერიან გაფრინდაშვილს მოვკარი თვალი. გამიკვირდა, რადგან ორივე უკვე შვედეთში მეგონა. დღეს ხომ გეტებორგში ევროპის მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა გუნდური ჩემპიონატი იწყება და მასში საქართველოს წარგზავნილებმაც უნდა იასპარეზონ. ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი გაფრინდაშვილი ვაჟთა ნაკრების კაპიტნად იყო დასახელებული, ხოლო იზორია – გუნდის წევრად.**

თქვენ აქ რა გინდათ-მეთქი, ვკითხე.

**ვალერი გაფრინდაშვილი:** ხუთშაბათს, საღამოს 6 საათისთვის, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გურამ აბსანძემ მოუბოდიშებლად ტელეფონით შეგვატყობინა, რომ თანამდებობიდან გადადგა. ეს ღალატის ტოლფასი იყო, რადგან ჩვენი მოჭადრაკეები ევროპის ჩემპიონატზე უნდა გამგზავრებულიყვნენ, ბიუჯეტში კი არაფერი ჰქონიათ. კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თანადგომითა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოიძებნა მგზავრობისთვის საჭირო თანხა. ამგვარ სიტუაციაში ნაკრებში თამაშზე უარი თქვეს ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ზვიად იზორიამ. მეც უარი განვაცხადე წასვლაზე, რადგან ვაჟთა გუნდის კაპიტანი ვიყავი და ჩემპიონატზე ოპტიმალური შემადგენლობა უნდა გამეყვანა. ფედერაციის მიზეზით, ეს ვერ მოხერხდა. ამიტომაც დელეგაციას ზედმეტ ტვირთად რომ არ დავწოლოდი, თბილისში დავრჩი. რაც მოხდა, ამაზე პასუხი ფედერაციის მესვეურებმა უნდა აგონ.

**ზვიად იზორია:** დავიღალე ფედერაციის დაპირებებითა და ტყუილებით. მოსამზადებლად საჭირო თანხას ვინ ჩივის, თურმე შეჯიბრებაზე წასასვლელი სახსრებიც არ ჰქონიათ.

ოცი დღის წინათ ფედერაციის მესვეურებს საბერძნეთიდან ვაცნობე, რომ ევროპის ჩემპიონატზე უჰონორაროდ გამოსვლას არ ვაპირებ-მეთქი. მეყო ენთუზიაზმზე თამაში. ჩემს ადგილას სხვა გაეშვათ...

ზემოაღნიშნულ სიტუაციასთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს **კახი ჩიგოგიძეს** ვთხოვე:

– ბატონი გურამ აბსანძე ხუთშაბათს საღამოს მართლაც დამიკავშირდა ტელეფონით და მამცნო, თანამდებობიდან გადავდექიო, თუმცა, დღემდე რაიმე ოფიციალური დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის საჭირო თანხა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოგვიყო. 56 ათასი ლარი შვედეთში ორშაბათს გადაირიცხება, მანამდე კი ჩვენი მოჭადრაკეები ჩემპიონატის ორგანიზატორთა თავდებით იცხოვრებენ სასტუმროში.

რაც შეეხება გუნდების შემადგენლობას, ქალებში **მაია ჩიბურდანიძე, ნინო ხურციძე, ქეთევან არახამია, ნანა ძაგნიძე** და **მაია ლომინეიშვილი** ითამაშებენ, ხოლო ვაჟთა გუნდის ღირსებას, ზურაბ აზმაიფარაშვილი თავის გადაწყვეტილებას თუ არ შეცვლის, **ბაადურ ჯობავასთან, მიხეილ მჭედლიშვილთან** და **ლევან ფანცულაიასთან** ერთად, ალბათ, **ლაშა ჯანჯღავა** დაიცავს...

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან დაკავშირებულ სკანდალზე ამჯერად მეტს ვერაფერს გეტყვით. დამატებით ინფორმაციას ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ.

**ვაჟა დანელია**

◎ კრივი

# პირველი ნაბიჯები

**ამას წინათ აჭარის კრივის ფედერაციის პრეზიდენტად სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი ვლადიმერ ჭანტურია აირჩიეს. აქაურები სწორედ მის სახელს უკავშირებენ აჭარაში სპორტის ამ სახეობის აღორძინებას. სახელოვანი ოლიმპიელიც გულმოდგინედ შეუდგა მოვალეობის შესრულებას და პირველი ნაბიჯებიც გადადგა. ორიოდე დღის წინათ მან მშობლიურ ქალაქ ფოთში ბათუმიდან ახალგაზრდა მოკრივეთა გუნდი ჩაიყვანა. ზღვისპირელებმა ერთმანეთთან 20 ამხანაგური შეხვედრა გამართეს. მატჩი დამთავრდა ფრედ.**

ეს ინფორმაცია გუშინ ფოთის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა ზურაბ ტიბუამ მოგვაწოდა.

◎ ჩვენებურები

# დემეტრაძე – ისევ „ალანიაში“

**27 ივლისს გამთენიისას გაჭიანურებული მგზავრობის შემდეგ ვლადიკავკაზის „ალანიის“ ბანაკში ჩავიდა რუსეთის 1999 წლის სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გიორგი დემეტრაძე. ქართველი ლეგიონერი აქ დონეცკის „მეტალურგიდან“ გადმოვიდა, უფრო სწორედ დაბრუნდა, რადგან ვალერი გაზაევის დროს უკვე თამაშობდა „ალანიაში“ და სწორედ მაშინ მოიპოვა საუკეთესო ბომბარდირის წოდება. ის ვლადიკავკაზელთა გუნდში 1998 წლის სეზონის მეორე წრეში მივიდა და პირველსავე მატჩში „ურალანთან“ 2 გოლი გაიტანა, საერთოდ კი 15 მატჩში 14 გოლი. მომდევნო წელს კი 21 ბურთით პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირის წოდებასაც დაეუფლა.**



ახლა „ალანიასთან“ ერთად მის გამოჩენას მინდორზე ხვალ „ტორპედოსთან“ შეხვედრაში მოელიან.

დაინტერესებული გულშემატკივრები გიორგი დემეტრაძის „ალანიაში“ დაბრუნების ამბავს დაწვრილებით გაზეთ „სპორტ-ექსპრესის“ გუშინდელ, 29 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში გაეცნობიან.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 179-180. შაბათი, 30 ივლისი, 2005 წელი.

## ყველაფერი ყველაფერზე

### რავი შანკარის დანაკლისი



**სახელოვანი ინდოელი მუსიკოსი, მისივე თქმით, ორი საყვარელი ინსტრუმენტის — სიტარების გარეშე თავს დაობლებულად გრძნობს. საფრანგეთში კონცერტს კი მაინც მართავს.**

ორი სიტარი რავი შანკერს ლიბანიდან გადმოფრენისას გაუტყდა. საფრანგეთის სამხრეთით, არლში, მსოფლიო მუსიკის ფესტივალისათვის, მაესტროს მოუსწრეს ახალი ინსტრუმენტების მიტანა. მუსიკოსმა ის-ის იყო ააწყო ახალი ინსტრუმენტები, მაგრამ მისი გამოსვლა, როგორც ყოველთვის, დიდებული გახლდათ.

„თითქოს ორი ნათესავი დავკარგეო“, — უთქვამს 85 წლის რავის გატეხილ ინსტრუმენტებზე, რომლებზეც მრავალი წელი უკრავდა. კონცერტი, სადაც მაესტრო ქალიშვილთან ერთად გამოვიდა, ინდოელმა სიტარების მწარმოებელმა იხსნა, რომელმაც სასწრაფოდ ჩამოუტანა ორი ახალი ინსტრუმენტი.

მომხდარში მუსიკოსის ოჯახი საავიაციო კომპანია Air France-ს ადანაშაულებს. კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, მიყენებულ ზარალს შეაფასებენ და აანაზღაურებენ.

### პრომენადი ცეროროს წინააღმდეგ

**ლონდონში, ალბერტ-ჰოლში, პრომენად-კონცერტების (გამორჩეული კონცერტების) მორიგი სეზონი გაიხსნა. წლეულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბრიტანეთის დედაქალაქში ყოველ ზაფხულს მიმდინარე ფესტივალს: რამდენიმე დღის განმავლობაში ხომ ლონდონში აფეთქებათა მიზეზით ყველა კონცერტი და სპექტაკლი მოიხსნა...**

ბი-ბი-სის მიერ ორგანიზებულ მუსიკალურ ფესტივალებს შორის ერთობ ავტორიტეტული ღონისძიების დაწყება იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ცხოვრება ნელ-ნელა დგება ჩვეულ კალაპოტში. ფესტივალის პირველი კონცერტი აფეთქებების მსხვერპლთა ხსოვნას და დაღუპულთა ოჯახებს მიეძღვნა. მუსიკის შერჩევაც არ გახლდათ შემთხვევითი. ბი-ბი-სის გუნდმა და სიმფონიურმა ორკესტრმა ფრაგმენტი შეასრულეს ინგლისელი კომპოზიტორის მაიქ თიპეთის ორატორიიდან „ჩვენი დროის პირმშო“.

სიტყვა პრომენად-კონცერტების დირექტორს ნიკოლას კანიონს: „ნაწარმოები უაღრესად აქტუალურია სადღეისოდ. ის იწყება სიტყვებით „მსოფლიო ბნელი მხრით შემობრუნდა“, მოგვითხრობს ადამიანთან ადამიანის არაჰუმანურ დამოკიდებულებაზე და ცდილობს აგვიხსნას, თუ რატომ ხდება ასე. კომპოზიტორი გვაიმედებს, რომ ბოროტებასთან ემოციურ შეჯახებაში სიკეთე და ნათელი მომავალი გაიმარჯვებენ.

# დედა იულია, შვილი ქენია და სასიძო შონი

კიევი, კრეშჩატიკი, ღამის კლუბი. საკმაოდ ბევრი ხალხი მოსულა „მყვირალების“ კონცერტზე: ეს უკრაინულ-ინგლისური გუნდი გახლავთ, რომლის მთავარი „მყვირალა“ შონ კარი, კონცერტის დაწყებამდე, წყნარად აბოლებს და ლუდს წრუპავს. მას გვერდით ტანწერწეტა, თეთრ ბლუზსა და მოხატულ ტყავისქამრიან ჯინსში გამოწყობილი ქალიშვილი უდგას. ეს გახლავთ ქენია, სოლისტის მეგობარი გოგონა, შეთავსებით კი უკრაინის პრემიერ-მინისტრის, იულია ტიმოშენკოს შვილი, რომელმაც კატეგორიული ტონით განუცხადა ჟურნალისტებს:

— დედამ თქვა, არავინ გაბედოს შენი გადაღებაო.



ქენია და მისი საქმრო შონ კარი.

ქენიამ ყელზე აკოცა შონს გამოსვლის წინ, მანაც, აღფრთოვანებულმა, მიკროფონიან დგარს სტაცა ხელი. სიმღერის დროს ხანდახან ესტრადის ახლოს მდგარი მაგიდისკენ მიბრუნდებოდა ხოლმე, რომელთანაც ინგლისურენოვან კამპანიაში იმყოფებოდა ქენია. „მხარდაჭერის“ ჯგუფი მხოლოდ ყინულიან ჩაისა და ტონიკს სვამდა.

შონ კარმა აღიარა, რომ უკრაინული ენის შესწავლას უკვე შეუდგა. „მადლობას“ ყოველი სიმღერის შემდეგ წარმოთქვამს, კიდევ იცის სიტყვები „ბორშჩი“, „ბლინურები“ და „ლუდი“. სამაგიეროდ, „ქორწილისა“ და „დაქორწინების“ გაგონებაზე სახე ელუშება. სასიდედრომ დაუშალა ამ თემაზე ლაპარაკი თუ საცოლემ?..

როცა შონს ჟურნალისტები გარს შემოერტყნენ, ქენია ტიმოშენკო მივიდა კონცერტის ორგანიზატორთან და ჩუმად უთხრა:

— კითხვებს კონტროლი გაუწიე...

კლუბიდან შონი და ქენია მეგობრების თანხლებით გამოვიდნენ ღამის კრეშჩატიკზე. შესასვლელთან მომლოდინე, სამთავრობონომრებიანი ავტომობილები და სეკიურიტები არ შეგვიმჩნევია. მისტერ კარი პრესას მოეწონა. ცოტა ადაპტაციაც და — ეგეც შენი მზა უკრაინის კულტურის მინისტრი!

**ოლგა მუსაფიროვა**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

# დეტექტივების მეფე და მკვლელი?

## მართლა მოწამლა კონან დოილმა „ბასკერვილების ძაღლის“ ვითომდა ნამდვილი ავტორი?



**დიდი სკანდალია ატეხილი დიდ ბრიტანეთში „დეტექტივების მეფის“ არტურ კონან დოილის სახელის ირგვლივ. მაძიებელთა ჯგუფი ამტკიცებს, რომ დეტექტიური მოთხრობა „ბასკერვილების ძაღლი“, რომელიც ერთ-ერთ პოპულარულ ნაწარმოებად ითვლება „შერლოკ ჰოლმსის“ თავგადასავალთა ციკლში, ეკუთვნის არა კონან დოილს, არამედ ჟურნალისტსა და გაზეთ „დეილი ექსპრესის“ (Daily Express) რედაქტორს, კონან დოილის უახლოეს მეგობარს ბერტრამ ფლეტჩერ რობინსონს.**

ცნობილმა მწერალმა თავისი მეგობარი მოწამლა იმის გამო, რომ პლაგიატობა დაემალა. „დიდი მაძებრის“ მოწინააღმდეგენი და ამ ვერსიის ავტორები ირწმუნებიან, რომ 1907 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე რობინსონი მოწამლეს ლაუდანუმის (ოპიუმის ნაყენი, რომელსაც სამკურნალო თვისებები ჰქონდა) სასიკვდილო დოზით. მართალია, საწამლავი რედაქტორს თავისი მეგობრის ხელით არ მიუღია (ისინი თვლიან, რომ რობინსონი საკუთარმა მეუღლემ მოწამლა, რომელიც კონან დოილის საყვარელი გახლდათ), მაგრამ ყოველივე ეს მაინც მისი ხელშეწყობითა და წაქეზებით მოხდა.

ფლეტჩერ რობინსონი დაკრძალულია პაწაწკინტელა ქალაქ იპლპენის სენტ-ენდრიუს ეკლესიის ეზოში (დევონშირის საგრაფო). რომ გააქარწყლონ ან დაადასტურონ ეს ვერსია, მკვლევართა ჯგუფი რამდენიმე დღეში თხოვნით მიმართავს ხელისუფლებას, რათა გვამის ექსჰუმაციის თანხმობა მიიღონ. ჯგუფი ექვსი მეცნიერითაა დაკომპლექტებული, მათ შორის არიან მწერალი როჯერ გარიკ-სტილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), მეცნიერი პოლ სპაირინგი და ცნობილი პათოლოგოანატომები და ტოქსიკოლოგები. სანამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსჰუმაციის თანხმობას მოსთხოვენ, მათ გადაწყვეტილი აქვთ ამგვარივე თხოვნით მიმართონ სამღვდელოების წარმომადგენლებს ქალაქ ექსეტერის ეპარქიაში.

ოფიციალური დასკვნით, რობინსონი ტიფით გარდაიცვალა. მკვლევარები ირწმუნებიან, რომ ეს ყალბი დოკუმენტია. „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რობინსონი ლაუდანუმითაა მოწამლული, ხოლო ტიფით გარდაცვალების ფაქტი სიყალბეა, — ამტკიცებს ყოფილი პოლიციელი, ამჟამად ქიმიისა და ბიოლოგიის სპეციალისტი სპაირინგი, — ჩვენ ისიც ვიცით, კონან დოილს თაღლითობისა და პლაგიატობისათვის თავი რომ დაეღწია, თავისი საყვარელი აიძულა ქმარი მოეწამლა. ქალმა კი არც უწყოდა თუ სამკურნალო ოპიუმის ამგვარი დოზა ადამიანს მოკლავდა“.

მისი თქმით, თუ ექსჰუმაციამ არ დაადასტურა მოწამვლის ფაქტი, მაშინ კონან დოილი გამართლდება. ხოლო თუ ფლეტჩერ რობინსონის თმის ძირებში აღმოჩნდა საწამლავის კვალი, ეს იმას დაამტკიცებს, რომ მას საწამლავს მთელი კვირის განმავლობაში აძლევდნენ მცირე დოზებით.

„რობინსონის მოწამვლის თეორია ჭორი და ყურით მოთრეული სისულელეა“, — ამტკიცებენ შერლოკ ჰოლმსის თაყვანისმცემლები და ლიტერატურათმცოდნენი, — მიუხედავად იმისა, რომ „ბასკერვილების ძაღლის“ შექმნაში დიდ მწერალს ფლეტჩერ რობინსონმა მართლაც დიდი დახმარება გაუწია.

ცნობილია, რომ „ბასკერვილების ძაღლის“ პირველ გამოცემაში თვით კონან დოილიც აღიარებს რობინსონის ღვაწლსა და თანადგომას. „მე ვერ დავწერდი ამ მოთხრობას, რომ არა ჩემი მეგობარი ფლეტჩერ რობინსონი, რომელსაც ეკუთვნის ეს იდეა და რომელმაც დიდი დახმარება გამიწია“, — წერს კონან დოილი. მწერალი თავად აღიარებს, რომ რობინსონმა გააცნო მას დარტმურის შემოგარენი, სადაც ეს ისტორია ხდება, ჩააწვეთა იდეა საშინელ ძაღლზე შეექმნა მოთხრობა. ცნობილია, რომ ბასკერვილი რობინსონის მეჯინიბის




გვარია. სწორედ რობინსონმა მოუთხრო მწერალს ისტორია სერ რიჩარდ კეიბელზე, რომელმაც სული ეშმაკს მიჰყიდა და ჯოჯოხეთში მწევარმა ძაღლებმა გაიტაცეს.

ხიტერ ოუენის, შერლოკ ჰოლმსის საზოგადოების წევრის თქმით, ეს ისტორია, თითქოსდა, კონან დოილს მეგობარი მოეწამლოს, წმინდა წყლის სისულელეა. ყოველივე ეს ამაზრზენია, რადგან ამგვარი ქმედება დიდი მწერლის ხასიათში არ ჯდება. უფრო მეტიც, კონან დოილი თავისი გარდაცვლილი ცოლის ერთგულებას წმინდად ინახავდა. ბოლოს პლატონური სიყვარულით იყო გატაცებული ჯინ ლეკისზე, რომელზეც შემდგომში იქორწინა და მთელი ცხოვრება მისი ერთგული იყო. „კონან დოილს, — აგრძელებს ოუენი, — სურდა, წიგნი რობინსონის თანაავტორობითაც გამოსულიყო, მაგრამ გამომცემლები არ დასთანხმდნენ, რადგან კონან დოილის სახელი უფრო პოპულარული იყო და მკითხველიც მეტი ჰყავდა. ასე რომ, მწერალს სრულიადაც არ სჭირდებოდა მეგობრის მოწამვლა“.

პატარა ქალაქის მცხოვრებლები წინააღმდეგნი არიან რობინსონის გვამის ექსჰუმაციისა. ამ იდეას ეწინააღმდეგება ეკლესიაც.

იპლპენის ადგილობრივი მცხოვრებლები და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ — „მკვლევარები უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან გადაიღონ დოკუმენტური ფილმი ამ თემაზე, რაშიც დიდ მოგებას ნახავენ, ვიდრე გარკვიონ ტყუილ-მართალი. ტელევიზია ფილმს გადაიღებს, „ვითომდა მკვლევარები“ კი წიგნს გამოუშვებენ და შემდეგ მიწყნარდებიან“.

BBC RUSSIAN.com

## ყველაფერი ყველაფერზე

### წინასწარმეტყველების ფასი

**დიდ ბრიტანეთში აღკვეთეს ქრის ქლივის „წამქეზებლის“ სარეკლამო კამპანია. მწერლის ეს რომანი ლონდონში მასობრივ ტერაქტებზე მოგვითხრობს. წიგნმა მზის სინათლე იმ დღეს იხილა, როცა ბრიტანეთის დედაქალაქში ოთხმა ბომბმა იფეთქა.**

ქრის ქლივმა, რომლისთვისაც წიგნი მწერლური დებიუტი უნდა გამხდარიყო, გაზეთ „გარდიანისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ შოკირებულია „ამაზრზენი და საშინელი დამთხვევით“. რომანში ხომ იმ ქალის ისტორიაა აღწერილი, რომელსაც ქმარი და ვაჟი ეღუპებიან, როცა 11 თვითმკვლელი-ამფეთქებელი ახალ სტადიონს მიწასთან ასწორებს.

წიგნი დაწერილია ბენ ლადენისადმი მთავარი გმირი ქალის ღია წერილის სახით. სცადეს რომანის სარეკლამო პლაკატების წარმოების შეჩერება, მაგრამ ზოგიერთის გამოჩენა ლონდონის მეტროში მაინც მოესწრო. რეკლამა გაზეთ „გარდიანშიც“ გამოქვეყნდა — მან ვერ შეძლო პუბლიკაციის მოხსნა.

32 წლის ქრის ქლივი პარიზში ცხოვრობს ცოლთან და ვაჟთან ერთად. „ეს არის წიგნი შვილისადმი დედის სიყვარულზე, იმაზე, თუ როგორ უმკლავდება მწუხარებას. ეს არის წიგნი ტერორის ხანებში სიყვარულზე. ქალს სჯერა, რომ შეძლებს ტერორისტთა მეთაურის შეჩერებას, თუ აუხსნის, რას ნიშნავს სიყვარული“, — ამბობს რომანისტი.

გაზეთ „ივნინგ სტანდარდის“ ცნობით, ერთმა ბრიტანულმა ტელეარხმა იყიდა „წამქეზებლის“ მომავალი ეკრანიზაციის უფლება. ფილმი უნდა გადაეღო რეჟისორ ქალს შარონ მაქგუაირს, რომელმაც ადრე სურათი „ბრიჯეტ ჯოუნსის დღიური“ გამოუშვა.



## რამდენად ახანგრძლივებს სექსი სიცოცხლეს

### რუსეთის მეცნიერთა ექსპერიმენტმა გამაოგნებელი შედეგები მოიტანა

**„თუ სექსოლოგიის ტრადიციულ სახელმძღვანელოებს დავეყრდნობით, ნორმალური სქესობრივი აქტი მამაკაცსა და ქალს შორის საშუალოდ 2-3 წუთს გრძელდება. ყველაფერი, რაც უფრო მეტ ხანს გრძელდება, — უკვე რეკორდების რიცხვში ხვდება, — ამბობს ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის პრორექტორი მეცნიერების დარგში, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რინად მინვალეევი. — ეს გაშუალებული მაჩვენებელია ჩვეულებრივი ადამიანისთვის, რომელიც კვირაში ერთხელ, შაბათობით, როგორც იტყვიან, პირობით-ფიზიოლოგიურ რიტმს იცავს. ამგვარი აქტი, ჩვეულებრივ, ან ბავშვის ჩასახვას ისახავს მიზნად, ან დაგროვილი ენერგიისა და ემოციების გამოთავისუფლებას.**

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლურ ტრადიციებში (ინდოეთი, ჩინეთი და ა.შ.) ცხოვრების სექსუალურ მხარეს იმაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე უბრალოდ გვარის გაგრძელებაა. სქესობრივ აქტს სულიერი მუშაობის სტატუსი გააჩნდა. ამასთან, უბრალო აქტს კი არა, არამედ განუსაზღვრელი დროით გახანგრძლივებულს. ამაზე მეტყველებენ ტანტრისტული მეთოდიკებიც და დაოსური პრაქტიკებიც. განსაკუთრებულად აღვნიშნავ, რომ ლაპარაკი არაა „საშინელ ცოდვაზე“ ან უკუღმართობებზე. აღმოსავლურ წყაროებში ლაპარაკია პროლონგირებულ სექსზე, როგორც ადამიანში რაღაც ახალი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის აღმოჩენის საშუალებაზე. ჩვენ, როგორც იოგით სერიოზულად დაინტერესებულმა ადამიანებმა, გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა საკუთარი ექსპერიმენტი, რათა დაგვედასტურებინა ან გაგვებათილებინა ეს ცნობები“.

**იხ. მე-11 გვ.**

## ქრონოგრაფი

### 1 აგვისტო, 1785 წელი



**ქალაქ ბრესტის პორტიდან ფრანგული ექსპედიციის ორი ხომალდი „ასტროლიაბია“ და „ბუსოლი“ დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ გაემართა ცნობილი მოგზაურის ჟანფრანსუა ლაპერუზის ხელმძღვანელობით, რათა ეპოვათ და შეესწავლათ წყნარი ოკეანის კუნძულები. მიუხედავად ხანგრძლივი მოგზაურობისა და საზღვაო ფათერაკებისა, ექსპედიციის წევრებმა შესძლეს აღმოეჩინათ, გამოეკვლიათ და სრული კარტოგრაფიული აღწერა ჩაეტარებინათ მსოფლიოს ოკეანეში მანამდე უცნობი კუნძულებისა. 1988 წელს ხომალდები სიდნეის პორტიდან გავიდნენ შემდგომი გამოკვლევებისათვის წყნარი ოკეანის ცენტრალური რეგიონის შესასწავლად, მაგრამ შემდგომში მათ კვალს ვერ მიაგნეს. ორივე ხომალდი უგზოუკვლოდ დაიკარგა ეკიპაჟის წევრებთან ერთად.**

### 2 აგვისტო, XII საუკუნე



**ხსენების დღე წმიდა სალომე ქართველისა, სპარსთაგან წამებულისა. მის შესახებ ცნობას გვაწვდის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარი. აქ ნახსენებია, რომ წმიდა სალომემ სპარსთა წამებას ვერ გაუძლო და თავდაპირველად რწმენის შეცვლა აღიარა — ქრისტე უარყო. ამის შემდეგ კვლავ აღიარა სარწმუნეობა ქრისტესი. მას თავი მოჰკვეთეს. მიტროპოლიტ ტიმოთეს (გაბაშვილი) თქმით, წმიდა სალომე ქართველი იყო და იერუსალიმის დედათა სავანეში მოღვაწეობდა. ვარაუდობენ, რომ იგი ეწამა წმიდა ლუკა იერუსალიმელის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ.**

### 3 აგვისტო, 1943 წელი



**გერმანელ ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაიწყო პარტიზანული ოპერაცია სახელწოდებით „სარკინიგზო ომი“. სამი აგვისტოს ღამით 67 პარტიზანულმა ჯგუფმა ერთდროულად დაიწყო თავდასხმა მტრის კომუნიკაციებზე. სწორედ ეს დღე ითვლება მტრის ზურგში ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი პარტიზანული ომის დასაწყისად. პარტიზანული ომის არეალი ათას კილომეტრს მოიცავდა ფრონტის ხაზზე, ხოლო 750 კილომეტრს მტრის ზურგში. პარტიზანთა მხრიდან თავდასხმებში მონაწილეობდა ასი ათასამდე ადამიანი. „სარკინიგზო ომმა“ უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომის ბედის გადაწყვეტაში. ფაშისტებმა ვერ შესძლეს თავიანთი ძირითადი ძალებისა და საბრძოლო ტექნიკის გადაადგილება. ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბრძოლა კურსკის მიდამოებში ფაშისტთა დამარცხებით და უკანდახევით დასრულდა.**



### 4 აგვისტო, 1875 წელი

**70 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოში აღიარებული ლიტერატურული მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენი. მისი ზღაპართა პირველი კრებული 1835 წელს გამოვიდა, მაშინ მწერალი 30 წლისა იყო. მას შემდეგ დანიელი გენიოსის ზღაპრებმა მთელი მსოფლიო შემოიარეს და მილიონობით მკითხველის გული მოინადირეს.**

### 5 აგვისტო, 1976 წელი



**ეს დღე შეიძლება მსოფლიო როკმუსიკის მოყვარულთა ერთ-ერთ დასამახსოვრებელ საიუბილეო დღედ ჩაითვალოს — გამოვიდა, მაშინ არცთუ ისე ცნობილი, ამჟამად ლეგენდარული ანსამბლის „პინკ ფლოიდის“ პირველი ალბომი „მესაყვირე განთიადისას“, რომელშიც შესული იყო 11 კომპოზიცია. ალბომს, რომლის სიმღერების უმეტესობა გიტარისტ სიდომ ბარეტის ეკუთვნოდა, არნახული აღიარება მოჰყვა მუსიკის მოყვარულთა მხრიდან. ბრიტანულ ჰიტ-პარადში ალბომმა მეექვსე ადგილი დაიკავა.**

### 6 აგვისტო, XI საუკუნე



**ხსენების დღე წმიდა ილარიონ თუალელისა. წმინდანის შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ცნობილია, რომ იგი თავდაპირველად ხახულის მონასტერში მოღვაწეობდა და მისი დროის ერთ-ერთი უდიდესი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი და მთარგმნელი ყოფილა. მას მოიხსენიებს გიორგი მცირე „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“. ღირსმა ილარიონმა აღზარდა ხახულის მონასტერში მიყვანილი ყრმა გიორგი მთაწმინდელი. „ვითარცა ღმერთის მიერ მოცემული კეთილი შვილი, ეგრეთ შეიწყნარა და წესიერებისა მიმართ და სათნოებისა წურთად უწყის და ესრეთ წარემატებოდა ნებითა ღმრთისაითა, ვითარცა ნერგი კეთილი“...**

**წმიდა ილარიონი ხახულის ტაძრიდან ანტიოქიაში წასულა სამოღვაწეოდ. სწორედ მისი ზეწოდება თუალელი მომდინარეობს ანტიოქიის მახლობლად მდებარე თუალის მონასტრიდან. წმიდა ილარიონმა აღკვეცა მონაზვნად გიორგი მთაწმინდელი და მანვე ჩაუნერგა ეს სიწმინდე და სიბრძნე. ღირსი ილარიონი, მიხეილ საბინინის (1845-1900) ცნობით, გარდაიცვალა 1041 წელს.**

### 7 აგვისტო, 1786 წელი



**ალპების უმაღლესი მწვერვალი — მონბლანი — პირველად დაიპყრეს ფრანგმა ექიმმა მიშელ პაკარმა და მონადირე ჟაკ ბალმმა. სწორედ ეს დღე აღიარეს ალპინიზმის დაარსების დღედ. მონბლანის დაპყრობა დღესაც დიდ გმირობად ითვლება. მონბლანზე ასობით ალპინისტი და თავგადასავლების მოყვარული ადის. მის ციცაბო კლდეებზე გაიმართა 1924 წელს პირველი ზამთრის ოლიმპიური თამაშები. იმ დღიდან მწვერვალს „მოთხილამურეთა დედაქალაქის“ საპატიო სახელი მიანიჭეს.**

# ფიზიოლოგიური იდეალური სიყვარულის ფორმულა

(მეათე გვერდიდან)

## „სექსმანქანის“ ძნელი გზა

**ყველაზე რთული ისეთი მოხალისე-ჰეტეროსექსუალების მოძებნა აღმოჩნდა, რომლებიც დაგვთანხმდებოდნენ მეცნიერთა მეთვალყურეობის ქვეშ და თანაც ხელებზე ელექტრონული ტონომეტრების გადაჭერობებით სექსის სეანსი ჩაეტარებინათ. შედეგად დადგინდა, რომ ორგაზმული განმუხტვის მომენტში ქალებში და მამაკაცებში ორი საპირისპირო რეაქცია შეინიშნებოდა. ან მკვეთრად მცირდებოდა გულის შეკუმშვათა სიხშირე (წუთში 10-12 დარტყმამდე) და მნიშვნელოვნად იწევდა წნევა, ან გულისცემა ხშირდებოდა და წნევა ეცემოდა. ცდის ერთ-ერთი მონაწილის კი პულსის 46 წუთით გაქრობაც კი დაუფიქსირეს, ამასთან მისთვის ყოველგვარი უარყოფითი შედეგის გარეშე. მაინც რას ნიშნავს ეს ორი სახის რეაქცია?**

— ადამიანს აქვს ვეგეტატიური ნერვული სისტემის პარასიმპატიკური და სიმპატიკური განყოფილებები, — განაგრძობს რ. მინვალეევი. — პირველი პასუხისმგებელია ორგანიზმის აღდგენაზე, უჯრედების განახლებაზე და, როგორც წესი, ის ძილში მუშაობს. მეორე კი — ეს ჩვენი ენერგოდანახარჯებია, სისხლში ადრენალინისა და ნორადრენალინის ჰორმონების გამოტყორცნაა. ისე რომ, თუ პულსი ეცემა, წნევა კი მაღლა იწევს, ეს იმას ნიშნავს, რომ პარასიმპატიკური განყოფილება მუშაობს და მიმდინარეობს ჩვენი აღდგენა. თუ პირიქითაა — ჩვენ ძალების დაქვეითებას ვგრძნობთ. რაც უფრო დაბალია წნევა, მით უფრო ხშირად უნდა შეიკუმშოს გული სისხლის გადასატუმბად, და იგი მით უფრო მალე ცვდება.

გამოდის, რომ თუ სექსის დროს ადამიანში პარასიმპატიკური რეაქცია ჭარბობს, მაშინ ის არ იღლება, პირიქით, ძალებს აღიდგენს, იზოგავს გულის შეკუმშვებს და ნამდვილ „ელექტროცოცხად“ გადაიქცევა, რომელიც მზად არის, იმუშაოს, ირბინოს და ა.შ. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ სექსით ის სიცოცხლეს იხანგრძლივებს. ხოლო თუ რეაქცია სიმპატიკურია, მაშინ სქესობრივი აქტის შემდეგ ადამიანი პროსტრაციაში ვარდება და არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

**— სქესობრივი აქტის ხანგრძლივობა რაღა შუაშია?**

— ჩვენმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ თუ აქტი 10-15 წუთამდე გრძელდება, პარტნიორებში ორგაზმზე სიმპატიკური რეაქცია ჭარბობს. მაგრამ რაც უფრო დიდხანს ხდება ეს, ორგაზმიში თითონ გადაეწყობა პარასიმპატიკაზე იმისთვის, რათა უბრალოდ, საკუთარ თავზე იზრუნოს, დახარჯული ძალები აღიდგინოს. შედეგად ორივე პარტნიორი იღებს სიხალისის, ძალის და ერთმანეთთან სულიერი სიახლოვის მუხტს.



## მეძავეებს ნუ მიმართავთ

**— თუ ფიზიკურ ძალებთან დაკავშირებით ყველაფერი მეტ-ნაკლებად გასაგებია, სულიერებას რაც შეეხება, აქ რაღაც...**

— ყველაფერი ლოგიკურია. რატომ მოითხოვს ბევრი ქალი მამაკაცთან სიახლოვისთვის მატერიალურ კომპენსაციას? ლაპარაკია არა მეძავეებზე, არამედ ცოლებზე, საყვარლებზე, საყვარელ ქალებზე, რომლებიც გამუდმებით უყენებენ მამაკაცებს საკუთარ პრეტენზიებს, დაწყებული ასეთებით: „ვედრო გაიტანე“, „ჭურჭელი გარეცხე“, და ახალი ავტომანქანის ყიდვით ან ბაჰამის კუნძულებზე გამგზავრებით დამთავრებული. ესენი სიმპატიკოსები არიან, რომლებიც სქესობრივი აქტის შემდეგ მხოლოდღა იღლებიან და ამიტომ, გაუცნობიერებლადაც კი მოითხოვენ კომპენსაციას შესრულებული სამუშაოსთვის. მაგრამ ისეთი ქალებიც არსებობენ, რომლებიც მზად არიან იცხოვრონ მამაკაცთან, აჭამონ მას, ურეცხონ და საერთოდ ზედ გადაჰყვნენ. ეს უკვე სექსის მეშვეობით უზარმაზარი სასიცოცხლო პოტენციალით დამუხტული არასიმპატიკოსები არიან, რომლებიც მზად არიან ეს პოტენციალი იმას გაუზიარონ, ვინც ის მიანიჭა. ისე რომ პროლონგირებული აქტი ფიზიოლოგიური საფუძვლის მქონე სულიერი ძალის წყაროა.

**— და რამდენ ხანს უნდა გრძელდებოდეს ეს სასწაულმოქმედი პროცესი?**

**— 30-40 წუთი და მეტი.**

**— ჰოო, ეს აშკარად ყველასთვის არაა...**

— ჯერ ერთი არსებობენ დაბადებით ძლიერი სქესობრივი კონსტიტუციის მამაკაცები, მეორეც, არსებობს იოგა, რომელიც ძალიან ეხმარება ადამიანს. მას სხეულზე უფრო მეტი ისეთი „ღილაკი“ უჩნდება, რომელთა საშუალებითაც ის საკუთარ თავს მართავს. მთავარია, თავის ტვინის ქერქის საშუალებით ფიზიკური ეაკულაციის რეფლექსების დამუხრუჭება ისწავლო. დიახ, ამას სწავლა უნდა, მაგრამ დიდი გზა პირველი ნაბიჯით იწყება. ამავე დროს საყვარელი და სასურველი ქალის შემხვედრი ძალისხმევაც არის საჭირო. დიახ, სწორედ სასურველი ქალის, იმიტომ რომ „ღამის პეპლებისთვის“ მთავარი ამოცანა ფულის მიღებაა, და მაშასადამე, მათთვის საჭიროა, რომ თავად აქტი რაც შეიძლება ხანმოკლე იყოს. სწორედ ეს არის გზა იმპოტენციისკენ. იმას, რასაც ჩვენ ვიკვლევდით, შეიძლება მაღალი სიტყვა — სიყვარული ვუწოდოთ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ იდეალური სიყვარულის ფიზიოლოგიური ფორმულის გამოყვანა შევძელით.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

# „კოცნის დროს თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკონცენტრაციო ბანაკში“

**ტონი კერტისი. „ქუსლები არაფერია, ყველაზე უარესი ფეხების გაპარსვაა!“ — ამბობდა ფილმის „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“ გადაღებებზე მერილინ მონრო.**

ექსკლუზიურ ინტერვიუში ცნობილი მსახიობი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კომედიის საიდუმლოებებზე საუბრობს.

„ჩემი და მერილინის კოცნას უამრავი ხალხი უყურებდა“

— სერ, მართალია, რომ თქვენ გეკუთვნით ისტორიული სიტყვები: „მერილინის კოცნა იგივე იყო, რაც ჰიტლერის მოფერება“?

**—** ამის მოსმენა კუბოს ფიცრამდე მომიწევს. ღმერთმა დამიფაროს! საქმე სულ სხვანაირად იყო, თუმცა მესმის, რომ ამდენი ხნის შემდეგ აღარავინ დამიჯერებს. ჟურნალისტებმა მკითხეს: რას გრძნობდით, როდესაც მსოფლიოში ყველაზე სექსუალურ ქალს ჰკოცნიდითო? მე ვუპასუხე: ასეთი ზებუნებრივი მაინც რა უნდა მეგრძნო? საერთოდ, ჩვენ ხომ მარტონი არ ვყოფილვართ.

**— რომ ყოფილიყავით?**

— მაშინ მივხვდებოდით, რა უნდა გვექნა. მე არ ვმალავ, რომ მე და მერილინი ჯერ კიდევ ამ ფილმამდე ვიყავით საყვარლები. რა თქმა უნდა, ჩვენი რომანი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მაშინ გიჟური დრო იყო: ჩემ ირგვლივ მეტისმეტად ბევრი ქალი იყო, მის ირგვლივ კი — ორჯერ მეტი მამაკაცი... თუმცა ჩვენ მეგობრებად დავცილდით ერთმანეთს. ჩვენ გარდა ოთახში იყვნენ ოპერატორი, რეჟისორი, ოთხი გამნათებელი, სამი თანაშემწე და კიდევ უამრავი ხალხი, რომელიც მოგვჩერებოდა და „მაგარ“ კომენტარებს აკეთებდა. ასეთ ვითარებაში იმაზე კი არ ფიქრობ, რომ ლამაზი ქალის ტუჩებს ეხები, არამედ იმაზე, რომ ეს ყველაფერი ჩქარა დამთავრდეს. მე ასეც ვთქვი: ასე რომ მომჩერებოდნენ, თავს საკონცენტრაციო ბანაკში ვგრძნობდი-მეთქი, ყველაფერი დანარჩენი კი მომიგონეს. მეორე დღეს სიტყვები ჰიტლერის შესახებ გაზეთების ყველა სათაურში გაჩნდა. მერილინმა დამირეკა და გამლანძღა, მე კი წარმოდგენაც არ მქონდა, რაში იყო საქმე.



მერილინ მონრო

**— ფილმში „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“ მის ჩრდილში ხომ არ გრძნობდით თავს? იმ მომენტისთვის მერილინ მონრო მაინც მეგავარსკვლავი იყო.**

— უფრო მეტიც, პუბლიკა ჯერ მარტო მისი ეკრანზე გამოჩენისგან ვარდებოდა ექსტაზში. სინამდვილეში მას თამაში არც კი სჭირდებოდა. უბრალოდ ბიუსტის რწევა-რწევით უნდა ევლო აქეთ-იქით. მაგრამ არამც და არამც არ გეთანხმებით, რომ ამ ფილმში მე და ჯეკ ლემონი მერილინის ჩრდილქვეშ ვიყავით, იმიტომ რომ ჩვენც ექსტრა-კლასის მაღალანაზღაურებად მსახიობებად ვითვლებოდით. ყველანი ერთმანეთს ვავსებდით.

## „შპრიცით ხელში ის არასდროს დაუჭერიათ, მაგრამ შეეძლოთ დაეჭირათ“

**— მერილინის ბევრი საყვარელი მოგვიანებით მას „ავ და ურცხვ დედაკაცს“ ეძახდა, რომელსაც ნაზი გრძნობები არ გააჩნდა. ამასთან დაკავშირებით უცნაურიც კია, რომ თქვენგან მასზე კეთილი სიტყვები გვესმის.**

— ეს ადამიანის ბუნებაში ძევს, განშორების შემდეგ ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ტკივილი მიაყენონ ერთმანეთს და ათასნაირ რამეებს აბრალებენ ერთმანეთს. მე ასეთი რამ არ მჩვევია. მე მერილინი სანდომიან, ადამიანებისადმი ძალზე კეთილად განწყობილ ქალად დამამახსოვრდა. ის ვარსკვლავური დაავადების ყოველგვარი გამოვლინების გარეშე უწერდა ხელს ღია ბარათებზე ყველას, ვინც სთხოვდა, სტუდიის დამლაგებელსაც კი, იღიმებოდა და ხუმრობდა, უყვარდა ბავშვები. მე უბრალოდ შოკირებული ვიყავი, როდესაც მერილინი მოკვდა, თუმცა ბევრისთვის ჰოლივუდში ეს სიურპრიზი არ ყოფილა.

**— ანუ?**

— საქმე ის არის, რომ ფილმში მერილინმა პრაქტიკულად საკუთარი თავი განასახიერა — მისი გმირი ვისკით იღუპავდა თავს, ის კი ნარკოტიკებით. თუმცა შპრიცით ხელში მერილინი არცერთხელ არ დაუჭერიათ: სტუდიაში ჰეროინზე რომ წაესწროთ, მერილინს კაპიტალური პრობლემები შეექმნებოდა. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ზოგ სცენებში ფილმში „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“, ის კაიფში იყო. ნარკოტიკები საშინელი რამაა — მათ ბევრი ჩემთვის ძვირფასი ადამიანი გადაიყოლეს — ჩემი ვაჟიშვილი ზედმეტი დოზისგან მოკვდა. ბევრი მეგობარი დავკარგე და მე ისინი საშინლად მაკლია. დღემდე მენატრებიან მერილინ მონროც და ჯეკ ლემონიც. მე პრინცესა დიანასთანაც ვმეგობრობდი, მაგრამ მოხდა ისე, რომ ისიც ჩემზე ადრე წავიდა, თუმცა ამას ვერც კი ვიფიქრებდი. და აი რატომ. თავის დროზე მე ხომ ძალიან ბევრს ვსვამდი, მეც მქონდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები, ძალიან ავად ვიყავი. ახლა კი თავისუფლად შემიძლია ნახევარი საათი შეუსვენებლივ ვიცურაო აუზში, თავს არაფრით ვიზღუდავ (ერთი ის არის, რომ შაქარს არ ვჭამ), მშვიდად ვმოგზაურობ კონცერტებით. მარტო უფალი უდგენს თითოეულს სიცოცხლისა და სიკვდილის ჟამს.

**— მართალია, თუ არა, რომ თქვენ ფილმის მეორე ნაწილში გადაღება შემოგთავაზეს?**

— დიახ, შემომთავაზეს, მაგრამ არა მგონია, ეს მაინცდამაინც ჭკვიანური იდეა იყოს. ჯეკი და მერილინი სამარეში არიან, და მე რაღა უნდა გავაკეთო ფილმში? ასეთი შესაძლებლობის განხილვა არცკი მიფიქრია. სიტყვამ მოიტანა და, მარტო ამ ფილმზე რატომ ვლაპარაკობთ. რუსეთში ამ ფილმით მიცნობენ?

**— ის ყველაზე პოპულარულია, თუმცა „ვიკინგებით“ და „სპარტაკითაც“ გიცნობენ.**

— ძალიან კარგი, თორემ ბევრი რამ მე თვითონაც დამავიწყდა — ჩემს ანგარიშზე 100-ზე მეტი... ან იქნებ 120 ფილმია. მაინცდამაინც კარგად არ მახსოვს.

**— ბოლო სამი წელია, კინო რატომღაც საერთოდ მიატოვეთ.**

— ცოტა მომბეზრდა. 24 წლიდან მოყოლებული, ჰოლივუდიდან ვერ გამოვსულვარ, არადა ივნისში 80 შემისრულდა, კიდევ რამდენი შეიძლება? ახლა უფრო ფერწერას მივყევი ხელი, სულ სურათებს ვხატავ, კვირაობით „ვიკარგები“ ჩემს სტუდიაში. სურათები ისე ჩქარა მეყიდება, რომ ცოტა მენანება კიდეც. ამიტომაც ნახატების ნაწილი ახლა ჩემს სახლს ამშვენებს.

იხ. მე-12 გვ.

# ყველაფერი ყველაფერზე

## გერმანელები გაასუფთავებენ ამერიკულ პრეზიდენტებს



**1927-სა და 1940 წლებს შორის პერიოდში დანიური წარმოშობის ამერიკელმა მოქანდაკემ ჰუთზონ ბორგლუმმა, დაქირავებულ ოთხ მუშასთან ერთად, მთა რაშმორში ჯორჯ ვაშინგტონის, თომას ჯეფერსონის, თეოდორ რუზველტისა და აბრაამ ლინკოლნის 18-მეტრიანი პროფილები გამოკვეთა. სკულპტურებს ყოველწლიურად ამოწმებენ, ბზარები ან სხვა დაზიანებები ხომ არ აქვთო, თუმცა არასოდეს გაუწმენდავთ. ექსპერტები შიშობენ, რომ მოდებულმა ხავსმა შეიძლება ქანდაკებებს ავნოს.**

ამგვარად, 60 წელზე მეტია, რაც აშშ-ის პრეზიდენტების „პორტრეტებს“ რაშმორის მთაზე ქარები და წვიმები უტევენ. სამხრეთ დაკოტაში მდებარე ეროვნული პარკის ხელისუფლებმა გერმანული კომპანიის დაქირავება გადაწყვიტეს, რომელიც ქანდაკებებს გაასუფთავებს და გააპრიალებს. ამ კომპანიის თანამშრომელთა დამსახურებების სიაში შედის რიო-დე-ჟანეიროში ქრისტეს სტატუისა და ბერლინში ბრანდენბურგის ჭიშკრის გაწმენდა. ასე რომ, კომპანიამ მზადყოფნით მოჰკიდა ხელი ასეთ არაჩვეულებრივ დაკვეთას.

## „ეროტიკული თამაშები“



**მეცნიერები აცხადებენ, რომ გერმანიის ერთ-ერთ გამოქვაბულში აღმოჩენილი ქვის ფალოსი მამაკაცის სექსუალობის ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა.**

ქვისგან ნაკეთები და გულდასმით დამუშავებული ეს ნივთი, აღმოაჩინეს ინა ქალაქ ულმის მახლობლად ხოლეს ცნობილ გამოქვაბულში. მეცნიერებს მისი აღდგენა 14 ფრაგმენტიდან მოუხდათ.

არქეოლოგების მიერ აღდგენილი ქვის ნივთი სიგრძით 20 სანტიმეტრია, სისქით კი სამი. მისი „ასაკი“ დაახლოებით 28 ათასი წელია.

მეცნიერების აზრით, ის რომ ფალოსი ნატურალური ზომითაა გამოსახული, მიუთითებს იმაზე, რომ ის შეიძლება ყოფილიყო „ეროტიკული სათამაშო“ მათი შემქმნელებისათვის, რომლებიც შორეული გამყინვარების პერიოდში ცხოვრობდნენ.

არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ფალოსს თანამედროვე ადამიანისათვის ნაკლებად ნაცნობი ფუნქციებიც ჰქონდა.

„ეს ნივთი წარმოადგენდა არა მარტო მამაკაცის ორგანოს სიმბოლურ გამოსახულებას, იგი იხმარებოდა როგორც კაჟი, ცეცხლის მისაღებად“ — ამბობს პროფესორი ნიკოლას კონარდი, ციუბინგენის უნივერსიტეტიდან. „ჩვენ ვხედავთ, რომ ამაზე მეტყველებენ მეტად დამახასიათებელი დაზიანებები“ — ახსნა მეცნიერმა.

ტიუბინგენის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დიდი ხანია იპოვეს ფალოსის შემადგენელი 13 ფრაგმენტი. თუმცაღა მას შემდეგ, რაც მათ წელს აღმოაჩინეს უკანასკნელი, მეთოთხმეტე ფრაგმენტი, მხოლოდ მაშინ შეძლეს დაბეჯითებით საგნის დასახელება.

# მსოფლიოს გარშემო რბილი თათებით

**სანამ მსოფლიო მეცნიერებს უახლესი აღმოჩენები და დამამტკიცებელი საბუთები უპოვიათ, მანამდე კატების მომშინაურებლებად ძველი ეგვიპტელები ითვლებიან. მათ შესახებ უძველესი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2500 წლის პაპირუსი მოგვითხრობს. ეგვიპტელების უსაყვარლესი შინაური ცხოველის წინაპრები ლიბიაში ცხოვრობდნენ.**

ეგვიპტელებისათვის კატა წმინდა ცხოველს წარმოადგენდა. მას თვლიდნენ დედობის, ნაყოფიერების, გართობისა და მხიარულების ღმერთად. კატა მათ განასახიერეს ქალღმერთ ბასტეტში, ხოლო ამ ღმერთქალის სამშობლოდ ქალაქი ბუბასტისი ითვლებოდა, სადაც ტაძარში კატისთავიანი ქალღმერთის ქანდაკებას სცემდნენ თაყვანს. აქ ათასობით კატა ცხოვრობდა, რომელსაც ქურუმები უვლიდნენ. კატის მოკვლის ან შეურაცხყოფის მიყენებისათვის ყველას სიკვდილით დასჯა ელოდა. ამ წმინდა ცხოველს სიკვდილის შემდეგ ეგვიპტელები ბალზამირებას უკეთებდნენ, სპეციალურ კუბოში ათავსებდნენ და კატათა სასაფლაოზე კრძალავდნენ დიდი პატივით. „ჭირისუფლები“ კი გლოვის ნიშნად წარბებს იპარსავდნენ.

## ისტორიული ფაქტები:

**☒ 40 მილიონი წლის წინათ კატების წინაპრები მიაციდები ხეებზე ცხოვრობდნენ. ეს უძველესი ძუძუმწოვრები ძალზე წააგავდნენ ციყვებს;**

**☒ ადამიანმა კატები უფრო გვიან მოიშინაურა, ვიდრე ცხვარი, ძაღლი, ღორი და ძროხა;**

**☒ კატები ცხოველებიდან ერთადერთნი არიან, რომლებიც მთელ მსოფლიოში ცხოვრობენ, გარდა ანტარქტიდის, ყინულოვანი ოკეანისა და კანადის ჩრდილოეთისა;**

**☒ პალესტინაში აღმოჩენილია კატის კბილი, რომლის ასაკიც 8700 წელს ითვლის. თურქეთის ანატოლიაში კი აღმოაჩინეს კატის ქანდაკება, რომელიც უძველესმა ხელოვანმა ჩვ. წ. აღ-მდე V საუკუნეში გააკეთა;**

**☒ ჩვ. წ. აღ-მდე 47 წელს ეგვიპტელებმა ჩაქოლეს რომაელი ლეგიონერი, რომელმაც შემთხვევით კატა მოკლა;**

**☒ ეგვიპტელებთან ომის დროს სპარსეთის მეფე კამბიზმა ეშმაკობას მიმართა, თავის მეომრებს ფარებზე ცოცხალი კატა დაამაგრებინა. ფარაონი ფსამეტიხ III უბრძოლველად დანებდა სპარსელებს — გვირჩევნია დავნებდეთ, ვიდრე ჩვენი ღვთაება მოვკლათ;**

**☒ ეგვიპტელები თუ თავისი ქვეყნის გარეთ კატას მოკრავდნენ თვალს ნებისმიერ ფასად ყიდულობდნენ და თავიანთ სამშობლოში მიჰყავდათ.**

* * *

ეგვიპტე ძველ მსოფლიოში „მარცვლეულის ბეღელს“ წარმოადგენდა. სწორედ ამიტომაც მოიშინაურეს კატები, რომლებიც მღრღნელებისა და ქვეწარმავლების რისხვას წარმოადგენდნენ. ამიტომაც გააღმერთეს ეს ცხოველი. კატები კი მთელ მსოფლიოს ფინიკიელთა წყალობით მოედვნენ. ფინიკიელი ვაჭრები ამ ცხოველს იპარავდნენ და თავიანთი გემების ტრიუმებში მალავდნენ, რათა ეგვიპტეში შეძენილი მარცვლეული მღრღნელთაგან გადაერჩინათ. ასე მოხვდნენ ფისუნიები საბერძნეთში, ხმელთაშუა ზღვის აუზის კუნძულ-სახელმწიფოებზე, ესპანეთში, ევროპაში, წინა აზიასა და ინდოეთში.

საბერძნეთში კატის ყოლის საშუალება მხოლოდ მდიდარ ოჯახებს ჰქონდათ. სულ მალე კატები არა მარტო მთელ საბერძნეთში, არამედ ბერძნულ კოლონიებშიც გავრცელდნენ — ხმელთაშუა ზღვაში, იტალიაში, გალიასა და ბრიტანეთის კუნძულზე, იქიდან კი ჩრდილო ევროპაში.

ეგვიპტიდან ბასტეტის (კატის ღვთაების) კულტი იტალიაშიც გავრცელდა. კატისთავიან ქალღმერთს ეთაყვანებოდნენ იმპერატორები კალიგულა, ნერონი, ვესპასიანე. ეს რწმენა რომაელმა ლეგიონერებმა გაავრცელეს ანესში, ბორდოსა და ნარბონში. აქ ნაპოვნ უძველეს ჭურჭელზე გამოსახულია კატები და ბავშვები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გალებმა კატები უცებ მოიშინაურეს.



ჩვენს წელთ აღრიცხვამდე V საუკუნის ბერძნული ბარელიეფი — კატისა და ძაღლის შებრძოლება.

შუა საუკუნეების ევროპაში კატები ეკლესია-მონასტრებშიც გაამრავლეს. ისინი იცავდნენ მღრღნელებისაგან მარცვლეულსა და უძველეს ხელნაწერებს. ანადგურებენ რა ვირთხებსა და თაგვებს, ამით ხელს უშლიდნენ შავი ჭირისა და ტიფის ეპიდემიის გავრცელებას. კატებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნეს. შემორჩენილია უელსის მეფის ხილუელ კეთილის (940 წ.) კანონთა კრებული, სადაც დაფიქსირებულია კატების ღირებულება. მაგალითად კნუტი ერთი ვერცხლის პენი ღირდა, ისევე როგორც ცხვრის ბატკანი. თუ ვინმე კატას მოკლავდა, ცხოველს ხეზე კუდით კიდებდნენ და მკვლელს აიძულებდნენ იმდენი ხორბალი მოეტანა, რომ ხეზე დაკიდებული კატის სხეული დაეფარა. ხორბალს მოკლული კატის პატრონს გადასცემდნენ.

აღმოსავლეთში კატები სავარაუდოდ წინა აზიიდან გავრცელდნენ ვაჭართა დახმარებით. ჩინეთის აბრეშუმის გზა ევროპიდან საშუალებას აძლევდა მოქარავნეებს ეს ცხოველი მთელ აზიაში გადაეყვანათ. კატები მოხსენიებულნი არიან ინდოეთში მანუს კანონთა კრებულშიც (II საუკუნე ჩვ. წ. აღ-მდე). ბუდისტი ბერები ევროპელებზე არანაკლებად ზრუნავდნენ მარცვლეულის მარაგსა და ძველ მანუსკრიპტებზე. ასე რომ, მათთვისაც კატები მართლა აღმოჩენა იყო. სწორედ ბუდისტი ბერების წყალობით მოხვდნენ ეს ცხოველები ჩინეთში, მანჯურიაში, კორეასა და იაპონიაში. ამომავალი მზის ქვეყანაში იმპერატორ იტიოძეს კარზე (X საუკუნე) კატები დიდ პატივში ჰყავდათ. იმპერატორმა დიდებულის ტიტულიც კი უბოძა თავისი საყვარელი თეთრი კატის 5 კნუტს, რომლებსაც სხვა ფერის ერთი ბეწვიც არ ჰქონდათ ტანზე. იაპონიაში ამ ცხოველებმა არა მარტო სილამაზის, არამედ სხვა საუკეთესო თვისებების გამოც მიიქციეს ყურადღება. კატები წინასწარ გრძნობდნენ მიწისძვრასა და ქარიშხლის მოახლოებას, ამიტომ მებადურებს ისინი ყოველთვის თან ახლდნენ გაშლილ ზღვაში.

ამერიკაში კატები XVI საუკუნეში პორტუგალიელებმა და ესპანელებმა შეიყვანეს. კატები გადაჰყავდათ ამერიკის კონტინენტზე ინგლისელ კოლონიზატორებსაც. 1749 წელს ამერიკაში შავი ვირთხების ცნობილი შემოსევის დროს კოლონისტები იძულებულნი გახდნენ ჩრდილო ამერიკაშიც გაევრცელებინათ კატები. XIX საუკუნეში პიონერებმა თავიანთი ფურგუნებით ოთხფეხა მეგობრები ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროებამდეც გადაიყვანეს და მოამრავლეს.

## ცნობისთვის:

**☒ სადღეისოდ მსოფლიოში 400 მილიონამდე შინაური კატა ცხოვრობს;**



ინდოეთში კატები ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-III საუკუნეებში მოხვდნენ.

**☒ კატების წყვილი და მათი შვილები 7 წელიწადში 420 ათასამდე აღწევენ;**

**☒ ყველა კატის ცხვირის ზედაპირი ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, როგორც ადამიანთა თითის ანაბეჭდები;**

**☒ ყოველ 10 ავსტრალიელზე 9 კატა მოდის;**

**☒ კატები დიდხანს ყნოსავენ საჭმელს. ამ დროს მათი ცხვირი თერმომეტრის ფუნქციასაც ასრულებს;**

**☒ კატა 100-მდე სხვადასხვა ბგერას გამოსცემს, ძაღლი კი მხოლოდ ათს;**

**☒ ფინეთში შავ კატებს კარგად ეპყრობიან, რუხი ფერისა კი საშიშად მიაჩნიათ;**

**☒ მუსულმანები ფიქრობენ, რომ თუ კატის შეფერილობა სამი ფერისგან შედგება, იგი ოჯახს ხანძრისგან დაიცავს;**

**☒ თუ ინგლისელს გზა შავმა კატამ გადაუჭრა, ეს მათთვის კარგის ნიშანია;**

**☒ შოტლანდიაში თეთრი კატა ავადმყოფობისა და უბედურების სიმბოლოდ ითვლება.**

* * *

რაც შეეხება რუსეთს, კატები იქ ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე მოიშინაურეს. VI-VII საუკუნის სლავთა დასახლებების არქეოლოგიური გათხრებისას ფსკოვსა და იაროსლავში აღმოჩენდა იქნა კატების ჩონჩხები. მღრღნელთა მმუსვრელი ოთხფეხები რუსეთში ბერძენთა შავიზღვისპირა კოლონიებიდან მოხვდნენ. კატები რუსული ზღაპრებისა და „ბილინების“ გმირებადაც გვევლინებიან. მიუხედავად ამგვარი პოპულარობისა XVI საუკუნემდე ეს ცხოველი რუსეთში იშვიათობას წარმოადგენდა, რადგან ძალზე ძვირად ფასობდა და ისინი მხოლოდ შეძლებულთა ოჯახებში ჰყავდათ. მაგრამ XV-XVI საუკუნეში მათი რიცხვი გაიზარდა. კატები მოედვნენ ქალაქებსა და სოფლებს. თუ შუა საუკუნეების ევროპაში ინკვიზიციის დროს კატებს ეშმაკისეულად თვლიდნენ და კოცონზე წვავდნენ, რუსეთში მათ გაუმართლათ. იქ მათ ქრისტიანულ სახელებს არქმევდნენ და ეკლესიებსა და მონასტრებში ჰყავდათ.

რუსეთში პოპულარულია ციმბირული ჯიშის კატა; რომელიც თანამოძმეებისაგან ხშირი ბეწვით, ზორბა ტანითა და წონით გამოირჩევა. პირველად ციმბირული კატა რუსულ ხელნაწერებში XVII საუკუნეში გაჩნდა „ბუხარული კატის“ სახელწოდებით. ურალსა და ვოლგისპირეთში კატებს ეს სახელი დღესაც შემორჩათ. ციმბირის ადგილობრივი მკვიდრნი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, მათ კატები თან არ ჰყავდათ და ძველ სამკვიდროში ტოვებდნენ. ხდებოდა შეჯვარება გარეული ტყის კატებთან და დროთა განმავლობაში იქმნებოდა ახალი ჯიში — გამძლე, ყინვაამტანი კატების. იმ დროიდან საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ დღესაც უსურიის ტაიგაში გამოჩნდებიან შინაური და ტყის კატათა ნაჯვარები, ათკილოგრამი და მეტი წონის გიგანტები.

ასეთია ისტორია ჩვენი ოთხფეხა მეგობრებისა, მათი მოშინაურების და მსოფლიოში გავრცელების. სხვათა შორის, მრისხანე ვეფხვები ჩვენი ფისოების უახლოესი ნათესავები არიან, ისინი ხომ კატისებრთა ოჯახს განეკუთვნებიან.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მეგობრები – მარცხნიდან ბეგლარ გოგოლაძე, მიხეილ კეკელიძე და ჯოდორ დადიანი. 1969 წელი.

მოგვაწოდა ბეგლარ გოგოლაძემ.

## დაიჯესტი

# „კოცნის დროს თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკონცენტრაციო ბანაკში"

### „ქალის ტანსაცმელში ყოფნა გმირებისთვის მართლა ტანჯვა-წამება იყო"

(მეთერთმეტე გვერდიდან)

**– თქვენ ერთ-ერთი პირველი გადაგიღეს ქალის ტანსაცმელში და გამოირკვა, რომ ეს აუწერლად სასაცილოა. ახლა ასე ჩაცმა-დახურვა საოცრად მოდური გახდა – მაგალითად, ლას-ვეგასში ტრანსვესტიტს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდები.**

– იცით, ეს მეც მაკვირვებს. როგორ შეიძლება მამაკაცებმა საკუთარი ნებით ჩაიცვან კაბა, ლიფი, იარონ ქუსლებზე? ვერ გამიგია, რა სიამოვნებაა ამაში? ჩემთვის და ჯეკისთვის ეს ნამდვილი სატანჯველი იყო, ვიდრე ვისწავლიდით. მე ერთხელ ქუსლებიდანაც კი ჩამოვვარდი და კინაღამ ფეხი მოვიტეხე. ისე, რომ გმირების ტანჯვა-წამება პირველ დღეს, როდესაც ისინი ქალის ტანსაცმელში გადაცმულები მატარებლისკენ მიდიან, ნაღდი ამბავია. სხვათა შორის, მერილინს ძალიან ართობდა ქალად გადაცმული ჯეკისა და ჩემი თავგადასავლები. ასე გვეუბნებოდა: „თქვენ გგონიათ ქალობა ადვილია? ქუსლები არაფერია, აბა სცადეთ და ფეხები ყოველდღე გაიპარსეთ!"

**– თუ საიდუმლო არ არის, ფსევდონიმი რატომ გაქვთ?**

– იმიტომ, რომ პროდიუსერმა მითხრა, ბერნარდ შვარცის გვარ-სახელით პოპულარული ვერ იქნები. უმჯობესია, მოზარდმა გოგონებმა კინოფილმების პრემიერებზე „ტონი, ტონი!" იყვირონ, ვიდრე „ბერნარდ შვარცი, ბერნარდ შვარცი!" „ტონის" ძახილი უფრო ადვილია. დიდი ხანია შევეჩვიე ამ სახელს, ასე მქვია ჩემი შეგნებული ცხოვრების უმეტესი ნაწილი. თუმცა, მშობლებს ეს სწყინდათ.



**– როგორ ფიქრობთ, კიდევ დაბრუნდებით ეკრანზე?**

– თუ ისევ „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან"-ის გაგრძელებაში შემომთავაზებენ გადაღებას, მაშინ, რა თქმა უნდა, არა. კარგი სანახავი კი ვიქნები 80 წლისა გულამოჭრილი კაბითა და მაღალ ქუსლებზე!

**– ნუთუ ქუსლებზე სიარულს გაეჩვიეთ?**

– არა მგონია, შეიძლებოდეს სამუდამოდ შეეჩვიო ქუსლებზე სიარულს.

## საეკლესიო კალენდარი

# მრავალმთის წამებული

### 31 ივლისს ქართული სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმიდა კოზმან ხუცეს-მონაზონს



**ღირსი დავით გარეჯელის მიერ დაარსებული სამონასტრო კომპლექსი საუკუნეების მანძილზე იყო სრულიად საქართველოსთვის სულიერი და კულტურული ცხოვრების ცენტრი. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ღირსი დოდო გარეჯელი და ღირსი ლუკიანე, წმიდა დამიანე დემეტრეყოფილი („შენ ხარ ვენახის" მთქმელი), ღირსი ილარიონ ქართველი, ღირსი იოანე ჭყონდიდელი, წმიდა სვიმეონი.**

გარეჯში უმოღვაწია წმიდა კოზმან ხუცეს-მონაზონს. ანტონ კათალიკოსი გადმოგვცემს, რომ კოზმანი იყო კაცი უმანკო, წრფელი, კეთილმწიგნობარი, „შუენიერმეფსალმუნე", „სიბრძნით გამომთქმელ, წერილთ ჯეროვან ავქსონ", თან ამბობს, ჩემს სიყრმეში მინახავს, დედაჩემთან სტუმრად მოსულიო.

წმიდა კოზმანს დაუწერია „შესხმა ქეთევან დედოფლისა", რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

პლატონ იოსელიანის ცნობით, კოზმან ხუცეს-მონაზონი უდაბნოს დასარბევად მოსულ მტერს 1630 წელს შეუპყრია და უწამებია.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ.

## გვემრავლოს!

# ისეთი ბიჭი დაბადებულა!..



**ამ დღეებში ჩვენს მეგობარს, ფსიქოლოგ თამარ ლიპარტელიანს და არქიტექტორ თემურ ლაგვილავას ლამაზ ოჯახს ერთი „საპატიო" წევრი შეემატა: 17 ივლისს დაიბადა მათი მეორე შვილი. მშობლებმა პატარას ნიკოლოზი დაარქვეს. ძამიკოს შინ მოუთმენლად ელოდა და მას უკვე მეურვეობს 5 წლის მშვენიერი ანა.**

შვილიშვილის შემატებით ხარობენ ბებია მზია ჩხეტიანი და პაპა მურთაზ ლიპარტელიანი, იამზე და დემურ ლაგვილავები.

ბედნიერი მშობლები თამარი და თემური დიდად ემადლიერებიან სამშობიარო სახლ „ორიონის" მთავარ ექიმს დავით გაგუას და მთელ მედპერსონალს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა დედა-შვილს თავი კარგად ეგრძნო.

მეორე შვილს ვულოცავთ თამარს და თემურს, ბედნიერებას და ულევ სიხარულს ვუსურვებთ!

**ხატია ყურაშვილი,**
**მეგობრების სახელით.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



– **რაღაც** თქვენი ხველა არ მომწონს.

– მაპატიეთ, ექიმო, მაგრამ უკეთ ვერ ვახველებ.

* * *

– **ერთი** თვალით მაინც შემახედა თეთრხალათიანი ზურიკელასთვის, – ნატრობდა ილიკო ბრუციანი.

* * *

**მოდით**, მეგობრულად ვიცხოვროთ, თორემ ყველას ყბებს დაგანგრევთ.

* * *

**სანტექნიკოსი** პროფესორის უნიტაზს არემონტებს. ნახევარ საათში საქმეს მორჩა და საზღაურად 100 დოლარი მოითხოვა.

– რა ამბავია ამხელა ფული, პროფესორი ვარ, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და, ნახევარ საათში 100 დოლარი მეც არ გამომდის.

– ეს ნორმალურია, – წყნარად უპასუხებს სანტექნიკოსი, – როდესაც პროფესორად ვმუშაობდი, არც მე გამომდიოდა ნახევარ საათში 100 დოლარი.

* * *

– **ოფიციანტო**, ჩემ სუფში ბუზია, იქნებ გამომიცვალოთ!

– მაპატიეთ, სერ, მაგრამ მეტი ბუზი არა გვყავს.

* * *

– **ოფიციანტო**, ეს სუფი კი არა, რაღაც წყალია!

– რაღაც კი არა, ადუღებული წყალია.

* * *

– **დღეს** ხუთი ბუზი მოვკალი – ორი მამალი და სამიც დედალი, – ეუბნება მიხო მამას.

– სქესი როგორღა გამოარკვიე?

– ორი ლუდის ბოთლზე იჯდა, სამიც – სარკეზე.

## მოდა

# სათვალე – თვალების სამოსი

**ულტრაიისფერი სხივების, მტვრისა და მკაფიო სინათლის ასაცილებლად, სათვალე ერთადერთი დამცავი საშუალებაა, განსაკუთრებით ზაფხულში, როცა მზის აქტივობა მატულობს. სათვალე, ანუ „თვალების სამოსი", როგორც მას მოდელიერები უწოდებენ, თურმე, პრესტიჟის სიმბოლოდაც აღიქმება.**

დღეისთვის სათვალით თითქმის ყველა სარგებლობს. მას, ძირითადად, სილამაზისა და მოდურობისთვის იყენებენ. თუმცა, დანიშნულების, პრაქტიკულობის თვალსაზრისითაც ბევრი მომხმარებელი ჰყავს. სათვალის დიზაინის შექმნისას, მოდელიერები რამდენიმე სტილს ეყრდნობიან: ყოველდღიურს, სპორტულს და კლასიკურს.

ამ სეზონისთვის ყოველდღიური მზის სათვალე, ძირითადად, მარტივი აგებულებისაა, მას ღია ჩარჩო და ფართო მინა ამშვენებს, რაც ხაზს უსვამს თითქმის უხილავი ჩარჩოს მოდურობას. აქედან გამომდინარე, მშვენიერი სქესისათვის განკუთვნილი სათვალე სინაზით, დახვეწილობით, სიმსუბუქითა და ელეგანტურობით გამოირჩევა. მოდის მიმდევარი თინეიჯერები – ახალგაზრდები უფრო სპორტული სტილის სათვალეს ირჩევენ, რომლის მინაშიც თვალები არ ირეკლება, არ ჩანს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რამდენიმე ცნობილი ფირმა – ჯიპი და დრაივინგი, პოლაროიდი, რონიკო და სხვა. მაღალი მოდის ყველა სოლიდურ ფირმას მუდმივი პარტნიორი ჰყავს, რომელიც მხოლოდ სათვალის მინას ამზადებს და ხარისხის პასუხისმგებლობაც სწორედ მას აკისრია. მაგალითად, ოპტიკური ფირმა „საფილო" მუშაობს ისეთი უძლიერესი წამყვანი ფირმებისთვის, როგორიცაა: სონია რაკელი, კარ ლაგერფილდი, კრისტიან ლაკრუა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სოლიდური ფირმების სათვალის მინას მხოლოდდამხოლოდ 50 ტესტის გავლის შემდეგ სვამენ ჩარჩოში.

უკვე მოდურია იტალიური (ეგზოტიკი) და ამერიკული (ბოუში და ლომბი) ფირმები, რომლებიც რამდენიმე წელიწადი „იბრძოდნენ" სათვალის წარმოების უფლებისთვის.

მეორეხარისხოვანი ფირმების წარმომადგენლები ცდილობენ, მიბაძონ ცნობილი, ძვირადღირებული სათვალის მწარმოებლებს, ისინი „ხარისხიანად" ქმნიან თითქმის განურჩეველი სათვალის ასლებს და ამით მოდის წარმატებულ ბიზნესსაც ეწევიან. თუმცა, ოპტიკური ჟურნალის „ვეკოს" ამასწინანდელი გამოკვლევით, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის მაღაზიებში შემოწმებული ყველაზე ძვირადღირებული ფირმების (პოლაროიდი, რონიკო, დოლჩე და გაბანა, ვოგი, საივერი, ესკადა, ადიდასი და ბოსი) სათვალეთა უმრავლესობასაც, ლამაზი დიზაინის მიუხედავად, არ ჰქონდა კომფორტული ჩარჩო და მინაც შესაბამისად, უხარისხო აღმოაჩნდა.

ასე რომ, სათვალის – ზაფხულის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტის შეძენისას დიდი დაფიქრება გმართებთ...







**ლელა დონაძე.**
**სურათზე: მოდური სათვალეები.**

## FORTUNE-500 რეიტინგის მიხედვით მსოფლიოს უდიდესი კომპანიები

| 2005 წ. | 2004 წ. | კომპანიის დასახელება | შემოსავალი მლნ. დოლარი | მოგება მლნ. დოლარი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | Wal-Mart Stores | 287.989.0 | 10.267.0 |
| 2 | 2 | BP | 285 .059.0 | 15.371.0 |
| 3 | 3 | Exxon Mobil | 270.772.0 | 25.330.0 |
| 4 | 4 | Royal Dutch/ Shell Group | 268.690.0 | 18.183.0 |
| 5 | 5 | General Motors | 193.517.0 | 2.805.0 |
| 139 | 167 | „Газпром" | 35.0895 | 6.9674 |
| 178 | 259 | „ЛУКОЙЛ" | 28.810 | 4.248 |
| 248 | – | „РАО ЕЭС" | 22.6029 | 0,8499 |

## გახსენება

# რამაზ ცხვარაძე



ჩემო მოუშუშებელო ტკივილო, ჩემო სიცოცხლე, ჩემო გემრიელო შვილო, რამაზ! დედა გენაცვალოს, ნეტავი ეს ბოლო გახსენება იყოს დედაშენისათვის. შვილო, თავს ვიტყუებ, უკვე ცამეტი წელიწადია უშენოდ ვარ, მეყოფა ახლა, ეს მაშინვე უნდა მომხდარიყო, როცა ეს უბედურება დამატყდა თავს. მაგარი ქალი ვარ, შვილო. მაპატიეთ ორივემ შენ და უბედურმა დეამ, როგორი საცოდავები ხართ, თქვენს ძვირფას შვილებს რომ ვერ უყურებთ. ვერც ერთის ბედნიერებას ვერ მოესწარი, უბედურო დეა. ძალიან გთხოვთ, მალე მომიკითხოთ. ღმერთო, განთიადს ნუღარ მაჩვენებ, ნუ გამიგრძელებ სიცოცხლეს, ღმერთო, ვეხვეწები ყოველ ღამე ღმერთს. ჩემმა ყოველ დილას დანთებულმა სანთლებმა შენ და დეას გაგინათოთ სასუფეველი.

**შენი უბედური დედა – ქეთო.**



ვაჟა ოთარაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება ბავშვობის მეგობრის
ზურაბ მღებრიშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საგარეჯოს რაიონის მშრომელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ყოფილი რაიაღმასკომის თავმჯდომარის
შალვა ლუხუტაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

იური და თამაზ გეგელაშვილები ოჯახებით, თანაუგრძნობენ ქალბატონ მერის, მარინას, ნუკრისა და თემურს ბატონი
გრიმიკო გეგელაშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მუშაკი
კოტე შამათავა
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი ნატა (ლიკა) გიორგაძე, შვილიშვილები თამუნა, ნინო ხიდეშელები, თიკო, ელენე გოცირიძეები, შვილთაშვილები თორნიკე, სანდრო, თათუკა, გიორგი, ძმისწულები მერაბ, მაია მამულაშვილები, დეიდაშვილი ნათელა ქემოკლიძე, მაზლი დათო გიორგაძე, სიძეები თემურ ხიდეშელი, მერაბ გოცირიძე, დათო ცაგურიშვილი, კახა სამხარაძე, გიგა თუთბერიძე, ლევან პაიჭაძე, რძალი სოფიკო სტურუა, მაზლიშვილები თემურ, მარინა გიორგაძეები ოჯახებით იუწყებიან
ელენე პავლეს ასული მამულაშვილი-გიორგაძის
გარდაცვალებას.
პანაშვიდი 29, 30 VII, 17 სთ-ზე. დაკრძალვა 31 VII, 15 სთ-ზე. მისამართი: ალ. ყაზბეგის (პავლოვის) გამზირი 26, III სადარბაზო.

---

ვახტანგ ყოლბაია ოჯახით თანაუგრძნობს კობა ნაყოფიას მამის
იროდიონ (რამიზა) ნაყოფიას
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს მაყვალა გაბუნიას დედის
თამარ ზულიაშვილის
გარდაცვალების გამო.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## ლარის კურსი

### 30 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1530 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8101 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1800 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0631 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3859 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4045 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6122 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 30 ივლისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 36⁰ | 21⁰ |
| ბათუმი | 35⁰ | 22⁰ |
| სოხუმი | 33⁰ | 22⁰ |
| ქუთაისი | 33⁰ | 22⁰ |
| თელავი | 35⁰ | 20⁰ |

## დღის კალენდარი 30 ივლისისთვის

☼ ამოდის 04.51, ჩადის 19.21
) ამოდის --.-, ჩადის 15.16

**წლის 211-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 154 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**ხსენება დიდმოწამე მარინესი (IV); აღმოყვანება ნაწილთა ღირსი ლაზარე გალისიელისა.**

### დაიბადნენ:

**1511 – ჯორჯო ვაზარი,** იტალიელი არქიტექტორი და ხელოვნების ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1574 წელს.

**1818 – ემილი ბრონტე,** ინგლისელი მწერალი ქალი. გარდაიცვალა 1886 წელს.

**1889 – ანდრია რაზმაძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მათემატიკოსი, პროფესორი. გარდაიცვალა 1929 წელს.

**1890 – ვიქტორ დოლიძე,** კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1933 წელს.

**1929 – გივი სანაძე,** ფიზიოლოგი და ბიოფიზიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**1929 – ალექსანდრე გვახარია**, აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გარდაიცვალა 2002 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1771 – ტომას გრეი**, ინგლისელი პოეტი, ელეგიების საუკეთესო ოსტატი.

**1856 – მიხეილ ბარათაშვილი,** ისტორიკოსი, ქართული მეცნიერული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი, ქართული და აღმოსავლური მონეტების კოლექციონერი.

**1913 – ჯონ მილნი**, ინგლისელი სეისმოლოგ-გეოლოგი. 1880 წელს შექმნა პირველი სეისმოგრაფი.

**1978 – უმბერტო ნობილე**, იტალიური დირიჟაბლების კონსტრუქტორი.

### მოვლენები:

**1626 წელი** – ნეაპოლში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომლის დროსაც 10.000 ადამიანი დაიღუპა.

**1792 წელი** – პირველად შესრულდა „მარსელიეზა".

**1932 წელი** – ლოს-ანჯელესში X ოლიმპიური თამაშები გაიხსნა.

**1942 წელი** – ამერიკული წყალქვეშა ნავი „გრუნიონი" უკვალოდ დაიკარგა.

**1948 წელი** – ლივერპულის ნავსადგურში მსოფლიოში პირველი რადიოლოკაციური სადგური გაიხსნა.

**1991 წელი** – კრემლში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი და აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

**1999 წელი** – ფიდეს ეგიდით ლასვეგასში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში.

მედიანიუსი

**დღევანდელი გაზეთი 12-გვერდიანია. შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 2 აგვისტოს.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ელგუჯა ლებანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK